




8(05)  
კ 20

III-IX. ოქტომბერი და ნოემბერი VIII-IX



**1915 წ.**

ამ ნომერთან ხელის მომწერლებს ეგზავნებათ აჰმდ კომენსკისა და ჰერბერტ სპენსერის სურათები.

დეკემბრის ნომერი ჟურნალ „განათლებისა“ გამოვა 20 დეკემბრისთვის, ამავე ზომისა, 32 გვერდით გადიდებული.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს სკლის მომწერლებს და აგენტებს მათზე დაწინილი ჟურნალის ფულის შექმოტანა დაახქარონ.

შინაარსი: 1. ოტო ლიპნანი—ფსიხოლოგია პედაგოგთათვის ლ. ბოცვაძე. 2. ბუნება და სამკურნალო მეცნიერება, ჰიგიენა—ადამიანის მუცლის ქიები—ილია აღხაზიშვილი. 3. „ტუვე კაკასიის“, სალიტერატურო გარჩევა—ვანტანგ კოტიშვილი. 4. რიყრაჟზე სათქმელი (დასასრული)—ალექსი წიჭინაძე. 5. მასწავლებელთა კურსები და ვიმნასტიკა—ია ნარძე. 6. მხატვრული შემოქმედება სკოლაში (ხატვა და ძერწვა)—ნიკ. სირბილაძე. 7. თ-დი გრიგოლ ორბელიანი და მისი პოეზია (გაგრძელება)—ილ. ფერაძე. 8. ზოგიერთი საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში.—თავაფუფალი სვანი. 9. აღმზრდელის უმთავრესი თვისება—გ. ა-ნი. 10. სამართლიანი, თუ უსამართლო საყვედური? ლადო ბზვანელი. 11. დამარხული მუხა—ლადო გეგეჭკორი. 12. ვაჟაფშაველას—ილია გოგია. 13. ვაჟას ხსოვნას—გელა. 14. შემოდგომა—გ. ლეონიძე. 15. სურათი—ლადო გეგეჭკორი. 16. საკუთარი ლევენდა (ციხის რგოლთან)—ლადო გეგეჭკორი. 17. გ. ლეონიძეს—ვაჟა ფშაველა. 18. ოცნების მხარეს—კიკნა ფშაველა. 19. არწივი და ბოლოშავი—ს. აბულაძე. 20. უხილავის სიღერებიდან...—გ. ლეონიძე. 21. ჰანგები—ლ. ძიძიგური. 22. მზიურს ვაჟას—გ. ლეონიძე. 23. შემოდგომის მელოდია—ა. გაფრინდაშვილი. 24. დაკარგული ზედნიერება...—ს. ტაიფუნი. 25. ნეტავი მას...—შ. თურდოსპირელი. 26. უიალქანო—მიხ. ბოჭორიშვილი. 27. შურის ძიება (ამბავი)—ზ. ედილი. 28. ხატის მიზეზი—მაქსიმე ვეკუა. 29. გარდახვეწილი ვარსკვლავი—არ. ფანცულაია. 30. რად გამიარჯლა ქრილობანი?...—დ. თურდოსპირელი. 31. კრიკინა და დუმფარა (ევალდი)—კატო ბაძ-ძე. 32. რუსული ენა სახალხო სკოლებში—ნიკ. ქამუშაძე. 33. შინაური მიმოხილვა—დედა ენა სკოლებში—სიტყვა. 34. მოწაფეების მიერ სიფიზიკო იარაღების კეთება. 35. ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება—ოქმი საგრამატიკო კრებისა. 36. ბიბლიოგრაფია—„ჩვენი ძველი მწერლები“ ს. გორგაძისა, „იოანე შავთელი“ მ. ჯანაშვილისა, „ჯორ-ზაქარა“ მოთხრობა ს. შვლობლიშვილისა. 37. „განათლების“ ფოსტა და განცხადებანი.

დამატება: ოქმი ზუგდიდის განყოფილების წევრთა საზოგადო კრებისა. ინსტრუქცია სკოლების მეთვალყურისთვის. მოხსენებანი სკოლებისა და ბიბლიოთეკების რევიზიის შესახებ.

# განათლება

(წელიწადი მეჩვი)

№ VIII-IX ოქტომბერი და ნოემბერი 1915 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან.  
ნახევარი წლით . . . 3 მან.  
სახალხო სკოლების მასწავლებლებს  
ჟურნალი დათმობათ წლიურად  
3 მან.

ცალკე ნომ-  
რის ფასი

40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება. ტფილისში „წერა-  
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და  
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და  
ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-  
რესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская  
Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

ოტტო ლიპმანი

## ფსიხოლოგია პედაგოგთათვის

VII

ეურადღების ტიპები. ეურადღების კონცენტრაცია. დამყარება. ინტერესები. სა-  
სკოლო საუფარეო მენიერება. სხეულის და სულის მოქანცულობა. დასვენება.  
განკაფულობა. დადღილობა. სხეულის ვარჯიშობა. მარცხენა ხელის ვარჯიშობა.  
მოქმედებათა შესანიშნავობა. გონებრივ ნიჭთა ვარჯიშობა. კრიტიკულ ნიჭთა ვარ-  
ჯიშობა. ნიჭი ვარჯიშობისა და მიჩვევისადმი.

**ბ**ევრჯელ გვითქვამს, რომ ჩვენი მიმ-  
ღობის პროცესი არჩევანზეა დაფუძნე-  
ბული. იმ შეგრძნობათაგან, რომელნიც  
ერთსა და იმავე დროს გაღიზიანებით მო-  
ქმედებენ, ჩვენი შეგნების შეზღუდვის გამო,  
შეგვიძლია მხოლოდ ზოგიერთები ვარ-  
დავქმნათ მიმღობად. იმ აქტს, რომლის  
საშუალებითაც სწარმოებს ეს არჩევანი,  
ჩვენ ეურადღებს ვუწოდებთ. ახლა გავარ-  
ჩიოთ ამ არჩევნების პრინციპები, ე. ი.  
გამოვიკვლიოთ, რომელს შეგრძნობებს,

ან რომელს ნაწილს კერძო შეგრძნობე-  
ბისას მივაპყრობთ ჩვენს ყურადღებას. აქ  
უნდა დავასახელოთ ოთხი პრინციპი.

ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იქ-  
ნება:

- ა) მეტის მეტად ძლიერ გაღიზიანებაზე.
- ბ) იმ გაღიზიანებებზე, რომელთაც შე-  
გრძნობანი შეეფარდებიან, უფრო ძლიერ  
გაფერადებულ გრძნობადი ტონით.
- გ) იმ გაღიზიანებებზე, რომელთაც ჩვენ  
ველოდით.

დ) განსაკუთრებულ საინტერესო ვალიზიანებებზე.

პირველისა და მეორე პუნქტის შესახებ მეტს არას ვიტყვით; მესამესა და მეოთხეს-კი ახლავ დაეუბრუნდებით. მხოლოდ მოკლედ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყურადღებას, ძლიერ ვალიზიანებით აღძრულს გარედან, როგორც უნებღებებს, წინ უყენებენ ნებისთქ ყურადღებას, აღძრულს შიგნიდან. რამდენადაც ბავშვი მოზრდილია, იმდენად ნებისთი ყურადღება უფრო მეტს როლს ასრულებს, თუ შეიძლება ასე თქმა.

არჩევინ, რომელშიაც ყურადღება მონაწილეობს, ცხადათ სჩანს დამოკიდებულება ყურადღებასა და მენსიერების შორის: რასაკვირველია ჩვენ აღვილად მოვიგონებთ მხოლოდ ისეთს წარმოდგენებს, როცა მათი შესაფერი შეგრძობანი ყურადღების წყალობით გადაქცეულა მიმღეობად.

ყურადღება ყველა ადამიანში ერთგვარად არ მოქმედებს, იგი სახეს იცვლის ორნაირად: ერთი მდგომარების მხრით, ე. ი. ობიექტთა რიცხვის მიხედვით; რასაც ყურადღება შეიპყრობს ერთდროს; მეორე მდგომარების მხრით: ზოგის ყურადღება დიდხანს ჩერდება შთაბეჭდილებებზე, ზოგისა-კი სწრაფად გადადის ერთი შთაბეჭდილებიდან მეორეზე; ამ საფუძვლით არჩევენ ორ ტიპს ყურადღებისას—მიპყრობილს და გაფანტულს. გაფანტულობა შეიძლება როგორც მიპყრობილის აგრეთვე გაფანტულის ყურადღებითაც. პროფესორი იუმორისტიულ ფურკლიდან „გაფანტულია“, რადგანაც მისი ყურადღება მედატ მიპყრობილია მისი მეცნიერების პრობლემებზე, სკოლის შეგირდი „გაფანტულია“ იმიტომ, რომ მისი ყურადღება ძლიერ გაშლილია და ახალი

ვალიზიანებით ძლიერ აღვილად შორდება იმ ტემას, რომლისკენაც თავმოყრილი უნდა ყოფილიყო. პედაგოგმა უნდა აიჩიოს საშუალო ზომა; ერთის მხრით ძლიერ ჩქარა არ ვადვიდეს ერთი ტემიდან მეორეზე, რადგანაც იმ შემთხვევაში შეუძლებელია ტემის სრული დამორჩილება, მეორე მხრით არც დიდ ხანს უნდა „ჩაღვქოს“ ერთი და იგივე ტემა, რომელსაც მოპყვება მოწყენა და დაღლილობა. პედაგოგიური იდეალია არც მეტად გამოსახული მიპყრობილი ტიპი: თუ აღმზრდელს ბავშვთან აქვს საქმე, რომელიც საკუთარ აზრებშია გართული, მთელი საათობით ერთსა და იმავე ტემაზე ლაპარაკობს, ასეთ ბავშვს უნდა უჩვენონ გერესკენელ ქვეყნის ცვალებადი შთაბეჭდილებანი, პირიქით აღმზრდელი უნდა ცდილობდეს ბავშვის ყურადღება მიაპყროს ერთს ტემას, თუ ბავშვი ამ წუთს პეველებს დასდევს და მეორე წუთს-კი ელექტრონი აინტერესებს. ყოველ შემთხვევაში ბავშვი უნდა მიეჩვიოს რამე ობიექტს ხანგრძლივად მიაპყროს გულისყური. ვისაც ეს ნიჭი არ აქვს, მას არ შეუძლია ინტესიური მეცადინეობა რაიმე საგანში, არ შეუძლია სწავლა. შესაძლებელია და მართლაც ისე უნდა აღიზარდოს ბავშვი, რომ მას შეეძლოს თვისი ყურადღების თავის მოყრა ყოველს შემთხვევაში და ამისთვის ჩინებული საშუალებაა: ვარჯიშობა ბავშვისა გულისყურის, ყურადღების მიპყრობაში, არ უნდა მოაშორონ საგანს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება იმავე დროს ხელის შემშლელი და გულისყურის მიმზიდველი ვალიზიანებაც მოქმედებდეს; ეს მოხერხდება ყველაზე უფრო, როცა ბავშვს კვანში ამხანაგების საზოგადოებაში ასწავლიან იმ დროს, როცა საშინაო სამუშაოს ბა-

ვში გაურბის, ფიქრობს ხან რას და ხან რას, ან სრულიად სტოვებს სამუშაოს და ხელს ჰკიდებს ხან ერთს საქმეს, ხან მეორეს—სკოლაში იგი იძულებულია იჯდეს თავის ადგილას და მიაპყროს ყურადღება სასწავლო საგანს, თუ არ უნდა ჩამორჩეს თავის ამბანაგებს. ამაში გამოიხატება საკლასო სამუშაოს უპირატესობა საშინაო სამუშაოსთან შედარებით.

პედაგოგიური ზომები განსაზღვრულ ტემპზედ გულისყურის დამყარებისა იმაში მდგომარეობს, რომ „მიუჭარჯვან“ ბავშვს ესა თუ ის ტემა ან ობიექტი და გახადონ იგი მისთვის საინტერესო, საინაზო. რასაკვირველია, კიდევ არიან ისეთი პედაგოგები, რომლებიც ძლიერ გადმობანების პრინციპს ადგანან ბავშვის ყურადღების დასაპყრობად: მაგრამ, რასაკვირველია, ლაპარაკი არ ღირს იმის შესახებ, რომ თუნდაც ასეთი ზომა, როგორც არის წამოყვირება გაკვეთილებზე, პედაგოგიურის თვალსაზრისით მეტის მეტი უხერხულობაა. ბოლოს, გრძობადი ტონის შემოღება ზომად შეიძლება იმდენად იხმარებოდეს, რამდენადაც იგი დაკავშირებულია გართობის პრინციპთან.

ამ სახით ჩვენ გადავდივართ ინტერესზე და პირველ ყოვლისა უნდა დავეკითხოთ ჩვენს თავს: რა არის ინტერესი? ჩვენთვის საინტერესოა, საინაზო ისეთი გალიზიანებანი, რომელნიც გრძობადი ტონის დაგვარად წარმოშობენ ჩვენში გრძელსა და განურჩეველს რიგებს წარმოდგენათა და იმავე დროს რაოდენადმე ცვლიან მათ. შემთხვევა საინტერესოა ჩვენთვის, თუ შეგვიძლია მისი დაკავშირება ჩვენს წარსულ ცნობებთან, ე. ი. იგი არ უნდა იყვეს სრულიად ახალი, არამედ იყვეს ჩვენთვის „გასაკები“. ეს ძირითადი კანონი ხშირად ირღვევა სწავ-

ლების დროს; მაგალ., საღვთო ისტორიის სწავლების დროს, სადაც ხშირად ლაპარაკია ისეთს რასმეზე, რომელსაც ბავში სრულიად ვერ წარმოიდგენს; პატარა ბავშვებისათვის სრულიად გაუგებარია დიდი დროსა და სივრცის სახელები და აგრეთვე ორი მხრით (პრესპექტიული) გამოხატულობა ისეთის საგნებისა, რომელთაც სამი საზომი აქვთ, ფაქტი საყურადღებოა დაკვირვებითი სწავლების დროს. საზოგიდოთ სკოლაში მიბარებული ბავშვების წარმოდგენის ფარგალი, თუ მათ საბავშვო ბაღში არ უვლიათ, მეტის მეტად ვიწროა. შემდეგ, რომელიმე შემთხვევა რომ საინტერესო გახდეს, უნდა დავმატოს ამ ცნობებს რამე ახალი. მაშასადამე, პრაქტიკული მხარე აღმზრდელის მუშაობისა ისეთი უნდა იყვეს, რომ მისი მეთოდი სისტემატიურად იყვეს აგებული, ე. ი. უკვე ცნობილიდან მიჰყავდეს ახალ-ახალ შემეცნებისაკენ. იმავე დროს ამ სახით ბავშვს „შევიყვანო“ მისთვის სრულიად ახალ შემეცნების სფეროში.

რამდენადაც მასწავლებელი მეტად აკავშირებს ცნობილ ფაქტებს ახლად შესასწავლთან, მით მეტს პრესპექტივას უშლის წინ მოწაფეს, მით უფრო ინტერესს და ხალისს აღძრავს მოწაფეში ახალის სასწავლო მასალისადმი. ხშირად ძლიერ კარგი საშუალებაა, როცა მოწაფეს ეუბნებიან, რად უნდა სწავლობდეს ამას თუ იმას, რა სარგებლობა მოაქვს ამა თუ იმ ცოდნას და სხ.. რასაკვირველია, უპირატესობა ეძლევა ისეთს სწავლებას, თუ მას შეუერთებენ წარმოდგენათა ისეთს კომპლექსებს, რომელნიც ბავშვისთვის სასიამოვნოა, ე. ი. თამაშობას. ჩინებული საშუალება, მეტად ხელსაყრელი იმისთვის, რომ ბავშვის ყურადღება მივაპყრათ

სასწავლო საგანს—არის ბავშვის მიერ შექმნა საქროო ობიექტისა. ამ სახით პირველი სასწავლო საგანია საზოგადოთ ხელგარჯილობის სწავლება, დაკვირვებით სწავლებასთან შეერთებული და ამათ-კი დაერთვის ანგარიში, სამშობლას შესწავლა, ბუნების შესწავლა, კითხვა, ხატვა და წერა. კითხვის პირველი გაკვეთილები, თუ პირდაპირ სიტყვის წაკითხვით არ იწყებენ, შეიძლება ასე წარმოებდეს—ბავშვებმა დახატონ ის ასოები, რომელთაც სწავლობენ, ან ასანთის ჩხირებით შეადგინონ ასოები და შემდეგ ნასწავლი ასოებიდან დამოუკიდებლად შეადგინონ სიტყვები და წინადადებანი.

კერძო შემთხვევებში, რომ მუდამ შეძლებისდაგვარად სახეში გვქონდეს ბავშვის ინტერესები, მაგ. მოთხრობებში, რომელსაც უერთდება კითხვის გაკვეთილი, აღმზრდელმა უნდა იცოდეს საზოგადოთ თუ წარმოდგენათა რა კომპლექსები აქვს ბავშვს და რომელი მათგანია მისთვის უფრო სასიამოვნო, ე. ი. რა შემთხვევაში შეიძლება ბავშვის ინტერესის მოლოდინი. ჩვენ ვსთქვით, რომ ინტერესს, ხალისს ბავშვი იჩენს ყველაფერში, რასაც ბავშვის თამაშობასთან, მის თავისუფალ თვითმოქმედებასთან, შემდეგ თავგადასავალთან, მოგზაურობის, შექანიზმისა და სხვა და სხვა წარმოების აწერილობასთან აქვს საქმე; ყველა მასთან, რაც-კი წარმოდგენს ბავშვის ფანტაზიის სამუშაო ფართო მოედანს. ზოგიერთს ცნობებს კერძო ბავშვების სპეციალ ინტერესისას იძლევა მათი კითხვა, რომელშიაც არჩევენ საღაპარაკო ტემას და მათს „გმირებს“. ცდამ ამ საგანში თუ რა სასკოლო საგნები უფრო ბავშვებს საყურადღებო შედეგი მოგვცა. ამ ცდის შედეგებში შედარებით დამტკიცებულია, რომ რელიგიის ყმაწვი-

ლებისათვის არა საყვარელი საგანია, არც ქალებს უყვართ ეს საგანი; ისტორია, პირიქით, ყმაწვილებისათვის ფრიად საყვარელი სამეცნიერო საგანია, მაგრამ ყმაწვილების თვალში მეტდ უპირატეს ბავშვისათვის ეძლევა, ქალებისათვის—ხელთა გარჯილობას, რაც გვიჩვენებს თუ, რა როლს ასრულებს ბავშვის ცხოვრებაში თვითმოქმედება და მოძრაობის მოთხოვნილება. აგრეთვე ხატვაც იწვევს ყმაწვილებში საზოგადოების გარჯილობას; ორივე სქესის ბავშვების არა საყვარელ საგანს შეადგენს ქვეყნის გაცნობა, რომლის უმთავრესი მიზნები. რასაკვირველია, სწავლების მეთოდშია; ბოლოს უნდა მოვიხსენოთ არითმეტიკაც, რომელსაც ორი სქესის ბავშვთა შორის მტრებიც ჰყავს და მეგობრებიც.

კარგი საშუალებაა გაუღვიძოთ ბავშვს ხალისი ახალი ცოდნის შეძენისა და მისკენ მიმართოთ მისი გულისყური, მისახვედრი კითხვების საშუალებით ბავშვს თვითონ უნდა შეიმუშაოს ეს ახალი ცნობები. პედაგოგიური მნიშვნელობა ამ ძველი ხელოვნებისა, რომელსაც უკვე სკოლატი მიჰმართავდა ხოლმე, იმაში მდგომარეობს, რომ უღვიძებენ ბავშვს ფიქრობა, რომელიც მის ბუნებას შეუფერის და აკმაყოფილებს მისს მიდრეკილებათ. თუ აღმზრდელმა იქამდის მიიღწია, რომ ლოგიკურის გზით მივიდა ახალს შემეცნებამდის, ასეთი შედეგი უღვირვასესია, ვიდრე ის, როცა მოწაფეს მზა-მზარეულად გადასცემენ ამდენ-დაამდენ დებულებითს ცოდნას.

დიდნობით გულისყურის მიპყრობას, როგორც ზემოთ ვსთქვით, მოჰყვება მოქანცულობა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ყურადღება იფანტება და მუშაობის ნიჭი სუსტდება.

საზოგადოთ შემცდარია, ვინც იქ-

რობს, რომ განუბრძვს და ფიზიკურს და-  
 ლლილობას საერთო არა აქვს რაო. პირ-  
 იქით, ფიზიკური მუშაობა ასუსტებს გო-  
 ნებრივს მუშაობასა და გონებრივ მუშაო-  
 ბასაც ფიზიკური დაღლილობა მოჰყვება  
 ხოლმე. ამასხანით, სამეცნიერო საგნებს შუა  
 რომ მოჰყვეს მაგ. გიმნასტიკა, არავითარი  
 დასვენება არ იქნება; იგივე უნდა ვსთქვათ  
 ძლიერ მოძრავ თამაშობის შესახებაც დას-  
 ვენების დროს. უკეთესი იქნება უფრო  
 მომალევი საგნები, რომელიც გონე-  
 ბის ძალდატანებას არ ითხოვს, მაგ. გიმ-  
 ნასტიკა მოათავსონ შუადღის მეცადი-  
 ნობის ბოლოს. საუკეთესო დრო უფრო  
 ადვილი საგნებისა, როგორც ხატვა და  
 ბუნების შეტყუებაა, არის დასწყისი სას-  
 წავლო დღისა, რადგანაც მათ ერთის  
 მხრით ნაკლები ფნება მოაქვთ შემდეგი  
 გაკვეთილებისათვის და მეორე მხრით იმ  
 მოსაზრებასაც აკმაყოფილებს, რომ დი-  
 ლით ბავშვები ვერ იჩენენ კიდევ საკმა-  
 რისს სიფხიზლეს. ისეთი სასწავლო საგ-  
 ნები, რომლებიც დიდს მოთხოვნილებას  
 უყენებენ ბავშვებს და ძლიერ ჰღლიან  
 მათ, როგორც არითმეტიკა და უცხო ენე-  
 ბი, უნდა ისწავლებოდეს შუაში, ნაშუა-  
 დღევის წინ. იმ მოღლილობას, რაც ბავ-  
 შვს მოსდის. არითმეტიკის გაკვეთილზე,  
 მოჰყვება, რასაკვირველია, არა მარტო  
 ანგარიშის სისუსტე, არამედ სწავლად  
 მოქანცულობაც, რომელსაც სხვა სასწავ-  
 ლო საგნებზედაც გავლენა აქვს. მაინც  
 უნდა დაეუმატოთ, რომ სასწავლო საგ-  
 ნების შესაფერად შეცვლით მოღლილო-  
 ბა ნელ-ნელა ჩნდება, რადგანაც საზო-  
 გადოთ ყურადღება დიდხანობით ძლივს  
 დაემყარება რომელსამე ობიექტზე ან  
 მათს ჯგუფზე.

დაღლილობის თვალსაზრისით რომ შევ-  
 ხედოთ გაკვეთილების სიგრძეს, ახლაც

ბევრ შემთხვევაში ძლიერ დიდია; ძლიერ  
 ხშირად წარმატებით შეიძლებოდა მისი  
 შემოკლება 40 წუთამდის და ამ დროს  
 განმავლობაში მივიღებდით იმავე შედეგს,  
 რასაც მეტ დროში ვღებულობთ.—დასა-  
 სვენებლად და ძალის მოსაკრფად არის  
 დრო დანიშნული გაკვეთილებს შუა; ამის  
 მიხედვით და იმის გამო, რაზედაც ქვე-  
 მოთ ვიტყვი, დასასვენებელი დრო გაკ-  
 ვეთილებს შუა ძლიერ ცოტა არ უნდა  
 იყვეს. თუ ორი სხვა და სხვა გვარი სა-  
 განი მიჰყვება ერთმანეთს, ორივე წაგე-  
 ბაში იქნება; ჰარკუელი—იმის გამო, რომ  
 შექმნილ წარმოდგენათა ხმა შესწყდება  
 და წარმოდგენათა შეკავება, რომელიც  
 ასსოციაციებს აკავშირებს ამ წარმოდგე-  
 ნათა შორის, დაირღვევა; შეტრე—იმის  
 გამო, რომ ცოტა ხნის შემდეგ ყურად-  
 ლებას იპყრობს სულ სხვა საგანი. დასას-  
 ვენებლად და ძალის მოსაკრფად უფრო  
 დიდ ხანობით დანიშნულია კანიაკულები და  
 ყოველდღიური ძილი. თუ რა საჭიროა  
 კანიკულები, გვიჩვენებს ყოველგვარი ცდა,  
 მოწყობილი დაღლილობის პრობლემის  
 გამოსარკვევად: მართლაც ყოველდღი-  
 ური დასვენება და ძილი საკმარისი  
 არ არის იმისთვის, რომ ანაზღაუროს  
 დაღლილობა; გამოწვეული სასკოლო მუ-  
 შაობით ერთი დღის განმავლობაში. ამა-  
 ში ბრალი უძევს იმ გარემოებასაც, რომ  
 ბავშვები, რომლებიც სახალხო სკოლებში  
 დადიან, ვერ ასწრობენ კარგად გამძი-  
 ნებას, ისინი. სკოლაში დაღლილის, მო-  
 ქანცულის სახით მოდიან და ეს დაღლი-  
 ლობა თანდათან ჰქრება, მაგრამ არა  
 სრულიად შუადღემდის. ამ სახით პირ-  
 ველი გაკვეთილები შუა დღემდის იკარ-  
 გება მათთვის. ზოგს ბავშვებს-კი დილის  
 დაღლილობა არ შორდება კარგად გამო-  
 ძინებითაც; ამ სახით, სჩანს, ბავშვებშიაც

არსებობს ორი ტიპი: დილის მომუშავეთა ტიპი და მეორე საღამოს მომუშავეთა ტიპი, რომელთაგან ერთი maximum-ად აუითარებს თავის ენერჯიას შუადღის წინ, მეორე საღამოს ეამს. მეორე ინდივიდუალური განსხვავება, რომელიც ეხება დაღლილობას, ერთის მხრით ეხება მოქანცულობას, მეორე მხრით ძაღის ადგენის ნიჭს. მოქანცულობა ყოველ შემთხვევაში ბავშვებს უფრო ეტყობათ, ვიდრე მოზრდილებს.

ამდენხანს უფრო ნორმალურ დაღლილობაზე ვლაპარაკობდით, რომელიც შედეგია ყოველგვარ მუშაობისა. თუ კი დაღლილობის შემდეგ მუშაობა ისევ გაგრძელდა, ბოლოს შეიძლება განკაფულებაც მოჰყვეს, ისეთი მდგომარეობა, რომელიც ძვირად დაუჯდება სხეულს, მაშინ, როცა უბრალო დაღლილობა ძილისა და მოსვენების შემდეგ სრულიად ჰქრება. ძუძუთა ბავშვი, რომლის გრძობაღი შთაბეჭდილებათა შემუშავება ჯერ კიდევ შრომას თხოულობს, რომლის ყურადღება მეტად შთანთქმულია ძლიერის გაღიზიანებით, ამის გამო მეტის მეტად იღლება, თუ ხშირსა და ძლიერს გაღიზიანებას განიცდის. ასეთი გაღიზიანებანი, თუ დიდხანს მოქმედებენ, ადვილად გამოიწვევენ განკაფულებას, თუ ხელს უშლიან ბავშვის მოსვენებას. სხეულს აქვს განკაფულების საწინააღმდეგო საშუალება, რომელიც გამოიცნობა გამაფრთხილებელის ნიშნით: ეს არის—მოზარდი უფურადღებობა და აგრეთვე თანდათან გაძლიერებული ძილი. ამ სახით აღმზრდელმა კარგად უნდა ასწონ-დასწონოს რამდენი დრო უნდა შესწიროს, რომ ისარგებლოს აბსოლუტური ყურადღებით. როცა შენიშნავს, რომ ბევრ მოწაფეს ყურადღება შემოაკლდათ და თამაშობენ

ან ამთქნარებენ, აშან უნდა მოაგონოს მასწავლებელს, რომ მისი გაკვეთილ არ არის საკმარისად საინტერესო, ან გააფრთხილოს, რომ მეტის მეტად ძალდატანებას იჩენს.

ამას გარდა კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ დაღლილობის სუბიექტიური ორგანიზმული შეგრძობანი ყოველთვის არ არის სიმპტომი ობიექტიურის დაღლილობისა; და პირაქეთ, შეიძლება დაიწყოს განკაფულება და დაღლილობას კი ვერ იგრძნობ. პირველი იმ შემთხვევაში მოხდება, როცა ყურადღება ძალდატანებით (დისციპლინის გზით) მიმართულია არა საინტერესო საგანზე, ან როცა ყურადღებას არ შეუძლია რაიმე განსახლებრული მიმართულება მიიღოს, მოწყენილობის გამო, რომელსაც მოჰყვება დაღლილობა და მთქნარება, თუმცა ძალდატანება არ ითქმის; ამის დამამტკიცებელი ის არის, რომ რაკი საგანი ხელახლად საინტერესო გახდება, ბავშვის სახეზე გონებრივი სიახლე და სიფხიზლე იხატება. ეს სიახლე დიდხანს გაგრძელდება ყურადღების ძალდატანებით, თუ საგანი მეტის მეტად საინტერესოა და მიმზიდველი, მაგრამ ამ სამუშაოს შემდეგ, მაშინვე ჩნდება მაგარი ძილი—დამამტკიცებელი, რომ სამუშაო ობიექტიური დამღლეი იყო. მაგრამ ყველა ეს კერძო შემთხვევებია; თუ მოღლილობა და მოქანცულობა ერთმანეთს არ ხვდებიან, ეს ნევრასტენიის ნიშანია.

მაშინ როცა მოქანცულობას თან მოჰყვება ყოველგვარ შრომის ნიჭის უარესობა, ვარჯიშობა სხვა შედეგს გვაძლევს. როგორც სხეულის ისე სულიერად მუშაობის დროს, რამდენადაც იგი ხშირად მეორდება, მით უკეთ მიდის.

სხეულის ფუნქციების ვარჯიშობის ასეთი შედეგი აიხსნება მოძრაობათა კოორ-

დინამიკით, რომლისგანაც სამუშაო შესდგება, უფრო მიზანშეწონილი ხდება, ამასთან მეტი მოძრაობისადმი მიდრეკილება იჩაგრება და საჭირო მოძრაობანი-კი უკეთ ეგუებიან ერთმანეთს. სავარჯიშოდ კოორდინარულს მოძრაობაში პატარა ბავშვებშიაც-კი იხატება ძლიერი მიდრეკილება მოძრაობისადმი, რომელიც შემდეგ უფრო და უფრო იძენს თამაშობისადმი მიდრეკილების ხასიათს. თამაშობა არამც თუ განხორციელებს, ბავშვის ფანტაზიისა, იგივე ასწავლის ბავშვს უფრო და უფრო მიზანშეწონილად მოიხმაროს თავისი ძალა და ორგანოები და ამ სახით უფრო და უფრო ვითარდება სხეულის ორგანოებიც. ისეთი სათამაშოები, რომლის დროსაც ბავშვი თვითონ აკეთებს ამა თუ იმ სამუშაოს, თამაშობას სიმარდის გამოჩენით, და მოძრავ თამაშობას, როგორც უნება, ამოკრა, სირბილი და სხ. ფრიად დიდი აღმზრდელითი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დედოფალებს და სხვა სათამაშოებს. რასაკვირველია, ასეთს სათამაშოებსაც „საილიუზიოთ“ პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს, თუ მაგალითად ბავშვი თვითონ უკერავს დედოფლებს ტანიკამოსს. შემდეგ კოორდინარულ მოძრაობაში სავარჯიშოდ ასწავლიან ხელთვარჯილობას, გიმნასტიკას, ხატვას (მოდელების უნებას) და წერას (აკრეთვე ოჯახის მოვლას, ბაღოსნობას), რომელთაც თავის დამოუკიდებელ მიზნის გარეშე ღრმა პედაგოგიური მნიშვნელობაც აქვს.

რასაკვირველია, ამისთანა მოძრაობაში ვარჯიშობა რთულიდან კი არ უნდა დაიწყონ, არამედ რაც შეიძლება მარტივი მოძრაობიდან. ამ სახით, მაგ. წერის პირველ დაწყებით სწავლების დროს უნდა დაიწყონ გადახატვა მარტივის ფიგურებისა,

რომელთა წვრილმანობა არ იქცევეს ყურადღებას; მხოლოდ უფრო გვიან მოწაფეს უჩვენებენ თუ რა უმნიშვნელო განსხვავებაა ასოთა შორის და წერის დროს როგორ უნდა მიაქციონ ყურადღება სურათის სინამდვილით გამეორებას.

ხელთვარჯილობის, ხატვისა და წერის დროს მარჯვენა ხელის განვითარებას უპირატესობას აძლევენ, თუმცა ამისათვის საფუძვლიანი მიზეზები არ მოიპოვება. ცდის ნაყოფი ინგლისში და კიონისბერგში მარცხენა ხელის გასავითარებლად ისე, როგორც მარჯვენისა, საყურადღებოა ორის მხრით: ერთი რომ საზოგადოთ „სიმარდე“ მატულობს, რასაკვირველია, ორი მარჯვენა ხელით მეტის გაკეთებას შევიძლებთ, ვიდრე ერთის მარჯვენითა და ერთის მარცხენით. ამას გარდა მარცხენა ხელის განვითარება ადამიანს უზრუნველყოფს უბედურ შემთხვევისაგან. სწავლების ასეთ გაფართოებისათვის დიდი დრო არაა საჭირო; საჭირო მხოლოდ სისტემატიურად გამოყენება ექსპერიმენტალურად დამტკიცებულის ფაქტისა, რომ თვითონეული მოძრაობის დროს სწარმოებს აგრეთვე სიმეტრაული და ერთნაირი მოძრაობა სხეულის მეორე ნახევრისა. მარცხენა ხელის სწორი უფლება, რასაკვირველია, მიღებული უნდა იქმნეს სკოლაში, ყოველ შემთხვევაში ნება უნდა მიეცეს ბავშვს ისე იხმაროს მარცხენა ხელი, როგორც მარჯვენა, გარდა იმ შემთხვევისა, რომელსაც ზრდილობა გვაძლავს (ხელის ჩამორთმევა, დანის დაჭერა); მაშინ, უეჭველია, გამოირკვევა, რომ ხელმარჯვენობა უფრო შეზრდილია, ვიდრე თანდაყოლილი.

თითქმის ფიზიკურ ვარჯიშობათა და სხვა ვარჯიშობათა შედეგებიც მეტის მეტად საგულისხმოა ჩვენი შეგნებისათვის,

რადგანაც ჩვეულება შემეცნებას აადგეფებს, რაკი ნერვების იმპულსები კერძო მოძრაობათა, რომელთაგანაც მოქმედება შესდგება, გადაჰყავს შეუეგნებლობის სფეროში; უნდა წარმოვიდგინოთ ყველა მოქმედება მთლიანად (წერა, ჩაცმა), და არა თვითონეული კერძო მოძრაობა ცალ-ცალკე. ამ პროცესს ჩვენ მოქმედების შეხანისადას ვუწოდებთ. როცა მაგალითად პირს ვიბანთ, იმაზე არ ვფიქრობთ: ახლა ყური უნდა გამოვიბანოთ, ახლა პირი დავიბანოთ, არამედ სრულიად მექანიკურად ვიბანთ პირს, როცა ყურს მოვრჩებით; როცა მოვრჩებით პირის ბანას, მაინც დაწმუნებულნი ვართ, რომ არა დაგვიწყებია რა. ამაში ის სარგებლობაა, როცა ასე მექანიკურად ვმოქმედებთ, დრო გვაქვს სხვა რასმეზე ვიფიქროთ. ამიტომ, მგონია, საუკეთესო პედაგოგიური პრინციპი იქნება თუ მრავალ მოქმედებას მექანიკურად შევასრულებთ, ამას მივალწევთ, თუ კერძო მოქმედებებს ვაწარმოებთ ყოყოველთვის იმ წესზე, სანამ ისინი ბოლოს თავის თავად არ გაივლიან იმავე წესზე. წესისა და რიგის პედაგოგიური მნიშვნელობაც მექანიზაციის პრინციპზეა აგებული. დროს ღაკარგვა იმაზე, რომ ესა თუ ის ნივთი თავის ადგილზე დავსდოთ, უმნიშვნელოა, შედარებით დროისა და სულიერი ძალის მოგებასთან, თუ ამა თუ იმ ნივთის საპოვნელად საჭიროა მხოლოდ ხელის განძრევა და არა ძებნა მისი.

ვარჯიშობა შესაძლებელია აგრეთვე გონებრივი მოქმედების ფარგალშიაც: ვისაც ბევრი უსწავლია, იგი ადვილად სწავლობს, ვიდრე ის, ვისაც არა უსწავლია რა. ამ შემთხვევაში უფრო ძნელია ვარჯიშობის განმარტება, მაგრამ, რასაკვირველია, აქაც ვარჯიშობა თანდათან გაძ-

ლიერებულს მოქმედებათა დაზოგვას, კონომისაციას მოითხოვს: შეგძინობათა კომპლექსებში ყურადღება უფრო და უფრო მართლა საჭირო და დამახასიათებელ განთვისებულებაზე ჩერდება, მაშინ როცა მეორე ხარისხოვანი წვრილმანობა, რომლითაც შევსება შემდეგ შეიძლება, უყურადღებოთ რჩება. მრავალ ასსოციაციათა შორის, რომელნიც შექმნილან რაიმე შემთხვევით, დროს განმავლობაში უკეთესად ვიბსოვნებთ იმათ, რომელნიც იწვევენ წარმოდგენათ, რომელთაც ამა თუ იმ შემთხვევასთან გარეგანი დამოკიდებულება აქვს; პირიქით, საჭირო ასსოციაციური პროცესები, მაგალ., ახალ შემთხვევათა სახელწოდება, მათი დამოკიდებულებათა გადაშლა (მსგავსება, მიზეზობრიობა და სხ.) სხვა შემთხვევებთან, უკეთ ხერხდება და სწრაფად და თანასწორად სრულდება: რაიმე ახალი შთაბეჭდილების მოგონებისა და დაკვირვებისათვის უფრო და უფრო საჭირო ხდება ასეთი დამოკიდებულება, შეფარდება; შემთხვევა უკავშირდება წარმოდგენათა ცენტრალურ კომპლექსს, და დაკვირვება (Merken) ბოლოს მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მსგავსი კავშირი ვიპოვოთ და აღვნიშნოთ, ან მთელი მასალა, რომლის გონებაში აღბეჭდვა საჭიროა, ჯგუფ-ჯგუფად მოვაქციოთ იმ იდეის გარშემო, რომელიც შიგ იმყოფება და კერძობობის ნაცვლად ამ იდეიას ვითვისებთ ყველა მასთან შეკავშირებულის ნაწილებით. ვისაც დიდხანს უსწავლია, ბოლოს, იცის როგორი მიზანშეწინილობაა საჭირო სასწავლო მასალის დასალოაგებლად, რომ ადვილად შეითვისოს იგი და ნაკლები ენერგია დახარჯოს, შეითვისოს ის ნაწილი ამ მასალისა, რომელიც მისთვის საჭიროა; ის კი, რომლის ადღგენა ად-

ვილია ლოდიკურის მსჯელობით, არ ისწავლება.

ამასთან კავშირი აქვს აზროვნების პროცესში ვარჯიშობას: ასოციაცია უფრო და უფრო მაღალი რიგის წარმოდგენებს მიჰმართავს ხოლმე, წარმოდგენათა ცენტრალურ კომპლექსებს, მგაყსად ზემოთ ნათქვამისა; ამიტომ ეს შეკავშირება უფრო მიზანშეწონილია და ჰკარგავს მარტივის ასოციაციის წმინდა გარეგნულსა და შემთხვევითს სახეს.

ბოლოს შესაძლებელია აგრეთვე საზნეობრივო საქციელის მეხანიზაცია. საქციელი, რომელიც პრინციპიალურად მოწონებულია, თუ ბევრჯელ შეგნებით წარმოებულა, ბოლოს შეუგნებლად წარმოიშვება, როგორც მაგ., თუ იმ დასკვნამდის მივდები, კარგია გლახაკისათვის სამოწყალოს მიღება, ან უარის თქმა. მართლაც ეთიურის მხრით ყოველთვის მიზანშეწონილია და ფასი აქვს თუ არა ასეთს გადასვლას მოფიქრებიდან იმპულსიურს მოქმედებაზე, საექვოა. სრულიად არ მინდა დავამცირო „პრინციპების“ მნიშვნელობა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ნამდვილად საზნეობრივო საქციელს ყოველთვის სარჩულად პირადი განწყობილება აქვს ამა თუ იმ შემთხვევასთან.

ბევრე ჯგუფს სააღმზდელო გავლენისას შეადგენს ვარჯიშობა კრიტიკული ნიჭისა. ამისთვის საჭიროა მიუთითოთ მოწაფეს თავის შეცდომებზე და ურჩიოთ თუ როგორ უნდა გაასწოროს და თავიდან აიცილოს ისინი. კარგი საშუალება კრიტიკული ნიჭის აღსაზრდელად და სავარჯიშოდ—უკვე ნახსენები მოყოლებება (Aussage), მოყოლების სწავლება, რომელიც დიდმნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ საჭირო მოდიფიკაციაა დაკვირვებითი სწავლებისა და ადვილადაც უერთდება

მას. სიტყვიერი ვარჯიშობა ამ სახით სწარმოებს, რომ სიტყვიერად მოყოლების შემდეგ, მოწაფეს ერთხელ კიდევ უჩვენებენ ობიექტს, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა; ასწორებს რა პირველ მოყოლებას, მოწაფე ყურადღებას აქცევს თავისს შეცდომებს და აღნიშნავს, მიმდებრათა კომპლექსების რომელ ნაწილს უნდა მიექციოს მომავალში ყურადღება, რა ნაწილებია მისი წარმოდგენათა კომპლექსებისა სინამდვილეს მოკლებული და უნდა შეავსოს, რა ნაწილები უნდა შეინახოს მან მომავალში მესხიერებაში და თავისი მოგონების რომელ მხარეს უნდა მოეპყრას განსაკუთრებით კრიტიკულად. იგივე იქნება განხორციელებული ამ წესის მიღებით ხატვის სწავლების დროს: მათხრობის მაგიერ მიღებულს ობიექტზე მოითხოვენ ზეპირად მისს დახატვას, შემდეგ სურათს ისევ შეადარებენ მისაღებ ობიექტს და შეაქვთ შესაბამი შესწორებანი. აღზრდასთან ერთად, უფრო სინამდვილით შეთვისებისათვის, მნიშვნელობა აქვს ხატვის გაკვეთილებსაც, იმ სახით დაყენებულს, რომ სხემატიური „იდეოპლასტიკური“ ხატიდან, რომელიც წინა უსწრობს ხატვას და პირველი საფეხურია ხატვისა, ბავშვები გადავიდნენ ხატვის უმაღლესს საფეხურზე, ბუნებასთან ახლო, „ფიზიოპლასტიკურ“ ხატვაზე.

ყველა ერთნაირად ვერ იჩენს ნიჭს შეჩვევისას: ზოგი ძლიერ ჩქარა სწავლობს ახალს ხელოვნებას, ზოგი-კი ერთისა და იმავე სამუშაოს უფრო ხშირ გამეორებას თხოულობს, ვიდრე მიაღწევდეს იმავეს, რასაც—პირველი. აგრეთვე შეჩვევის შედეგიც ასეთია—თუ ვარჯიშობა შეწყვეტილი იქმნა—ზოგს მალე ავიწყდება, ზოგსაც ნელ-ნელა. იმ პირობაზედვე, რაზედაც დახელოვნებაა დამოკრდებული, უე-

ქველია, დამოკიდებულია შეჩვევის ნიჭიც, ამასთან შეჩვევის ნიჭი ცხადია ხელის შემშლელ გარეშე გაღიზიანებასთან მუშაობის დროს იმდენად, რომ იგი მეტად

არ შეიგრძნობის, როგორც ხელის შემშლელი. მაგრამ აქაც საკმაო ინდივიდუალური განსხვავება არსებობს.

ლ. ბოცვაძე.



# ბუნება და სამკურნალო მეცნიერება ჰიზიენა

(წერილი მეშვიდე)


## 3. ადამიანის მუცლის ჭიები \*) (Vermes)

### I.

ღავასახელოთ მუცლის პრტყელო ჭიები, რომელნიც უფრო საყურადღებო არიან და მეტად აწუხებენ ადამიანს.

ა) შეიარაღებული თასმია (Taenia solium) აქვს ქინძის თესლის ოდენა მომრგვალო თავი, შეიარაღებული ოთხ საწოვნელ ტუჩით. ზედ თავზე (საქოჩრებზე) აქვს ხორთუმი, რომელსაც გარს უხსედან ორ პირად 26-28 ჩანგალკავები. თავს მისდევს კისერი სიგრძით 5-10 მილიმეტრამდე და მას მერე მიჰყვება მთელი რიგი პროვლოტიდებისა, ჯერ მოკლები, მერე კი თანდათანაობით გრძელდება და ბოლოს და ბოლოს სიგრძე სჭარბობს სიგანესა. განვითარებული, მოწიფებული, პროვლოტიდები (სალსრები) სიგრძით 10-12 და სიგანით 5-6 მილიმეტრისანი არიან. პროვლოტიდებს აქვსთ დამორილი (მომრგვალო) კუთხეები

და ამათ გვერდებზე სასქესო ძილები უწყვიათ.



შეიარაღებული თასმია (მუცლის პრტყელო ჭია) 2-3 ადლის სიგრძე იზრდება, სცხოვრობს ადამიანის წვრილ წელეებში, სადაც ჩვეულებრივად თითო ჭია ბუდობს, წელეებში თასმია ზოგჯერ სუმბუქ ანთებას გამოიწვევს ხოლმე და ზოგჯერაც ნერვების აშლას.

ფინნა ანუ ბუშტი-ჭია, რომლისაგანაც ვითარდება შეიარაღებული თასმია, ბუდობს განსაკუთრებით ღორის სხეულში, ზოგჯერაც ხედება ირმის, ძაღლის და სხვ. ცხოველთა ტანში და აგრეთვე ადამიანის სხეულშიც.

ღორს ფინები უხსედს ყუნთებში (ხორციში). მომრგვალო ბუშტია (ფინია ანუ ბლარტი) სიგრძით 6-20 მილიმეტრი და სიგანით 5-10 მილიმეტრი. რამდენ ხანს

\*) იხ. „განათლება“ № 6.

იცოცხლობენ ფინები ცხოველთა სხეულში ჯერ ნამდვილად არ არის ეს გამორკვეული, მხოლოდ ის კი იციან, რომ ჩვეულებრივ ტემპერატურაში დაკლულ ცხოველის ხორცი ოთხ კვირამდე სიცოცხლობენ, აგრეთვე ვიცით, რომ 47<sup>6</sup>—48<sup>0</sup> °C. ცხელ წყალში ფინები იღუპებიან, მაშასადამე კარგად მოხარშული ღორის ხორცი ფინების მხრივ საშიშო აღარ არის.

ადამიანს ბუშტი-ქია (ფინია) უფრო ხშირად თავის ტვინში ან თვალში შეუძვრება ხოლმე. ბუშტიან-ქიას შეუძლია დიდი ხნის არსებობა ცოცხალ სხეულში, ზოგჯერ ოც წელიწადს სიცოცხლობს, ხოლო როცა ისპობა კირის მარცვლებით ივსება.

საჭიროა ვიცოდეთ საიდან და როგორ გადაედება ადამიანს მუცლის ქია? უმთავრესად მაშინ ჩააყოლებს ხოლმე ადამიანი ქიის თესლს (ფინებს), როდესაც ჰუმ, სრულებით ჰუმ ღორის ხორცს სჭამს, რომელსაც ფინები უსხედან, ან თუ რომ ვერ არის კარგად მოხარშული, ხოლო ცისტიცერკებს მაშინ ყლაპავს, როდესაც მწვანილეულობას სჭამს, მეტადრე თუ მწვანილი თუ სხვა ბოსტნეულობა იმ ზედადაზე იზრდებოდა, რომელზედაც სასუქად მოყრილი იყო ადამიანის განავალი. შეიძლება წაბილწულ წყალსაც ჩავაყოლოთ ქიის თესლი.

თუმცა იშვიათად, მაგრამ ისიც კი მოხდება ხოლმე, რომ ადამიანმა თავის თავს ხელახლად შეჭყაროს პრტყელი ქია (თავისავე განავალს თითებს ახვედრებს, დაავიწყდება და დაუბანელ თითებით პურსა სჭამს ან ტუჩზე მოიხვედრებს, უღვაშებს გაისწორებს და ამ გვარად კუჭში ჩაგზანის თავისავე ქიის ნასახს (თესლს).

**შეიარაღებული თასმია** (მუცლის პრტყელი ქია) ხშირია იქ, სადაც ღორის ხორცი ხშირ ხმარებაშია და მეტადრე თუ ჩვეულებად აქვთ ნახევრად შემწვარ ან ნახევრად მოხარშულსა სჭამენ. როგორც ვსთქვით, კარგად მოხარშული ღორის ხორცი, თუგინდ ფინიანიც იყოს, საშიშო აღარ არი, რადგანაც ას გრადუს დუღილში ყოველივე სიცოცხლის ნასახი ისპობა.

ჩვენ ძრიელ გვიყვარს ღორის ხორცის ან თუ სუკის მცვრიანი მწვადები და, თუ რო ყველას არა გვყავს სახლის კაცად მუცელში (წელგებში) პრტყელი ქია, ეს უთუოთ იმიტომ, რომ საქართველოში ღორი ტყეში სუქდება რკოთი. საშიშო არის შინ გაზდილი ღორი სოფლად თუ ქალაქში. მაჰმადის და მოსეს მორწმუნენი, თუმცა ღორის ხორცს არ სჭამენ, მაგრამ მათშორისაც ხშირია პრტყელი ქია. მიზეზად ხდება ქათამი, თევზი, წყალი, მწვანილი და სხვ.

ბ) **უიარაღო თასმია** (*Taenia sagirata*) ამ პრტყელ ქიას აქვს სიგრძე 4—10 აღლი და ზოგჯერ კი თორმეტ აღლზე მეტიც იზრდება; საღსრებიც (პროგლოტიდები) შესაფერად დიდები აქვს, ვიდრე **შეიარაღებულ თასმიას**, სახელდობრ განვითარებული პროგლოტიდი სიგრძით 16—20 მილიმეტრია \*) და სიგანით 4—7 მილიმეტრი. თავზე არც ჩანგალკავები ასხედს და არც თუ ხორთუმი აბია, მხოლოდ აქვს **ოთხი ცალი**. **საწოვარი ტუჩი** (ამიტომ უძახიან უიარაღოს). ეს პრტყელი ქიაც ადამიანის წვრილ ნაწლევებში სცხოვრობს,

\*) მილიმეტრი აღლის (მეტრის) მკათასე ნაწილია.

ხოლო მისი ფინები (*cisticercus inermis*) სცხოვრობენ რქიან საქონლის ტანში, განსაკუთრებით საღებულებებში და გულში. მაშასადამე ადამიანს სულ ადვილად შეიძლება ეს პრტყელი ჭია შეეყაროს ძროხის ხორცის ქამითაც, მეტადრე თუ კარგად არ არის მოხარშული ანუ შემწვარი. დიდაც რო კარგია მცვრიანი მწვადი სუკებისა, მაგრამ თან თურმე სახიფათოცაა.

უიარაღო თასმია ჭია უფრო ხშირად ხვდება ადამიანის ტანში (წელებში), თანაც რაც დრო მიდის უფრო და უფრო გრცელდება ამ ჯიშის ჭია და შეიარაღებული თასმია ჭია კი იშვიათი ხდება...

## II

### წამლები და წამლობა.

#### შინაური წამლები:

1) ბროწყულის ძირი ხელად ამოთხარეთ და ქერქი ააცალეთ. აიღეთ ამ ნედლი ქერქისა ერთი მუჭა ან ერთი ჯამი და წვრილად დაჭრილი ჩაყარეთ რაიმე ქურქელში. დაასხით ზედ ერთი ბოთლი ცივი წყალი. ასე ელობს 12 საათი, მერე ქერქიანად შესდგით ქვაბით ცეცხლზე და იმდენ ხანს ადუღეთ ვიდრე ერთი სტაქანი ნახარში წვენი-ლა დარჩეს, გაწურეთ ტილოში ან ჩიქილაში (ლენჩაქის ყურში) და როცა გაცივდეს, დილით უზმოზე სულ მთლად დალიოს, ვისაც პრტყელი ჭია აქვს. თუ ემზიმება ერთბაშად დაღევა, სამად გაჰყოს, სამ ჯერათ მიიღოს ნახევარ საათის განმავლობაში \*).

\*) ერთხელ ქურთა მწუქმსი დაქედრია ერთი აბაზის მეტი არ მაქვს და გუუერბანე პრტყელი ჭიას წამალი მომეცია. აბა აბაზად რა წამალი მოვიდოდა—ბროწყული ძირის ქერქი მივეცი ისიც ხმელი, ვასწყუდე

ერთს საათს შემდეგ უნდა ზედ დააყოლოს რაიმე სასაქმებელი, მაგალითად ერთი კოვზი ინგლისის მარიდი (*Magnes sulfurica*) ერთ ღვინის სტაქან ცხელ წყალში გახსნილი და გაციებული. ან დალიოს გენაგერჩავის ზეთი (*Ol. Ricini*) ორი კოვზი ამდენივე ცივი წყალით. თუ კი ჭია მართლაც აქვს შუა დღემდე უქველად დააგდებინებს. ამ დღეს სადილად მხოლოდ ქათმის წვენი ექმევა—ისე შორბათი.

#### 2) გოგრის თესლი.

აიღეთ გოგრის თესლი და ისე ნედლი სქამეთ მთელი დღე ერთ გირვანქამდე. ან აი ასე მოიქეცით: აიღეთ ერთი გირვანქა გოგრის (მკვახის) თესლი, ახალი, ნედლი ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით ზედ ერთი ბოთლი რძე და იმდენ ხანს ადუღეთ, ვიდრე ერთი სტაქანი-ლა დარჩეს. ვისაც პრტყელი ჭია აქვს, თბილ-თბილი დალიოს უზმოზე, შეიძლება შაქრით. თუ იმ დღეს არ გასჭრა, ეს წამალი მეორე დღესაც გაიმეორეთ.

#### 3. მლაშე თევზი სელდი.

აიღეთ თავის წვენიანად ორი სელიოდკა გარგი ხარისხისა, დააჭერთ ზედ ხახვი და ისე თავის ბოჩკის წვენიანად ჩაყრილ პურით შეექეცით. წინედ რო არაყი ანუ კონიაკი დალიოთ, თუ რო ჩვეული ხარა, არას დაუშლის.

უფრო უებარი წამლობა იქნება, თუ რომ გოგრის თესლს და სელიოდკას ერთ დღეს მიიღებთ. ესე იგი მთელი დღის განმავლობაში გოგრის თესლიც სჭამეთ და სელიოდკაც თავის წვენით, ისე როგორც ზე-

როგორც ზემოდ ითქვა და მესამე დღეს თავის ფაფახი ჭიით სავსე მომიტანა ბარე 15 ადლი იქნებოდა.

მოდ აღენიშნეთ—ეს ნაცადი წამლობაა, ზოგჯერ 10—12 არშინი ჭია დაუგლიათ თავის ბუდიანად \*).

თუ უფრო ენერგიულად თავს დაუდებთ, მაშინ ასე სჯობს: დღეს მთელი დღე გოგრის თესლი და სელიოდკა სჭამეთ, როგორც ზემოდ ნათქვამია, ამალამ ვახშამს ნუ სჭამთ და ხვალ დილით უზმოზე დალიეთ ბროწეულის ძირის ქერქის ნახარში (ბროწეულის ძირის ქერქის ნახარში წინადლით მოამზადეთ, როგორც ზემოთ ნათქვამია).

#### 4. გვიმრა.

ერთგვარი ჩადუნა იზრდება ჩვენში, მკლავის სისხო ძირკვი (ფესვი) აქვს, რომელსაც როგორც ნიორს ისე კბილები ასხია—კრამიტით არის ზედი-ზედ დახურული. ამ ფესვს გვიმრა ჰქვია \*). მოკრიფეთ ეს კბილები (ახლა ამოთხრილის ძირისა სჯობს და ისიც შემოდგომაზე უნდა ამოთხაროთ და არა ზაფხულში, რადგან ზაფხულში მცენარეს ძალა და წვენი ფოთლებში და ყვავილში აქვს წასული).

აიღეთ ერთი მუკა დარჩეული (ბუსუსებ გაცლილი) გვიმრის კბილები, შუა-შუა დასჭერით და მოხარშეთ ერთ ბოთლ წყალში და იმდენ ხანს აღუდეთ, ვიდრე ერთი სტაქანი-ლა დარჩეს; მერე გაწურეთ და რო გაცივდეს, უზმოზე დალიეთ.

აი უფრო უებარი წამალი: დღეს მო-

\*) სრული გამარჯვება და განთავისუფლება მშინაა, რადესაც ჭიის თავიგ თან გამოჭეუება, ამას უძახან ბუდიანად დავებას, თუ თავი არ გამოჭეუება, სმიოდე თვის შემდეგ ჭია ისევ გაიზრდება.

\*) სოფ დვარეში გარის მარცაში იზრდება კარგი გვიმრა.

ამზადეთ ბროწეულის ძირის ქერქის ნახარში და გვიმრას ნახარშიც (როგორც ზემოდ ნათქვამია), ორივე ნახარში ერთად აურიეთ და ეს ორი სტაქანი წამალი კვლავ იმდენი აღუდეთ, რომ ნახევარი-ლა დარჩეს. გაწურეთ და წამალი მზათა გაქეთ. ამასობაში მთელი დღე კიდევ ისე მოემზადეთ—გოგრის თესლი და სელიოდკა სჭამეთ დღეს მთელი დღე და მეორე დილით ეს წამალი უზმოზე დალიეთ.

ეს უკანასკნელი წამალი (გვიმრის და ბროწეულის ძირის ქერქის ნახარში) უეკველად გასჭრის, რადგან აქ ყველა წამლები და წამლობა შეერთებულია. წამალი რო დალიოთ, ერთი საათის შემდეგ რაიმე სასაქმებელი დალიეთ, მაგალითად ინგლისის მარილი (საქმლის კოვზის წყვა).

წამლის მიღების შემდეგ თუ რო გულს დაზიდას, დააღვიინეთ 15—20 წვეთი ზიტნის კაჟი—არაყზე ან წყალზე დააწვეთეთ.

#### აფთიაქის წამალი.

გოგრის თესლის და სელიოდკას გარდა დანარჩენ ყველა ზემოდ ნათქვამ წამლებს იშოვით აფთიაქში. მაგრამ სჯობს თქვენვე მოთხაროთ ახლად ბროწეულის ძირის ქერქიც და გვიმრაც.

აფთიაქის უებარ წამლებად ითვლება შემდეგი.

აიღე: ნაქენჯი გვიმრასი, ეთერიანი (Extr. Filicis maris aether.) ერთი მისხალი, გაყავით რვა მილებად. სთხოვეთ აფთიაქში გაყონ რვა კაფსულაში.

წინა დლით მოემზადეთ—გოგრის თესლი და სელიოდკა ჭამეთ მთელი დღე, როგორც ზემოთაა ნათქვამი და მეორე დღეს დილით უზმოზე ჩაყლაპეთ ეს კაფსულები (გვიმრას ნაქენჯით); ყოველ ჩარქ

საათში თითო კათსული ჩაყლაპეთ წყალით ასე რო, ორ საათის განმავლობაში რვა კათსული სულ უნდა მიიღოთ.

თუ რომ ბროწეულის ძირის ქერქის ნახარშით დაღვეთ ამ კათსულებს, უფრო ძრიელად გასჭრის (ესე იგი კათსულები რო ჩაყლაპოთ წყალის მაგიერ ბროწე ძირ. ქერქის ნახარში დაყოლებთ ზედ).

ამ კათსულების მიღების ერთ სააფის შემდეგ ზედ დაყოლებთ რაიზე სასაქმებელი (ინგლისის მარლი). იმ დროს როცა გვიმრას ან გვიმრის ნაქენჯს დაღვეთ, არამც და არამც არ უნდა შეიღოთ სასაქმებელი ზეთი (გენაგერჩავი), ეს იმიტომ, რომ საწამლავად გადაგექცევათ (ფილიცინის მკვავა).

პრტყელი ჭიის დასაგდებად კიდევ ბევრია სხვა წამალიც, მაგრამ არც ერთი არაა საიმედო, მაგალითად ქამალა (Камала), სვამენ ჯერზე ორ მისხალს წყალში ან სპირტში, ან არაყში გალესილს. (ქამალა ინდოეთში იზრდება, წითელი ხერიშია, მცენარისაგან წარმოსდგება). იხმარება აგრეთვე კუსო (Kusso), ამ ხისა ყვავილი იხმარება. ეს ორივე მცენარე თავის სამშობლოში უეჭველია, უებარი, წამალია პრტყელი ჭიის დასაგდებად, მაგრამ ჩვენამდე ახალი დაკრეფილი ვერ მოაღწევს და ძველი კი აღარა სჭრის.

კიდევ ორი სიტყვა. პირველი ის, რომ ნამდვილად იცოდეთ აქვს ადამიანს პრტყელი ჭია თუ არა? ზოგს რო გული ერევა და გულს ეჭიდება, ეგ ჯერ კიდევ არ ნიშნავს ჭიის ყოლას. ამ გვარი მოვლენა კუჭის ტკივილებმაც იცის. მაგალითად, როცა ადამიანს კუჭის სუბუქი ანთება აქვს (катарръ желудка). როცა პრტყელი ჭიის სახსრები გოგრის თესლის ოდენად თავის თავად დაიწყებს უკან კარიდან გამოსვლას—აი ეს ნამდვილი და უტყუარი ნიშანია პრტყელი ჭიისა.

მეორე შენიშვნა ის არის, რომ როცა ჭია დააგდოთ, უნდა კარგად დააკვირდეთ თავიანდაკ გამოვიდა თუ არა, მაგალითად თმის სისხოდ ცალი წვერი უჩანს თუ არა. თუ რო თავი არ გამოჰყვა, თუ გინდ ათი ადლიც დააგდოთ, მაინც 2—3 თვის უკან კიდევ მოჰყვება ჭია ზღას.

მხოლოდ მაშინ განთავისუფლდებით, მაშინ მოიშორებთ. თქვენს მუქთა ხორა სახლი კაცს, როდესაც თავიანდაკ მოჰშორდება თქვენს წელებს. დიდა, ასე თუ ისე უნდა მოიშოროთ. თავიდან—ჯერ ერთი რო ჯანს და საზრდოს გეცილებათ, შუაზე ჰყოფს და მეორეც ესა, რა სასიამოვნოა 10—15 ადლის სიგრძე ჰარაზიტი ბუდობდეს თქვენს წელებში.

ილ. ალხაზიშვილი



„ტყვე კავკასიისა“

უხალხოდ, მარტო ტკბილად ცხოვრება... „შემდეგ აღტაცებით მოგვითხრობს მწერალი მთიულეების სტუმართ-მოყვარეობას, ასევე იქცევა ბაირანი, როდესაც სულიოტთა სტუმართ-მოყვარეობაზე გვესუბრება, იმ სულიოტთა, რომელთა ნაპირთანაც მიაყენა ქაღალდი და წარდგინა ხომალდი. მსკაცრისმეტყველო თვით წერილმანებამდის გვხვდება. ბაირანს მოჭედავს სულიოტთა საომარი სიმღერა, ჰუშკინსაც აქვს მთიულეების საომარი სიმღერა“.

(პროფ. ნეხელიძის თარგმანი.) ჰუშკინის გმირს, ისევე როგორც ჩაილდ-ჭაროლს, უფერს ბუნებას, თავისუფლებას, და სძულს ცხოვრება. მაგრამ გაუკეთ ბოლომდის, და ვნახოთ, თუ როგორ უაღიბდება მოქმედ გმირის შინაარსი. იგი გაიქცა. მას შეზარდა ეს კულტურა, დივიდიზაცია, რომელიც ჰბორკავს შიროვნებას, და მოაზრ-მგონობაზე ადამიანის ნაცვლად, ამანქანებენ. მას მოსწყურდა თავისუფლება და გაეშურა მის საძიებლად. მოსცილდა ამ უშნო, მახინჯ და გათასირებულ ცხოვრებას, ამ ადამიან-მანქანათა სამეფოს, ამ კაცთა სასლახოს, და ცეცხლებრ აელვარებული ქებას შეასხამდა თავისუფლების ოცნებითი ხატებას. მაგრამ აბა ვნახოთ საჩუქელი მისი განდგომილობისა, საფუძველად მისი უარყოფის თიფოსროფიისა; თუ შეიძლება ასე ითქვას, ვნახოთ, თუ როგორი და რა ზომისაა მისიზიზღი ადამიანთა და ცხოვრების მიმართ. იგი ხომ, როგორც მწერალი, გვაცნობს, ცხოვრებიდან განდევნილია, რომელსაც სძულს

უოველივე—რაც კი ცხოვრების სახით ადამიანთა შორის გამოეფებულა. მას ვერ აუტანია საზარელობა კაცთა ცხოვრების სურათის, სადაც თვით ტრეობაც კი მოშხამულია, კესლ დანთხეული. მაგრამ უოველივე ეს მასში იმდენად ზერეულია, იმდენად მსუბუქი, მჩატე, რომ წავიდა—რა, კაცთა კრებულებიდან, იგი მანინც კაცთა საღამურს აუოლებს უურს და ისმენს ჰანგებს. იგი გაურბის სოფელს, რომ დაივიწყოს, მაგრამ სათუთად კი უფლის საყვარელ ქალის ხატს, გულში რომ აქვს დასვენებული, და მის ღახდზე კი შემდეგს იძახის:

„მე, უღაბნოში მასზე ვლვრი ცრემლებს, მის ლანდი ყველგან თან მსდევს ერთგულად,  
და ჩემს ობოლ სულს, სულს გაწამებულს შავფიქრთა გროვას უნერგავს წყლულად:

დაის, მას უსევას უარ-ყოფილი სატრფო. იგი განაცრძობს მის სიუვარულს. იგი, განდგომილი, ცხოვრების უარ-ყოფილი, არმიძლები, ეუბნება ჩერქეზ-ქალს:

„ოჰ, დამიტოვე ბორკილთან ერთად ჩემი ოცნება ობოლ-ეული,  
„მოგონებანი, სევდ-ცრემლები,  
შენ ვერ მოიხებ, ქანც-მიღებული  
„გულის ხმაური ხომ გაიგონე?.....

და არ გგონოთ, რომ ტყვე აქ თავისუფლებაზე ოცნებობდეს და მას გამო იუყეს სევდით ჰერობილი. არა, მას რომ მიეღო კიდეც თავისუფლება, იგი მანინც სევდის დრუბლით

\*) იხილე „განათლება“ № 7.

იქნებოდა შემოხვეული. შორით ტრფობა უფორიაქებდა გრძობას და არ აძლევდა მოსვენებას. იგი ეუბნება ჩერქეზ-ქაღს:

„მეც დევნილი ვარ ბედის-წერისგან,  
გულის ვარამი მეც გამოვცადე,  
„მე ვერ ველირსე მაგიერს ტრფობას.

როცა მიყვარდა, ან კლავდა სევდა,

„ყველგან, ყოველთვის ვიყავი ერთიო“.

და სწორედ ეს სევდა, უიშვლო სიუფარულით გამოწვეული, იყო მიზეზი მისი იმედთა გაცრუებისა, მისი გულგატეხილობისა. ყოველი მისი მსჯელობა მუხანათ ცხოვრების ღირებულობაზე, ყოველი წვეთი მისი ზიზღისა კაცთა მიმართ, ყოველგვარი უარის თქმა, კაცთა შორის ე. წ. კულტურულ ცხოვრებაზე, ეს მხოლოდ ნატყობია, რომელშიც შირველ-მიზეზია შოქცეული. და მიეცით მას თანაგრძობა, მიეცით მას სამაგიერო სიუფარული, და ეს ცხოვრება თვით ეღმად დაეხატება. იგი გარდაექცევა უმადლეს ღირებულებად. ესაა ერთი მხარე მისი სევდისა. ხოლო მეორე მხარე, — ეს სევდაა სამშობლად მიერ გამოწვეული. მას სურს ყოფნა თავისიანებ შორის, რუსეთთან, რუსთა მიწაზე. რუსეთის უომრად ცის ქვეშ. და აზრ, შოიგონერ, როგორც ადტაცებით, როგორც ცეცხლით მიეშურება იგი განთავისუფლების შემდეგ, იმ მხარისაკენ, საიდანაც მისჩანდა ელვარე ხიშტები უახან-რუსებისა, დიას! იგი დაუბრუნდა იმ კუთხეს, რომელსაც გაექცა. მან სიუფარულით მიაშურა იმ მხარეს, რომელსაც ზურგი შეაქცია, მან ადტაცებით შეხედა იმ ხაღსს, რომელთაც ზიზღი ესროლა. აქ გი უკვე იბადება კითხვა: რაღათ გაქცა იგი უოველივე ამას? და თუ გაიქცა, რატომ არა სამუდამოდ? მასუხი ერთია: შიტომ, რომ მის გულ-გატეხილობას, მის ვითომც და იმედთა გაცრუებას არა ჰქონდა ჭეროვანი საფუყველი. შიტომ, რომ ეს რომანტიული განწყობილება — მისი განცდა გი

არ იყო, არამედ რაღაც გარედან მიწებებული, რაღაც მოდის გვარი, ხოლო უოველ შემთხვევაში არა გრძობის ხმაური. მისი რომანტიზმი მხოლოდ ხმელი შიტუვებია, უცეცხლო და მამასადამე უსიცოცხლოც. საკმარისია მოხვდეს ტუვეობაში, რომ უარყოფილი ქვეყნის სიუფარული კვლავ დაუბრუნდეს, და კვლავ მიაშურას უარ-ყოფილს: თუ ეს „რომანტიზმი“ ზუშკინის გმირის იყო ნამდვილი რომანტიზმი, ე. ი. აღშოფოთებულ გრძობის ხმაური — მეტუველება, თუ ეს იყო ჭეროვანად განცდილი და ანგარიშ-გაწეული რამ, იგი განთავისუფლების შემდეგ უნდა წასულიყო არა იქითკენ, სადაც ეღვარებდნენ რუსთა ხიშტები, არამედ უნდა განეგრძო თავისი გზა, და კვლავ ეელო შორს, შორს ამ ცხოვრებისკენ, უნდა წასულიყო „იმ მხარეს სიკეთისა და ბოროტისა“, იმ უცნაბ მხარეს, სადაც შექლება ექნებოდა მოესვენა. თუნდა წაებაძნა გიდეც თავის სამაგალითო გმირისთვის, ჩაიღღ-ჭაროლდისოვის, რომელსაც ჭნაძვდა, და წასულიყო ინდოეთში მანც, მდინარე განგის საიდუმლო ნაპირებზე, ნირვანის თილოსოფიის სამშობლოში, იმ მხარეს, სადაც იქნებოდა თილოსოფიის დავიწყების, თილოსოფიის სიშარტოვისა. მაგრამ არა. ეს არ მოხდა და გერც მოხდებოდა ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო. დასავლეთ ევროპას მხოლოდ წაჭბაძეს რუსეთში, წაჭბაძეს უშნოდ, და შიტომაც არის, რომ ზუშკინის გმირი „გაგვასიის ტუვე“ გამოვიდა ისეთი უსახეო, გაურკვეველი და შეკოწიწებული, რომელიც სულ არ შეეფერებოდა რუსთა აზრის ორგანიულ ზრდას. და როგორც ამბობს ერთი რუს კრიტიკოსთაგანი, აქ რომანტიზმი ისა უიდავს შკითხველს მხოლოდ გარე — სახით და არა შინაარსით. გარე — სახეზე ქვემოდ ვიღაზარაკოთ, ესღა გი ჭერ-ჭერობით ისევე ტუვეს დაუბრუნდეთ, და თუ აქამდის შორის აღლო უღექით, ესღა მიუახლოვდეთ და გა-

ვიდნოთ უფრო დაწვრილებით, უფრო საფუძვლიანად. უკვე ვეცადე დამენახებინა მკითხველისთვის, რომ ჰუშკინის გმირი უაღბო არსებაა, უნადაგო ადამიანი, ჰუშკინი დატყვერილ აზრების მონა-მორჩილი. გავიგეთ, რომ მისი მისწრაფება—ეს შუშხუნაა, რომელიც მხოლოდ იელვებს ცოტა ხნით და ჩაქრება, დაიკარგება. ვნახეთ, რომ მის მიერ ცხოვრების უარყოფა, ეს მხოლოდ სიტყვათა რახუნია, რადგან იგი კვლავ მჭიდროდ არის შეკავშირებული უარ-ყოფილ ცხოვრებასთან, და აკავშირებს უმთავრესად ის შორეული, რომელიც უწყლულებად გულის, და რომელმაც მოუსპო სიყვარულის ცეცხლი ნორჩ ჩერქეზ-ქალს. შემდეგ ამისა, ჰუშკინს თავისი გმირი უკიდურ, არა-ადამიანურ ეგოისტათა ჰუავს გამოუვანილი. კი მესმის ეგოიზმი, ისიც ვიცი, რომ ყოველი ადამიანი ამგვარია, მაგრამ ამასაც აქვს საზღვარი, ზღუდე, ამა-საც აქვს თავისი უაღბო, ადამიანურათ მონათლული. ტყვეს ეგოიზმი კი იქამდე ზღო-ლოკიურია, იქამდე ცხოველური, რომ რადესაც ჩერქეზ-ქალი ანთავისუფლებს ტყვეს, ხოლო თვით კი მსხვერპლად მიდის უბიწო სიყვარულის უბიწო საკურთხეველზე, ტყვე ერთხელაც არ ამოიხსრებს ქალის ხვედრზე. ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს მის სახელს; მხოლოდ თვალს მთავლებს არე-მარეს, სადაც მას ბევრი უხეტიალია, სადაც უძრავია ცხვარი, სადაც უტარებია ბორკილი, სადაც რუს ბი-რად შუადღისას მოუსვენია, და ესაღმება. ესაღმება უსულო საგნებს, რომელსაც მანინც და მანინც არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონიათ მის ცხოვრებაში, ხოლო იმას კი, რომელმაც აჩუქა მას სიცოცხლე, რომელმაც ძისცა მას თავისუფლება, ერთი სიტყვითაც არ იხსენებს. და აქ მართალია თვით ჰუშკინი, რომელსაც იმავე გონიერებას სწერს შემდეგს: „შენი შინამეხებები ზედ-მეტად სამართლიანია, და სისასტიკეს მოკლებული. რატომ არ და-

იხრნო თავი ჩემმა ტყვემ ჩერქეზ-ქალთან ერთად? როგორც კაცი, იგი მანინც გონიერად, მაგრამ ჩემი ზოგის გმირს გონიერება არ ეჭირვება. ტყვეს ხასიათი ვერ არის ხერხინანად დახატული. ეს ამტკიცებს იმას, რომ მე არ ვარგვიარ რომარტიულ ლექსის გმირად“.

ასხნა—განმარტება აღარ ეჭირვება ამ სიტყვებს. ასეთია ტყვე, ზრთფესორ უდანავის სიტყვით „გულ-გატეხილი“ გმირი კი არა, არამედ „უბედურად მოხიბლული“. მაგრამ აქ მწერალი წერტილს კი არა სვამს. აქ არა. მწერალი ამავე კითხვებს უბრუნდება ზოგებში: „ციგნები“ და „ვეგენი თნეგინში“, და უფრო ღრმად, უფრო საფუძვლიანად არკვევს. ამ ზოგებში გამოუვანილი გმირები, როგორც ალექო, ისე თნეგინი, კავკასიის ტყვის ღვიძლი ძეები არიან, ხოლო უფრო დადულებულნი, უფრო მომწიფებულნი და სრულ-უაღბო მიღებულნი. აი მაგ. ალექო. იგი ხომ არამც თუ ძმა, იგი თვით კავკასიის ტყვეა, ხოლო უფრო დასრულებული, უფრო მთლიანი. იგიც, როგორც ტყვე, საზოგადოების მონაწევრია, მიუსაფარი; იგი გარკვეული სახის კაცია, რომელიც ნათელ სიტყვებით გველაპარაკება, და რომელსაც კარკადა აქვს მოფიქრებული სამოქმედო გეგმა. აქ ჰუშკინის ნიჭი მომწიფებულია, ფრთა-გაშლილი, ნათელი. აქ უკვე კრიტიკული თვალთვალაგანმებელი აქვს მწერალს, წარსულის ნათქვამი გათვალისწინებული, და მიტოვდა არის რომ, იქ, სადაც „კავკასიის ტყვეში“ მწერალი თავის თავს სცატყდა, აქ „ციგნებში“ აღარ თანუგრძობს ალექოს, უარყოფითი თვალთ-და უტყერის. მიზეზი? მიზეზიც ისაა, რომ მწერალი დარწმუნდა „კავკასიის ტყვის“ უნადაგობაში, მისი მისწრაფება—გტრფილება:თა უდღეურობაში. დარწმუნდა, რომ რაგინდ ეზიდებოდეს ეს ცხოვრება კულტურისან კანს, რა ზინდ იმედ-

გაცრუებული და წმენა-დამსხვრეული იუვენს იგი ცხოვრების მიერ, იგი მინც არ უნდა ეძიებდეს ხსნას ბუნების კალთაში, არ უნდა ეძიებდეს მსვენებას მის შვილთა შორის.

იგი იქ ვერ იპოვის თავ-შესაფარს, იქ ვერ აღმოაჩენს და ვერც აიშენებს მეუღრეების ტაძარს, რადგან იქ არ იქნება ურთი-ერთთა ცაკება. იქ, ბუნების ღაღ შვილებ შორის, იგი ეული იქნება, ერთდროულად შეტყვევლი და მუნჯი, სმენა-მახვილი და ყრუ. იგი უცხოდ იქნება უცხოთა შორის, და ამ საერთო უცხოობაში, მხოლოდ სევა შეეთვისება უფრო ძლიერად, უფრო მტკიცედ. ამგვარი შეხედულება მწერლისა იმის მანგენებელია, რომ „კავკასიის ტყვე“ დაწერილია ერშობის უამს, როდესაც ფრთა ასხმული გატაცება ასულდემულებდა მწერალს, ხოლო „ციგუნები“ და „ეგვიპტის ონკინი“ კი უფრო გვიან, მამოწიებისას. და ეს სხანს არა მხოლოდ ნაწარმოებთა აზრ-შინაარსიდან, არამედ თვით გმირთა სახეებიდანაც. აზრის ცხად-საყოფად შევადარებ ამ გმირებს: კავკასიის ტყვის ხასიათი უკვე ვიცით. რომ, — თუ იგი დროულად გატაცებით შეპერობილი მიჭერის კავკასიონისკენ, და სტოგებს მშობელ მხარეს, თუ მას ხანდახან ჭკუებავს ის აზრი, რომ იქ, ბუნების საშუალებით შეესხეულება მთელ კოსმოსს და იგრძნობს შეებას, სამაგიეროდ იქ, მოგონებანი ტკბილ წარსულისა აღერევიანებენ ცხარე ცრემლს და მით თავის ხასიათის დაუდგრომლობას ადასტურებს. მისი გაქცევა მოუთქმობელია. ალექს კი აზრის კაცია. იგი მოუთქმობით იქცევა, და სწორედ ამიტომ მსჯელობს იგი ისე გარკვეულად. არავითარი ტკბილი მოგონება მის გულს არ ატოვებს, არავითარი ნათელი სურათი არ ეტოვება მითოვებულ მხარეში. და როდესაც ზემოთა კვითხება:

„ხოლო არა ნანობ, რომ მიატოვე ბევრი რამ, — მითხარ ჰე, მეგობარო?“

იგი უზასუხებს:

„როზე ვინაღლო? შენ რომ იცნობდე სულის შემსუთველ ქალაქთ ცხოვრებას, იქ ხალხის გროვა მოკლებულია „დილის სიგრილეს, ველთ სურნელებას. „ტოფობის რცხვენთან, საღ აზრს სდევნიან, „თავისუფლებით ურცხვად ვაჭრობენ, „კერპთა წინაშე თავებს იბრიან „ფული, ბორკილი!“ — თხოვნით ამბობენ!

„მე რა დავტოვე? ღალატთა ღელვა, „და უხამს აზრის ცრუ განაჩენი, „ბრბოს უგუნური დევნა, დაცინვა „ან თუ სირცხვილი ბრწყინვალედ მჩენი?

და იქ, სადაც „კავკასიის ტყვე“ განთავისუფლების შემდეგ უკუ-ბრუნდება, მიაშურებს მითოვებულ კერას; ალექს, ციკანთა შორის უბრუნდება და უსინანულოდ ატარებს დროს. მაგრამ არც აქ სრულდება სურათი შეურყევლად. ალექსს უზრუნველი ცხოვრებაც სწავლება, ხოლო იმ კარჩევით, რომ თუ „კავკასიის ტყვე“ თვით შინის თავისინებისკენ, აქ, თვით ციგუნები სთხოვენ ალექსს მიატოვოს მათი კერა, რადგან მათ მეუღრო ცხოვრებაში ალექსს მკაცრი დისჭარმონია შეიტანა, და მით უზრუნველ ციკანთა მიუხეობელი ცხოვრება ააფორიაქა. ხოლო ორივე შემთხვევაში კი, აზრი ერთია. სასულდობრ ის, რომ ორი ზაღიუსის ერთად შეურა-შეგუება შეუძლებელია. და აბა შეხედეთ, როგორ სასტიკად და სარკასტიულად მოისმის მხუცი ციგუნის სიტყვები, რომლებითაც სრულდება ეს დრმა, და რომელიც ავით ავტორს ეკუთვნის:

„თავი გვიანებე ამყო კაცო, ჩვენ ველური ვართ წესს გარე მდგარნი, „ჩვენ არვის ვტანჯავთ, არვის ვაწამებთ, არც გვინდა სისხლი, არც მოათქმის ხმანი, „ხოლო ისმინე, გაგვშორდი ჩქარა, მკვლე-

ლოთან ცხოვრება არა გვსურს, არა. „არ გჩენილობარ შენ სილილისთვის, შენი ხმა მხოლოდ მწარედ გვაძრწუნებს, აჩვენებს მხალღები ვართ, მასთან კეთილნი, შენ კი ამაყო ის გასულდგმულებს, რომ ბოროტი ხარ. თავი გვანებე, მშვიდობით, წადი, გთხოვთ მიგვატოვე! და ალეკოც დამარცხდა. ხოლო სულ-დგმულობა არ შეუწყვეტია. იგი გაუხვია ონეგინის ახალ წამოსასხამში, და ისე კვლავ გამოვიდა საზოგადოებრივ სტენაზე. აქ კი, ონეგინი სავსებით გახსნა არის მოსული. იცვალენ დრონი კავკასიის ტყვის და ალეკოსი, და ონეგინი, როგორც უფრო ცივი და აუშფოთებელი ადამიანი, გულ-გრილად უმზერს უოველივს. იგი ცივია, რადგან ადულებული ვნება დაცხრა, სურვილთა ცა მოიწმინდა, და ურმა ტყვის ნაცვლად, წარმოკვიდგა ონეგინი, იგიც ცხოვრების მიერ დაჯაბნილი, მაგრამ მშვიდი და გულ-გრილი. და თუ ტყვე და ალეკო ბაირონის იმედ-გაცრუებულ გმირთა ღანდებია, ონეგინი უკვე რუსულ ნიადაგზე მიმაგრებულა, მიუღია წმინდა რუსული ფერი, რუსული ქუდი დაუხურავს. აქ, როგორც იძახის ბუსარიონ ბელინსკი, „ონეგინი არც მქლმოტია, არც ჩაილ-ჭაროლდი, არც დემონი, არც ჰაროდა, არც ახალ-შემოდებული ქარაუშუტა, არც დიდი კაცი, არამედ მხოლოდ კეთილი ადამიანი, როგორც თქვენ და მე, როგორც მთელი ქვეყანა“. მაგრამ დაუბრუნდეთ „კავკასიის ტყვეს“ და ვინახათ რუ რას წარმოადგენს მეორე მომქმედი ზირი ზოკმისა—ჩერქეზი ქალი. ამ ქალის დახატვა—დასურათებაში, ნათლად მოსჩანს შატობრიანის ზე-გაფლას. მისმა რომანებმა. „ატალა“ და „რენე“-მ გამოიწვიეს ჰუშკინში სილუეტის ჩერქეზ-ქალისა, ამ ბუჩების ნახ, გულ-უბრიველო და გულ-შემატკივარ ასულითა. იგი განხორციელებია, ანუ თვით-სახე ჰოკეზიისა. ნების სიმტკიცე, სულის

ძალა და ნაჩნარი ქალობა — აი მთავარი თვისებები ამ მთის ასულისა. იგი წინააღმდეგობა ტყვის, და მიტოვებ მასში არაფერი არ არის ხელოვნურად შეკაწიწებული. იგი მთლიანი ნატკერია ბუნებისა. ახა ოდნავ მიუახლოვდით, დააკვირდით, და დაინახავთ როგორი სღია და როგორი მთლიანი არსება. მას ნახა ტყვე და სიბრალულმა, აავსო მისი გული. იგი ხშირად დაიარებოდა მასთან, სევედას უკუ-საერელად, ხვედრის შესამსუბუქებლად. „უმდურდა იგი ჭანკებს ღად მთების, ღად საქართველას (?) ბედნიერ ჭანკებს“... და შეიყვარა ტყვე. შეიყვარა ისე, როგორც შექმლო შეყვარება არსებას მისეპრ სადს, ვნება-ანთებულს და უბიწოს. შეიყვარა იმ ცეცხლებრივი სიყვარილით, რომელიც ძლიერდება სამხრეთის მზის ეფვარე სხივთა მაერ, და რომლითაც შეუძლიან შეიყვაროს მხოლოდ ცოცხლს ძლიერს და მკვირცხლს სამხრეთის ასულს. ჩერქეზ-ქალმა ცეცხლის სიტუებით დასწნა ტრფობის გვირგვინი, და გაბრუებული ტრფობის ღვინის მათრობ ძალით ეხურჩულებოდა ტყვეს:

„...ტყვევ საყვარელო, გადაიყარე გული-დან ჯანლი, „მოიყრდნე ჩემ მკერდს და დაივიწყე თავისუფლება, სამშობლოს ჰანგი. „სულის მეუფევე, თვით-უღაბნოში ვიბრძოლებ შენთან სიხარულითა, „ჰა, შემეყვარე, ჯერ ჩემ ნორჩ თვალებს კოცნა პირველი არ შეჰხებია, „ჯერ ჩემ საწოლთან ვინმე ჩერქეზი, ცეცხლებრ მგზნებარე, სულ ყომა, შავ-თვალა „ლაშის წყვილიადში არ მოჰპარვია. მე აქ ვითვლები მკაცრ ქალწულ ქალად, „ქალად ლამაზად, დაუნდობელად. მე ვიცი ხვედრი ჩემი შავი დღის, „მამას და ჩემ ძმას მკაცრს, ურჩს, უგულლოს ოქროზე უცხოის სურთ რომ მიმყიდონ,

„უცხო ადგილას შორს გამათხოვონ უცხოთა შორის...“  
 „შევევდრები მამას და ძმასა, არა და ვპოვებ ხანჯალს ან შხამსა.  
 „გაპოუცნობი, საკვირველ ძალით შენთან ვარ ჩემო შეერთებული,  
 „მიყვარხარ, გესმის, ტყვევ სასურველო, შენით სულდგმულობს ჩემი ყრმა სული. მაგრამ არა. ცივი აღმოჩნდა ტყვე-რუსის გული. მისმა ცეცხლის სიტყვებმა ვერ გაათბეს შეპერობილის ცივი მარმარილო. ქაღმა ვერ იპოვა მაგური სიუვარული. ტყვემ ვერ უთხრა მას „მიუვარხარო“, რადგან შორეულ ქალის ხატება არ აძლევდა ამის ნებას. „ეს სიუვარულიც მაღე გაჭქრება, მის ნაცვლად სევდა დაისადგურებს, ხოლო ღამაზი ისევ ხელახლად სხვას შეიყვარებს, სხვას ასულდგმულებსა“, იყო ხოლმე ზნეუნი. მაგრამ ჩერქეზის ქალი არ გამოდგა შურისმაძიებელი, როგორც საზოგადოდ ჰხატავენ ხოლმე კავკასიელ ქალებს. არა. მან გაიგო ტყვის გულში დაგუბებული სევდა, აძღვრული ნადველი, და აკი მიტრამან ეტეოდა:  
 „შენ გიყვარს რუსო? მას შენ უყვარხარ?  
 „მესმის მე შენი ტანჯვა სულითა,  
 „გთხოვ ნუ დამცინებ, გთხოვ მაპატიე  
 „სევდა—ცრემლები სიყვარულისაო,  
 და წავიდა. ხოლო არა სამუდამოდ. მან გადასწევიტა მისი შველა, მოიქმედა კიდევ ეს, და თვითონ კი მსხვერპლად შეიწირა სიუვარულის საკურთხეველზე. მან განათავისუფლა რუსი ტყვე. რომ წასულიყო შორეულთან, და მით შეემცირებინა ტანჯვა-მწუხარება. რადგენი მძლეობა, რადგენი სიმტკიცე და დიდ-სულთნობა. მან, ტყვემ დაუმსხვრია სინდონსლე, მოუწამლა და აუძღვრია გრძნობის წყარო, მან კი ახუტა თავისუფლება და ეს სიტყვები გააუფლა:  
 „იბოვე იგი და შეიყვარეო...და  
 „ტრფობის კურთხევა შენთან იქნება,

„არც ერთი წუთით არ მოგშორდება,  
 „მშვიდობით. ერთს გთხოვ: მთლად დაივიწყე  
 „ჩემ ტრფობის ტანჯვა, ტრფობის გოდება,  
 „მომეცი ხელი უკანასკნელად...ო—  
 ამ სიტყვებით შეერა იგი მთის აქაფებულ მდინარეს, და ასე დააბოლავა სიუვარულის ტრაგედია. და აქ გასაკებია თვით მწერლის სიტყვები, შემდეგ დაწერილი: „ოხ, რატომ არ დაიხრჩო ჩემი ტყვე ჩერქეზ-ქალთან ერთანდო“, — და მართლაც, მკითხველი მოკლის რადგანს, უცდის, თუ რას იზამს ტყვე-რუსი, მაგრამ ამაოდ. მას უკან-მოსახედად ადარ სცალიან. იგი მიეშურება და მიჭქრის იქითკენ, საიდანაც მოსჩანდა რუსთა ხიმტები.  
 ხოლო უველა ამის შემდეგ კი უფრო ნათლად და უფრო გარკვეულად სახიერდება მშვენიერი სახე ჩერქეზ-ქალისა. ნების სიმტკიცით, იგი უნათესავდება შექსპირის ჟულიეტას, რომელიც იმდენ გმირობას იჩენს, რომ წარბ-შეუხრელად მიდის სასიკვდილოდ ქმრის გვამის გვერდით. სიკეთით და სინაზით, სათნოებით და თავ-დადებული სიუვარულით იგი გვაგონებს სიმშვენიერის მწერვალზე ასულ დეზდემონას; ერთი სიტყვით, ჩერქეზ-ქალი, თავისი სიმშვენიერით, ისეთ ტიტანებთან აახლოვებს ზუშკინს, როგორნიც არიან შექსპირი, შილლერი, გეტე, ბაირონი და სხ... რომელთა ჰენამაც შეჭქმნა მატყვევებელი სახეები იუღია დეზდემონ, ჟულიეტა— დოროთეასი და სხვათა... ასეთია ჩერქეზ-ქალი.  
 დასასრულ, უნდა შევხერდე ზოემის ეპილოგზე, სადაც ზუშკინი ფართე გზას აძლევს მასში მოზღვავებულ „პატრიოტულ“ გრძნობას, და სასტიკ, ტანჯ საუვიროთ გადმოგვცემს გულის ხმაურს. არ შემოძლიან არ შევხერდე, რადგან ეს ზოემა მან შეჭქმნა უკიდურეს ღიბერალობის ხანაში, როგორც ამას ხმარობენ რუსი მწერლები, იმ ხანაში, რო-

ხრა, საქციელი თუ ჩვეულება მოწაფეთა, — ყოველივე ეს უნდა მიიქცევდეს ფრიად სერიოზულს ყურადღებას კლასის დამრიგებლისას. იგი კლასის სიხარულით უნდა ჰხარობდეს და მისი ნაღვლით იგიც სწუხდეს. თუ კლასი კარგია — კლასის დამრიგებლის წყალობით და ქება-დიდება მას, და თუ ცუდია — ესეც მისი წყალობით და ზნეობრივ სრული პასუხის მგებელია სასწავლებლის წინაშე.

ყოველნაირი მუშაობა სასწავლებელში, გაკვეთილია იგი რომლისამე საგნისა, საკითხავია თუ საუბარი და სხვა, რასაც კი მიზნად აქვს სწავლება და აღზრდა, უნდა სწარმოებდეს მოწაფეთა აქტიურის მონაწილეობით, ესე იგი რომ მოწაფეები თითონ ჰფიქრობდენ, აზროვნობდენ, მსჯელობდენ, თავის თვალთ ჰხედავდენ, რაც დასაინახავია და თავის ხელით აკეთებდენ, რისიც გაკვეთება საჭიროა და შესაძლებელი. ეს უნდა იქონიონ განუშორებელი მხედველობაში კლასის დამრიგებლებმაც, თითოეულმა მასწავლებელმა ცალკე და ერთად მთელმა პედაგოგიურმა საბჭომაც. ამ პრინციპის ძალით უმეტეს ნაწილად ფორმა სწავლებისა უნდა იყოს ევრისტიული, როგორც ისეთი, რომელიც აუცილებლად მოითხოვს მოსწავლეთა აქტიურს მონაწილეობას, მხოლოდ, რასაკვირველია, ევრისტიულს წესსაც თავის ზომა გააჩნია და ეს ზომა უექველად მიღებულ უნდა იქნეს სახელმძღვანელოდ. პირველ ხანებში და რამდენადაც უფრო დაბალია კლასი, იმდენად უფრო მარტივი კითხვა მიეცემა მას და შემდგომ თანდათან და იმის მიხედვით რამდენადაც უფრო მაღალია კლასი, იმდენად უფრო რთული. ამის მიხედვით მოწაფეთა პასუხიც დაბალ კლასებში უფრო მოკლეა ხოლმე, უფრო მარტივი, ხოლო უფროს

კლასებში თანდათან უფრო ვრცელდება, უფრო რთულდება და ბოლოს იქცევა ერთ ვრცელ მთლიან პასუხად ამა თუ იმ წინადადებულს კითხვაზე, იმისთანა პასუხად, რომელიც შეიცავს მრავალს აზრს, დაკავშირებულს ურთიერთ შორის ლოკურად და გრამმატიკულად და მწყობრად გამოთქმულს. ზოგს შემთხვევაში სასწავლო მასალის მიხედვით მასწავლებელი იძულებულია დოგმატიურს ფორმას მიჰმართოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც დაბალ კლასებში უნდა ჰცდილობდეს დიდ ხანს არ გავრძელოდეს ლექციური გარდაცემა მასალისა, იქვე გაამეორებინოს მოსწავლეს გარდაცემული, აღადგინოს მოსწავლეთა მეხსიერებაში გავლილი ფაქტები, დააკავშირებინოს და შეადარებინოს იგინი ახლებთან და გამოაყვანიოს დასკვნა.

საქმიანობის თავში, რის წყალობითაც შეგვიძლია ავამოძრავოთ მოსწავლეთა ძალები და განვაახლოთ სასწავლებლის სული, უნდა დავაცენოთ იმისთანა საგანი, რომელიც თავის სივრცით და სიღრმით სრულიად იპყრობს მთელს ადამიანის ცხოვრებას, როგორც გონიერის არსებისას. ეს არის მოძღვრება ქრისტიკისი. დაესაღმრთო სჯულის მასწავლებელმა ანუ, უკეთ ვსთქვათ, მოძღვარმა იწყოს ქრისტიანულ გრძობის გაღვიძება მოწაფეთა გულში დიდებულის სურათის გაცნობით, მაცხოვარმა რომ აკურობს ყრმანი. თვით მაცხოვრის სიტყვები მტკიცეთ უნდა შთაებგეტლოსთ მოსწავლეებს მეხსიერებაში. შემდგომ ამისა თავის მოღვაწეობაში, თავის დამოკიდებულებაში მოწაფეებთან მოძღვარი უნდა ჰცდილობდეს ყოველს შემთხვევაში თვალის წინ ელგეს მათ ცოცხალ მაგალითად სიყვარულისა და მზრუნველობისა მოყვასისადმი. სარწმუნო-

ნობა თვინიერ საქმისა მკვდარ არსო, და ამის მიხედვით იგი მოწაფეებშიდაც უნდა ნერვაედეს საქმიანობას, ქრისტეს მოძღვრების განმახორციელებელს: ერთმანერთს შორის სიყვარულს, ერთმანერთის დახმარებას საჭიროების დროს. პირველ ქრისტიანებს საერთო ჰქონდათ ქონება-მონაგარი და ყოველთვის შეელოდნენ თავის საზოგადოების წევრთ და სხვათაც. დაე მოძღვრის შთავონებით შეადგინონ მოწაფეებმა წრეები და ამ წრეებმა გადასდვან შეძლებისადაგვარად თავისი წვლილი საერთო თანხად კეთილის საქმისათვის. სარწმუნოებრივი გრძნობა დიდი ოწინარია ერის ცხოვრებაში; ამას გვიმტკიცებს ებრაელთა ცხოვრება და თვით ჩვენი ისტორიაც. სარწმუნოებამ გაამაგრა ებრაელნი; სარწმუნოების წყალობით გადიტანეს მათ ყოველნაირი დევნა, დღემდე შეინახეს თავი და თუმცა გაფანტულნი არიან სხვა ერთა შორის, მაგრამ შეინარჩუნეს თავისებურობა და ბევრმა მათგანმა გამოიჩინა დიდი ნიჭი, ცოდნა და წარჩინებული მოღვაწეობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ჩვენც, ქართველები, კაჟად გვაქცია ქრისტეს სარწმუნოებამ, აგყატანია ურიცხვ მტერთან გამუდმივებული ბრძოლა და აქამდის შეგვანახვია ეროვნული გრძნობა და ტერიტორიაც.

დაე მოძღვარმა შესცვალოს ის შაბლონური სწავლება საღმრთო სჯულისა, რომელიც გაჰფეებულია ამჟამად სასწავლებლებში. განა წარმოსადგენია, ახალ აღთქმას ვასწავლიდეთ ყრმათა რუდაკოების და სვირელინების წიგნებით, როდესაც ქრისტე მაცხოვარმა გვიანდერძა სახელმძღვანელოდ წმიდა სხარება? წარმოუდგენელია, დიდი შეცდომა არის და ეს შეცდომა ვალდებულნი ვართ გავა-

სწოროთ ახლავე და ის დიდებული სახელმძღვანელო მივსცეთ ხელში მოხადთაობას, რომელიც ქეშმარიტი დამრიგებელია ცხოვრებისათვის, რაც პროგრამით მოითხოვება ახალი აღთქმიდვან, დაე მას კითხულობდენ პირდაპირ სახარებაში მოძღვრის ხელმძღვანელობით, მისის განმარტების დახმარებით. ეს ყოველ სახელმძღვანელოთ მეფე-წიგნი უნდა იყოს მოწაფესთან განუშორებლად შინ და სკოლაში, დაბალ კლასებში და მაღალ კლასებშიდაც.

დაე მოძღვარმა უხელმძღვანელოს მოწაფეთ, წააკითხოს წიგნაკები, დაწვლილებით გააცნოს ქრისტიანობის ისტორია საქართველოში და ცხოვრება-მოღვაწეობა იმ ქართველთა, რომელთაც თავი დასდევს სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის.

მოძღვარის ვალია პატარაობითგანვე მიაღებინოს მოწაფეებს მონაწილეობა წირვა-ლოცვაში, რა სახითაც ეს შესაძლოა მათთვის, და განამშვენოს ღმრთის მსახურება კარგის ქართულის გალობითა და მხურვალე ქადაგებით საეკლესიო კათედრითგან. დაე კრძალულმა ლოცვამ და ტკბილმა გალობამ და სიტყვამ შეადულოს ერთად მოსწავლენი, მასწავლებელნი და მშობელნი და დაამყაროს მათს გულში ღრმა სიყვარული ქართულის ეკლესიისა და ქრისტეს მოძღვრებისა.

ქნა და ღიტერატურა. ამ საგნების შესწავლა ხომ მხოლოდ ვარჯიშობით შეუძლიათ მოწაფეებს? ეს უტყუარი ქეშმარიტებაა. უმოძრაობით თავის დღეში სიარულს ვერ ისწავლის ადამიანი და სიჩუმით მქვერმეტყველობას. თუ გინდათ ენა ასწავლოთ, უნდა ალაპარაკოთ მართლმეტყველებით. თქვენ კი არ უნდა ლაპარაკობდეთ ბევრს, როგორც ეს სჩვე-

ვით ხშირად მასწავლებლებს, უმეტესად მოსწავლე უნდა აღაპარაკოთ და არა იყოლიოთ იგი ჩუმად მჯდომარე. თუ გნებავთ წერა ასწავლოთ, თხზვა, უთუოდ ავარჯიშეთ ამ საქმეში; ჯერ დარწმუნდით, რის თქმა შეუძლია სიტყვიერად, მერმე დააწერინეთ. ლიტერატურის ნაყოფიერი ცოდნა მოითხოვს პირდაპირ გაცნობას მასთან მოსწავლეებისას ლიტერატურულ ნაწარმოებთა წაკითხვით მათმიერ და არა ზეპირგადაცემით ან სახელმძღვანელოს წაკითხვით, ამა და ამ მწერალმა ეს და ეს თხზულება დასწერა და ეს და ეს არის ნათქვამი თხზულებაშიო. ლიტერატურის შესწავლისათვის საჭიროა ბიბლიოთეკა რჩეულ წიგნებისა, კოლექტიური საკითხავები, წერითი ვარჯიშობანი; მოხსენებანი წაკითხულის გადმოსაცემად, ტაპების დასახასიეთებლად, შესადარებლად მომქმედ პირთა მათის მოღვაწეობის დასაფასებლად და ამა თუ იმ იდეის განვითარების გამოსარკვევად და სხვადასხვა.

საქმიანობა ისტორიის სწავლებაში უნდა განხორციელდეს კურსის შესაფერი სხვადასხვა ისტორიული წიგნების წაკითხვით, ისტორიული რუკების მოხაზვით, გენეალოგიური სქემის გამოსახვით, გაკვეთილების კონსპექტების დაწერით და სხვადასხვა გვარი წერითის ვარჯიშობით გავლილი კურსითგან. პრაქტიკულს სივარჯიშობებს ამ საგნისას ეყუთვნის აგრეთვე გაკეთება სხვადასხვა მასალისაგან ისტორიული ტანისამოსების, იმდროინდელი სახლების, ტაძრების, ციხეების, ეტლებისა, სხვადასხვა სამოქალაქო და საომარ იარაღების ნიმუშებისა, და ისტორიულ პირთა გამოსახვა სურათებით ანუ ქანდაკებით. ფრიად სასარგებლოა ექსკურსიები ისტორიულ ნაშთთა გასაცნობად.

გეოგრაფიაში: სამშობლოს აღწერის სწავლების დროს ექსკურსიები; სქემატიური მოხაზვა მდინარისა შენაკადებითურთ, ტბისა, კუნძულისა, ზღვისა, ზღვის უბისა; ფიცარზე ან სქელ ქაღალდზე (კარტონზე) შეძერწვა ზღვის უბისა, კუნძულებისა, ქვეყნის ნაწილებისა; მოხაზვა ქვეყნის ნაწილებისა; ფერადებით აღნიშვნა რომელიმე ტერიტორიის დაყოფისა; დიაგრამების შედგენა სხვადასხვა გეოგრაფიულ ცნობებისა; სხვადასხვა სამუშაო იარაღთა ნიმუშების გაკეთება ხალხის სოფლის მეურნეობის ანუ სხვა სამრეწველო საქმის გასაცნობად; შეძერწვა სახლებისა და სხვა შენობათა ნიმუშებისა, რომელნიც ახასიათებენ ერის ცხოვრებას და სხვა. საინტერესო და სასარგებლოა მოწაფეთათვის ქვეყნის ნაწილების გამოსახვა რელიეფად მიწაზე სკოლის ეზოში ან ბაღში.

ბუნების მეტეკელების სწავლაში აქტიური მონაწილეობა მოსწავლეთა უნდა გამოიხატოს მცენარეთა და მინერალთა ეკზემპლიარების მოპოვებით. (შეძლებისა დაგვარად), რომელზედაც საუბარი აქვს მათთან მასწავლებელს, მცენარეთა ნაწილების და ცხოველთა სხეულების დახატვით ან რომლისაძე მასალისაგან ნიმუშების შეძერწვათ. ამასგარდა მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოსწავლენი ჰრგვენ სკოლის ეზოში და ბაღში სხვადასხვა მცენარეებს და უვლიან მათ.

ფიზიკაში საქმიანობა მოსწავლეთა განხორციელდება მათმიერ საჭირო მასალის დამზადებაში ფიზიკის კანონების დასასურათებლად, უბრალო იარაღების გაკეთებაში გამოცდათა საწარმოებლად და მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობაში თვით ფიზიკის კაბინეტში. მუშაობს მთელი კლასი ერთსადიმავე დროს, თითოეული

საკუთარს მაგიდაზე, ანდა მეცადინობა სწარმოებს ჯგუფობრივ. სასურველია თითოეული აქტიურს მონაწილეობას ღებულობდეს მუშაობაში. პრაქტიკული მუშაობა იმართება გაკვეთილების დროს და გაკვეთილების შემდგომაც სავარჯიშოდ, ნასწავლის განსამტკიცებლად.

ართმეტიკის სწავლაში აქტიური მონაწილეობა და განხორციელება მისი, რასაც სწავლობენ, გარდა ამოცანათა ეხსნისა, საკუთარ ამოცანათა შეთხზვისა და საჭირო ტაბულების შედგენისა, უნდა მდგომარეობდეს აგრეთვე სხვადასხვა ზომების ნიმუშების გაკეთებაში მოსწავლეების მიერ: საწყობებისა, სიგრძისა, სიძიძისა და სხვ.

პრაქტიკული ვარჯიშობა და ხელსაქმიანობა გეომეტრიაში: გეომეტრიული თეორემების ახსნას თან უნდა სდევდეს გეომეტრიულ ფიგურათა და სხეულთა ნიმუშების დამზადება მოსწავლეთა მიერ. ძალიან სასურველია მოსწავლეები ჰკდილობდნენ თითონ მოიგონონ სხვადასხვა საშუალების ნიმუშები. დასამტკიცებლად თეორემისა სხვანაირად, ვიდრე სახელმძღვანელოში ან მასწავლებელს აუხსნია. მოსწავლეები უნდა ვარჯიშობდნენ სხვადასხვა სიშორის და სივრცის გამოანგარიშებაში და სხეულთა მოცულობის გამოკვლევაში.

ხატვის სწავლება. ამ საგნის სწავლებაში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ვარჯიშობას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეებმა, რამდენადაც ეს ძალ უძსთ ტეხნიკურად, დაასურათონ თავის თვალთ ნანახი, წაკითხული და მოფიქრებული. მუშაობა ამ საგანში უნდა იყოს დაკავშირებული თვით მოსწავლეების ცხოვრებასთან - იმისთანა საგნებს უნდა ეხებოდეს, რომელნიც მათ გარს არტყიან, აინტერესებენ მათ, რაიმე როლს ჰთამა-

შობენ მათს ცხოვრებაში. ხატვის სწავლება შეერთებული უნდა იყოს ძერწვა-ქანდაკებასთან.

ერთის სიტყვით ყოველი საგნის სწავლება უნდა სწარმოებდეს იმგვარად, რომ რასაც უხსნიან მოსწავლეს, ყოველივე ამა თუ იმ სახით, რამდენადაც კი შესაძლებელია, განსახიერებელი, ნივთიერად გამოხატული იქნეს მოწაფის შრომით, მისის საკუთარს ხელით. ამისათვის ფრიად საჭიროა დაარსებულ იქნას სასწავლებელში ხელგარჯილობის კლასი, რუსულად რომ იტყვიან: *классъ ручного труда*. გამოსახვა ამა თუ იმ ნივთიერის საგნისა, ან განხორციელება რომლისამე წარმოდგენისა აუცილებლად მოითხოვს მოფიქრებას, მოსაზრებას, რაიცა დაუკვირვებლად, შეუდარებლად შეუძლებელია. ამ მოფიქრება-მოსაზრების დროს სულიერად ვითარდება მოწაფე: იგი იჩენს ყურადღებას საგნისადმი, ავარჯიშებს მესხიერებას, ავარჯიშებს გონებას და სხვადასხვა გვარ გრძნობათა. დაინტერესებული ამ მუშაობით, იგი ჰკდილობს დასძლიოს სიძნელე, რომელიც თანახლავს ყოველი საგნის განხილვა-გაგებას და გამოსახვას, მონდომებულია შეასრულოს თავის განზრახვა, ახსნას და გამოიყვანოს რომელიმე ამოცანა ან თეორემა, შეადგინოს რისიმე გეგმა, შეთხზას რამე და დაამთავროს მოსაზრებული და უკვე დაწყებული. ამასობაში იგი ეჩვევა შრომას, საქმიანობას, ავარჯიშებს თავის ნებაყოფლობას და იმტკიცებს ხასიათს. ამგვარად გართულს საქმეში ცუდ-უბრალოდ დროის დაკარგვა, ცუდის რისიმე მოფიქრება არ უხერხდება. ამგვარად ნახელმძღვანელები მოზარდი იმდენად ეჩვევა საქმიანობას, იმდენად ებრჯნება მას ძვალრბილში შრომის მოყვარება, რომ მისი

უსაქმოდ ყოფნა წარმოუდგენელია. ყოველთვის ჰკდილობს რამე საქმე გამოსძებნოს და გააკეთოს, უსაქმოდ-უშრომელად ვერ მოუსვენია. ამისთანა ადამიანი ხელ-ფეხ შეკრული რომ დააგდო სადმე, იმდენს ეცდება, რომ უეჭველად აიშვებს თავს და თავის ხელებს და თავის გონებას საქმეს აუჩენს.

ამგვარად აღზრდა არის მიზანი ზოგადი განათლებისა და ამ მიზნისაკენ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი საშუალო სასწავლებლების მოღვაწეობაც. ამისთანა სასწავლებლის მოწაფე, დარწმუნებული ჰბძანდებოდეთ, სპეციალურს განათლება-საც საფუძვლიანად მიიღებს და შემდგომ თავის სპეციალობას, თავის პროფესიონალურს ცოდნას სხვაზე არაფერზე გაცვლის და გამოიყენებს ცხოვრებაში თავისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ამისთანა გზაზე დაყენებული შესძლებს მუშაობას თვით გიმნაზიაში, ნაყოფიერად იშრომებს უმაღლეს სასწავლებელშიდაც და შემდგომ ცხოვრების ასპარეზზედაც.

თუ გვრწამს ამ პრინციპზე დამყარებული სწავლა-აღზრდა, თუ გამსჭვალულნი ვართ ამის საჭიროებით, ექვი არ არის მას შევუთანხმებთ ჩვენს შრომას და უკეთესს ნაყოფს მოვიმკით, რითაც დავიმსახურებთ სრულს თანაგრძნობას ქართველი საზოგადოებისას და ამის წყალობით კიდევ უფრო დიდს და მტკიცე ნაბიჯს გადავდგამთ მომავლისაკენ. მაშინ რიკრაჟი გარდაგვექცევა განმაცხოველებელ დილად და სრულად გაგვითენდება.

რაც შეეხება თვით ყრმათა, რომელნიც უნდა აღზარდოთ, იგინი წარმოადგენენ მადლიანს მასალას. თუ მხურვალე სიყვარულით დავაპყრობთ ხელს, თუ მუდამ იმ ფიქრით ვიზრუნებთ მათთვის, რომ

იგინი არიან მომავალი შთამომავლობა ჩვენი, მომავალნი მოღვაწენი, ხელმძღვანელნი და პატრონნი ჩვენის სამშობლო-სა, თუ ამ გრძნობით ვიმუშავებთ ენერგიულად, უეჭველია იგინი აღიზრდებიან საქმიან ადამიანებად. თვით ბუნების კანონია, რომ ადამიანი საქმიანი იყოს, მშრომელი. ეს იმგვარივე ბუნებრივი მოთხოვნილება არის, როგორც ის, რომ უსაზრდლოდ ვერც ერთი სხეული, ვერც ერთი სულიერი ვერ იარსებებს. აბა დაუკვირდით ადამიანს. ჯერ არ დაბადებულა და მოძრაობს. დაიბადება თუ არა და შეეხება თუ არა თავის გარემოცულობას, მაშინვე ხმას ამოიღებს, მოძრაობს, კიდევ უფრო მეტს მოძრაობას იჩენს, ვიდრე დედის მუცელში; ამოძრავებს სხეულის სხვადასხვა ნაწილებს, ავარჯიშებს, მაგრდება, იზრდება. უმოძრაოდ ერთს წუთსაც არ არის, თუ არ სძინავს. ვართობის დროსაც, როდესაც სათამაშოებს დაუკიდებენ ხოლმე აკვანზე, ამოძრავებს სხეულს და უთათუნებს სათამაშოს თავის პაწია თითებს. შემდგომ კიდევ უფრო შეგნებულად იწყებს მოძრაობას; მიმოდის, მიმოაქვს სათამაშოები. და დიდის ხალისით შრომობს, ჰბაძავს დიდებს, თავისებურად მუშაობს, სანამ არ დაიღლება ან საქმელი არ მოუნდება. მერმე სუამს, მოისვენებს და მასუკან ხელახლა რასმე აკეთებს. გონიერულმა აღზრდამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ კანონს ბუნებისას. ყველა ამის მიხედვით ზოგადი განათლების სასწავლებელი აუცილებლად საქმიანობის საფუძველზე უნდა იყოს აგებული, და მაშინ იგი უეჭველად აღზრდის საზოგადოებისათვის ნამდვილ მშრომელ და სასარგებლო წევრთ.

ალექსი ჭიჭინაძე

# მასწავლებელთა კურსები და გიმნასტიკა.

**ც**ხოვრება მუდამ წინ მიისწრაფვის და სოციალის სიჩქარით ვითარდება კულტურა. ამ განვითარებასთან-ერთად ყოველგვარ სპეცნიერო დარგში იბადება ახალ-ახალი იდეები, ახალი მისწრაფვებიანი, რომელთა განსხვავებულებად წარმოიშობიან ახალ-ახალი საშუალებანი და თეორიები. ამ ახალ მიმდინარეობათა-კი მუისგე უნდა ვუმოგონ ყოველ განათლებულს მხარეს და წრეში ნიადაგი, შესაფერი თან-გრძობით გამოძახილი და ცხოვრებაში გატარება. ის ხალხი, ან წრე, რომელსაც არ აქვს მათი შეთვისების უნარი, თუ სურვილი, უეჭველად თრგანულად მოსპობის გზას ადგია. ის ჩამოქვეითდება კულტურულად, განვითარების მდბალ საფეხურზე დარჩება და მას გაუსწრებენ უფრო ფიზიკური და მკრძნობიერი, — მას გაუსწრებს თვით ცხოვრება და დასტოვებს ბეჩავად უხეირო მდგომარეობაში...

განსაკუთრებით ახალთაობის სწავლა-აღზრდის საკითხში თავბრუდამხვევის სიჩქარით იცვლებიან შეხედულებანი... პედაგოგია ამ უკანასკნელ ხანებში შტკიცედ დაადგა ბავშვის შინაგან, სულიერ არსების, ანუ ფსიხოლოგიის ძირითად თვისებებს, მის თანდათანობით ბუნებრივ განვითარების კანონებს, რომ მას შეუთანხმოს სწავლა-აღზრდის წესები. ამის შედეგად სულ მოკლე ხნის განმავლობაში წარმოიშვა სრულად ახალი და ფრად შესანიშნავი ხანა, — ხანა ექსპერიმენტალური პედაგოგიკისა... ასეთი მუდმივი ექსპერიმენტი, ანუ ცდა — დაკვირვება ქმნის ახალ-ახალ თეორიებს,

იგონებს ახალ-ახალ ზომებსა და საშუალებებს...

ის პედაგოგიური მოსაზრებანი და სწავლა-აღზრდის საშუალებანი, რომელნიც გუშინ თითქმის ანბანურ ტეშმარიტებად იყო აღსარებული, დღეს დაგმობილია და უარყოფილი, რაც დღეს არის, უეჭველია, ხვალ ესეც წარსულს ჩაჭბარდება და დაიბადება სხვა, ახალი, უკეთესი და აგრე თანდათან იცვლება, ვითარდება, უმჯობესდება და შეუპოვრად მიისწრაფვის წინ იმ ნათელ ტეშმარიტ იდეისაკენ, რომლის საშუალებითაც უნდა აღიზარდნენ ნამდვილი აღმინები და მოქალაქენი სრული, უნაკლო, — როგორც შინაგანი, სულიერი, ისე გარეგნული, ანუ ფიზიკური მხრით თანასწორად განვითარებული პიროვნებანი...

ხოლო ამ მსიშე საქმის პრაქტიკულად განხორციელების მტვირთველი პედაგოგ-მასწავლებელი ხშირად და თითქმის ყოველთვის მიჭმართავენ ამ საქმეში იმ ზომას-საშუალებებს, რომელნიც შეისწავლეს და გაიცნეს რომელსავე სპეციალურს სასწავლებელში ამ 5, 10, 15 და ზოგჯერ 20, 25 წლის წინადაც, და რომელთაც დიდი ხანია პრაგრესმა ისტორიულ წარსულის არქივში საუკუნო განსხვავებული ბინა მოუპოვა, მაგრამ ზოგჯერ თვით ეს ოდესღაც შესწავლილი მტნებანიც-კი ავიწყლებათ უბრალო ბუნების კანონის ძალით. ამიტომ ისინი თავიანთ მისიის დროს ხშირად დგებიან სრულად ყაღბსა და საქმისთვის მავნებელ გზაზე.

ხოლო ვინაც ენერგია ყოფნის და შეუ-

ლიან გამოდებიან იმუშავოს თვითგანვითარებაზე, იმან, შესაძლოა, მხოლოდ რამდენადმე მაინც შეინარსუნოს და არ დაივიწყოს ამ ათეული წლების წინად გაუღილი ჰედაგოგიური მითხრობილებანი, მაგრამ ეს თანამედროვე სკოლისთვის დიდათ სანუკუშოს არაფერს წარმოადგენს, როგორც უკვე დაძველებული და უარყოფილი. ხოლო ახალ აზრთა, ახალ მიმდინარეობის შეთვისება და პრაქტიკულად განხორციელება სწავლა აღზრდის საქმეში ამ მასწავლებლებსაც არამედ-არამც არ შეუძლიანთ, რაც უნდა შრომის უნარით და ჰედაგოგიური ნიჭით იუვენენ აღჭურვილნი. და თუ შესძლეს, იმათი ნამოქმედარი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ სინამდვილის უსულგულო მიბაძვა—კარიკატურული რამ გამოდგება... ვინაიდან მარტო ჰედაგოგურს გამოცდებში ამოკითხულათ თეორეტიკულად გაცნობა ახალი, რაციონალური ჰედაგოგიის მოთხოვნილებათა, საკმარისი არ არის, რომ იგი თეორია საქმეში მოხმარდეს, არამედ მიუცილებელი საჭიროა თავისი თვალთაგან იხილონ ამ იდეების საქმით განსახიერება, შესაფერი პრაქტიკული გამოცდილება და თვითონაც წინასწარ თავიანთ თავზე უნდა შეისწავლონ სხვა, საკმაოდ გამოცდილსა და დასკულოვნებულ ხელმძღვანელთა შემწეობით...

აი, სწორედ ამისთვის არის საჭირო, ყოველ წლიური თუ-არა, პერიოდული მაინც სხვადასხვა ხასიათის მეთოდური-ჰედაგოგიური-პრაქტიკული კურსები მასწავლებელთათვის.

ეს საჭიროება დიდი ხანია შეიგნეს ვეღას განათლებულ ქვეყნებში და უკვე სათანადო ანგარიშსაც უწევს—მას თითქმის კანონად აქვთ შემოღებული ყოველ საზაფხულზე არადადეგებას, თუ სხვა მოხერხებულ დროს მართონ მასწავლებელთათვის ხსენებული ხასიათის მოკლე ხნის კურსები, სადაც მსმენელთ (გარდა იმისა, რომ გავლილს ამეორებიანებენ და მეხსიერებაში აღუდგენენ—განუახლებენ ზო-

გიერთს დავიწყებულს, საჭირო ჰედაგოგიურ მცნებებს,) აცნობენ ახალ მიმდინარეობას, ახალ იდეებს და მათს პრაქტიკულ განხორციელებას, სადაც თვით მასწავლებლებს, თეორიულად გაცნობის შემდეგ, იქვე პრაქტიკულად ავარჯიშებენ... აი, ამიტომაც იმათ სკოლებში სწავლა აღზრდის საქმე ჩქარი ტემპით მიისწრაფვის წინ უკეთეს მომავლისაკენ, ვათარდება და თანდათან უახლოვდება ჰედაგოგიის უგანასკნელ იდეას...

ამ განათლებულ ქვეყნების სსიქადულ მოგალითს მალე მივბაძეს რუსეთის ერობებმა და სხვა პროგრესიულმა საზოგადოებებმა. მოიწვიეს გამოცდილი ხელმძღვანელები და მათის მეოხებით აქაც მოაწივეს იმგვარივე კურსები მასწავლებელთათვის...

უნდა გვეთქვას, რომ ჩვენშიც, ქართ. შორ. წ.-გ. გამავრცელებული საზოგადოება, მისი განყოფილებანი და სხვა ლიბერალური წრეები, თუ დაწესებულებანი უმალ შენიშნავენ ამ ახალ მიმდინარეობას და შესაფერ თანგონილობით—ანგარიშს გაუწევდნენ მას. მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდინი არ გავიმართლდა და ამ შემთხვევაში ბიუროკრატიაში ცაცლებით უფრო გაუსწრო ამ ლიბერალურ საზოგადოებათ. ბიუროკრატიაში უმალ შეიგნო მასწავლებელთა კურსების მიუცილებელი საჭიროებასა-სახლხო განათლების საქმის დაწინაურებისა და კეთილდღეობისათვის—და მისივე შეუდგასეთ კურსების ყოველ წლივ მართვას. შედეგი ისეთივე სსიქადულად აღმოჩნდა, რაც დასავლეთ ევროპასა და სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში და ჩვენი სკოლებიც საკომინდოდ წასწია წინ, დაუხლოვა ტექნიკურ ჰედაგოგიის მოთხოვნილებას და დაუენა შედარებით უფრო რაციონალურ ნიადაგზე...

ქ. შ. წ.-გ. გამ. საზოგადოებამ-კი ამ საქმეში სავალდო გულკრილობა გამოიჩინა და დღემდე არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ მხრით, გარდა იმისა, რომ ამ ოთხიოდე

წლის წინად აღძრა შუამდგომლობა სამხსნავე-  
ლო მთავრობის წინაშე და ითხოვა ნებართვა  
ასეთი კურსების ქართულ ენაზე მოწოდებისა,  
მაგრამ, სამწუხაროდ, მთავრობამ ამის ნება არ  
ღართო, ხოლო უცხო ენაზე კურსების მოწო-  
დება საზოგადოებამ მიზანშეუფერებლად და  
უხერხულად სცნო და ამით ცათვდა ევკლას-  
ფერი, — თუ მსედველობაში არ მივიღებთ  
იმას, რომ წარსულ საფხულს მთავრობის-  
მიერ დ. ხონში გამართულ ზედაგოგიურ-მე-  
თოდირ-პაქტიკულ კურსებს თავისი ნებით  
დაეწრო ორი მასწავლებელი წ.-ჯ. საზოგა-  
დოების სკოლისა და მათ ამ საზოგადოებამ  
40—40 მანეთი მისცა იქ სახარჯოთ... სა-  
სურველი-კი იყო ხსენებულ საზოგადოებას  
თავის სკოლების სხვა მასწავლებელთათვისაც  
მიეცა შეძლების დავარად საშუალება და გაე-  
ცაფნა ასეთ კურსებზე, ხოლო მომავალში  
იმედია ეს საზოგადოება ამ საქმეში ისარგებ-  
ლებს 1914 წლის 1 ივლისის კანონით კერ-  
ძო სკოლების შესახებ და შესაფერს, სასურ-  
ველ ნებართვას აიღებს ამ კანონის ძალით  
ხსენებულ კურსების საკუთარის გემოვნების  
თანახმად მოწოდებისათვის...

ამ გვარს კურსებზე, გარდა რაციონალურ  
სწავლა-აღზრდის საზოგადო ზედაგოგიურ  
პრინციპებისა ეცნობიან სხვადასხვა სკანებისა  
და ხელობათა სწავლებას დასაწვის სკოლებში,  
როგორც მაგალითად ბუნების მეტეფელებისა,  
ხატვა-ხაზვისა, გალობისა, გიმნასტიკისა და  
სხვათა... დიდი ხანი არ არის მას შემდეგ,  
რაც ამ ხსენებულს სკანებს თითქმის არავი-  
თარა ადგილი არა ჰქონდა დათმობილი ჩვენს  
სკოლებში და ზოგი მათგანი (მაგალ. ბუნე-  
ბის მეტეფელება) სრულიად განდევნილი და  
აგრძალული იყო, როგორც აღმინის „გამოუ-  
კუდმართებელი ბორბტება“. მაგრამ უამთა  
ვითარებით კულტურულმა ზრდა-განვითარებამ  
დაგვანახვა მათი დიდი მნიშვნელობა და მიუ-  
ცხადებელი საჭიროება აღმინის სულიერ-ფი-

კურად სრულ ქმნილებად აღზრდისათვის და  
საერთო პროგრესისათვის. ამიტომაც დღეს  
ამ სკანების აუცილებელ საჭიროებაში მდი-  
რედი ეჭვინ არავის შეაქვს და სათანადო ად-  
გილი და პატივიც აქვთ მათ დათმობილი  
თანამედროვე ევკლას წოდებისა და ხარისხის  
სკოლებში... მაგრამ, სამწუხაროდ უნდა გა-  
ღიარო, რომ ზოგიერთს მათგანს და განსა-  
კუთრებით-კი „გიმნასტიკას“, მიუხედავად  
თვისი ფრიად დიდი მნიშვნელობისა, ჯერ  
კიდევ ვერა აქვს მოპოვებული აწინდელს ჩვენს  
სკოლაში შესაფერი დიხსეული ადგილი —  
ურადდება და პატივი...

მე არ შეუვადები აქ იმის გამოკვლევას,  
თუ რითი აიხსნება ეს ფრიად არა ზედაგო-  
გიური მოვლენა? შეუკნებლობით, თუ იმ  
უკუდმართ ტენიკური პირობებით, რომელ-  
შიაც ჩვენი აწინდელი სკოლები იმყოფებიან,  
მაგრამ შედეგი-კი, — ამ სკოლების აშკარა,  
თვალსაჩინო და სამწუხარო დეფექტად უნდა  
ჩაითვადოს... მართალია, საშუალო სკოლებსა  
და ზოგან დაბალშიაც ე. ი. პირველ დაწეუ-  
ბითში, კვირში თვითო ორთლა გაკვეთილი  
აქვს ამ სკანს დათმობილი, მაგრამ, — ერთი  
რომ ეს დრო სრულიადც არაა საკმარისი.  
შეორენ — ვინაიდან ეს სკანი დიდ არაფერ  
საჭიროდ მიანჩიათ, ხშირად ამ დროსაც სხვა  
რანზე, ვითომ „უფრო საჭირო“ (1) სკანს  
დაუთმობენ ხოლმე და მესამეც აქ უფრო სმი-  
რად შემოღებულა ფრიად არარაციონალური  
და ბავშვის სხეულის ევკლას ნაწევრთა ბუნე-  
ბრიფ თანასწორ განვითარებისთვის საჭირო  
ვარჯიშობანი, არამედ გამოეფეულა ძველთა-  
ძველი-პრიმიტიული, მსედრული მოძრაობანი,  
პირველი საფეხური მომავალი ჯარისკაცის  
სამხედრო თანამდებობისთვის აღსაზრდელად;  
რაც, აჩვენს-რა ბავშვის ზოგიერთს, სხედი-  
ფურს, ხელფანურ მოძრაობას, — უვითარებს  
სხეულის მხლოდ ზოგიერთ ნაწევრთ და  
მისს საერთო ფიზიკურ ბუნებას უფრო ამა-

—1863 წლებში). 1866 წელს დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. სიცოცხლის დანარჩენი დღეები ტფილისში გაატარა. დიდს ყურადღებას აქცევდა საზოგადოებრივ საკითხებს და ყოველს ახალს მოძრაობას ცხოვრებაში. პოეტს ახალი მისწონდა რა... თავად-აზნაურობა მის თვალში ღირსებობდა, ქართული ღვთის მსახურება და გალობა აგრე რიგს პატივში აღარ იყო, პატრიარქალური ზნეჩვეულებანი ეცემოდნენ, რუსთველის „ტკბილი ქართული ენა“ იბღალბებოდა, მისი მეგობრები თანდათან იხოცებოდნენ, და ყოველივე ეს პოეტის გულს ნაღველს უძლიერებდა. განსაკუთრებით თავისი გვარის ბედი აფიქრებდა. მეტად აღელვებდა ის გარემოება, რომ 1870 წლიდან დაიწყო ქართული ენის და ლიტერატურის დევნა მთავრობის ზოგიერთმა იწრო შეხედულების და ყალბი მამულის შვილობით გამსჭვალულმა რუსთა მოხელეებმა. 1873 წელს შეაიწროეს ქართული ენის სწავლება ტფილისის სასულიერო სემინარიაში და ამავე წელს განძახულ იქნა ქართული ღვთის მსახურების მაგივრად ეკლესიებში სლავიანური ღვთისმსახურების შემოღება. თავადი გრიგოლი, როგორც „მეცენატი“ („მფერველი“) ქართული ლიტერატურისა და სარწმუნოების მოყვარე გვამი, გამოესარჩლა ქართული ენის და ეკლესიის დაქვლილს უფლებებსა. 1873 წელს, სწერს იონა მეუნარგია გრიგოლ ორბელიანის მის მიერ შედგენილს ვრცელს ბიოგრაფიაში, ტფილისის სასულიერო სემინარიაში დაუწყეს დევნა ქართულს წიგნებსაც, ქართულს წერა-კითხვასაც, ქართულს გილობასაც, დარიცხეს მრავალი მოწაფე და დაითხოვეს ქართველი მასწავლებლები. დაიბადა სემინარიაში

ორი პარტია: რუსთა და ქართველთა. ჩვენს ენას არავინ გამოუჩნდა მოსარჩლედ, როდესაც ამ საგნის შესახებ მსჯელობა ჰქონდა სასულიერო მთავრობას—მხოლოდ მაშინ, როდესაც სინოდში დაამტკიცეს ახალი წეს-წყობილება, ტფილისის სამღვდლოება შეიკრიბა და საქმის გარემოება მოახსენა გრიგოლ ორბელიანს, რომელმაც ეს ამბავი მოახსენა თავისი მხრით მეფის მოადგილეს მიხეილ ნიკოლოზის ძეს. აი რას ამბობს პოეტი სინოდის მიერ გამოგზავნილი ცნობილი კერსკის რევიზიის შესახებ, რომელიც 1872 წელს მოხდა და რომელმაც ქართულის ენის და ქართველთა შეიწროება გამოიწვია ტფილისის სას. სემინარიაში: „იყო კაცი მოვლინებული ამ ზაფხულს სინოდით რევიზორად ტფილისის სემინარიისა. რა ნახა ანუ რა არა ნახა, რა მოგახსენო, მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ როდესაც ღრმასა მაღალგონიერების ქებაში დაადნეს სემინარიის საქმენი, გამოვიდა ბოლოს ესე, რომ მმართველობისა მოუწყვეტელმა მზრუნველობამ აღიყვანა განათლება და კეთილდღეობა საქართველოსი ისეთს მაღალს ხარისხზე, რომ ამას იქით ქართველი მღვდლისათვის აღარ არის საჭირო ცოდნა ქართულის ენისა, ესე იგი, აღარ უნდა ილოცონ ქართველებმა ქართულს ენაზე, რომლის სწავლა ამას იქით იქნება უსარგებლოდ დაკარგვადროისა; მაშასადამე სემინარიაში უნდა მოისპოს სწავლა ქართულის ენისა, რომელსაც ამასთანავე არ ჰქონია მდიდარი ლიტერატურა. ასე არჩიეს ამ ზაფხულს არქიელმა (ეგსევი), რევიზორმა (კერსკიმ) და მეტადრე ერთმა ქართველმა მღვდელმა, რომელმანცა თავგამოდებით, გულს მოდგინებით და დიდის მქვერმეტყველობით რჩევაში დაამტკიცა, თუ ვითარს

წარმატებაში და ბედნიერებაში შვევა საქართველო, როდესაც ქვეყანაზე განქრება სახსენებელი ქართულის ენისა. ჯერაც ცოცხალია ქვეყანაზე გამცემელი იუდაველიკი კნიაზს დიდად ეწყინა ესრეთი სინოდისა და არქიერისგან განკარგულება, რომელიცა შეეხება აქაურსა მხარესა; თვით აპირებს მომავალთვის პეტერბურღში წასვლასა და იმედი გვაქვს, რომ სამღვდელთების ასეთი პლანი დაირღვევა... საქართველოში ურიები, თათრები, სომხები, ლოტრანები ილოცვენ თავიანთს ენაზე, და არავენ არის დამწლები მათი; თვით ფრანგებიც (ქართველ კათოლიკენი) კი ქართულს ენაზე ჰგალობენ, და მხოლოდ ქართველებს უნდა მოესპოთ ქართულს ენაზე ლოცვა? რათა? აქ ხომ ჰაზრი არ არის, თუ არ დაჩლოუნდება, დაჟანჯება გონებისა? და ან საქართველოს ერთგულების მეტი რა დაუშავებია, რომ ესოდენტა სხვა და სხვა ხალხთა შორის მარტო ქართველები ამოუჩრჩევიათ დასაჩაგრავად? აი საქართველოს ბედი: მოყავინმე, თუ გინდა რევიზორი, თუ გინდა კარპენკო, გადაავლებს თვალს აქაურობას და მაშინათვე პლანი მუათ არის ჩვენის ბედნიერებისა და განათლებისათვის! ამაზე მეტი რაღა გვინდა?“

პოეტი თვალყურს ადევნებდა რუსეთის ცხოვრებასაც. ის შინაურ რეფორმების, განათლების გავრცელების და ხალხის კეთილ დღეობის გაძლიერების მომხრე და მხურვალე თანამგრძობელი იყო. დიდი ყურადღებით ექცეოდა მოხუცი პოეტი 1876—1878 წლებში რუსთა და ოსმალთა თათრებს შორის ატეხილს ომსა. მას უხაროდა, რომ ძველი სამეხეთოს ნახევარზე მეტი (ბათუმ-ართვინის მხარე) ოსმალთათათრთაგან საქართველოსთვის წართმეულა შეაგზნელ დროს

(მე 16—17 საუკ.) და გამაჰმადიანებულნი, რუსეთის სახელმწიფოს სამზღვრებში მოჰყვა ძირითადის საქართველოს მეზობლად... მაგრამ მას მეტად ანაღვლიანებდა ის გარემოება, რომ ქართველი მაჰმადიანები ბათუმის მხრისა სარწმუნოებრივი ფანატიზმის (ქართულად: „მიბრჯნილობის“) ჩაგონებით თავისს მამა პაპეულს მიწა-წყალს სტოვებდნენ და სათათრეთში დასასახლებლად მიდიოდნენ... ოსმალეთის ყოფილ საქართველოს რუსეთის სამზღვრებში მოქცევას იმ დროს მართლაც დიდის აღტაცებით მიეგება გრაიგოლ ორბელიანთან ერთად ქართველი საზოგადოების შეგნებული ნაწილი... გავისენოთ რას სწერდა ამ საკითხის შესახებ მაშინდელი გაზეთი „დროება“ (სერ. მესხის რედაქტორობით):

1. ორი რომელიმე ხალხის შეერთების დროს, ყველაზე უფრო ძნელი საქმე ის არის, რომ ამ ორს ხალხს შუა ერთმანეთის ნდობა იყოს; თავიდანვე უნდა იყვნენ ესენი დარწმუნებულნი, რომ ერთი მეორის გასაცარცავათ და შესაქმელათ როდი შეერთებულან, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ ერთმანერთს ხელიხელში ჩაავლონ და ამნაირათ უფრო ადვილათ გაიარონ ცხოვრების მძიმე გზა.

2. საჭიროა ქართული ენისა და წერა-კითხვის გავრცელება მაჰმადიან ქართველებში. ოსმალეთის საქართველოში ბევრი და კარგი სკოლა უნდა გაიხსნას, უექველად კი ქართულა სკოლები.

3. აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ არ შევეხოთ ახლათ შეძენილ ქართველების სარწმუნოებას. ჩვენი აზრი ეს არის, რომ არათუ ძალდატანებით, ქადაგებითაც, ტყბილი სიტყვითაც კი არ უნდა ვეცადოთ... მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებას...

4. მომეტებული ნაწილი ქობულეთისა, ჩაქვისა და ბათუმის მაზრის ქართველებისა გადადიან ოსმალეთში, ისეთ ნაირად გაფანატიკებულან მაჰმადის სარწმუნოებაში, რომ ეთაკილებათ, ერიდებიან მართლმადიდებელ სახელმწიფოს ქვეშ ყოფნას. ეს გარემოება დიდათ სამწუხარო და საფიქრებელი გარემოებაა... ამის გამო... საღმრთო მოვალეობას შეადგენს, რომ რჩევით, ჩაგონებით და სხვა ყველაფერი საშუალებით დაუშალოთ იქაურს ქართველებს ოსმალეთში გადასახლება“.

როდესაც ტფილისში მოვიდა 1878 წელს ქართველ მაჰმადიანთა დებუტაცია ქართველ ქრისტიანებთან ძმური კავშირის დასამყარებლად, გრ. ორბელიანი მიესალმა ამ დებუტაციას ქართველ მოღვაწეთა მიერ საგანგებოდ გამართულ ნადიმზე შემდეგ სიტყვებით: „კრება ესე წარმოადგენს სიხარულს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედის შვილნი, შავის ბედის გამო განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისთვის დაკარგულნი ანაზღუელად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა. ჩვენცა, აგრეთვე საქართველოს შვილნი, ვიყავით დაკარგულნი ერთმანერთისათვის საუკუნოების განმავლობაში; ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც არ დავვივიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები. თვალი, გული გვეჭირათქვენსკენ და ვნატრობდით, როდეს აღმოვა ჩვენთვის მზე შეერთებისა... დღეს ჩვენ შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმათა და მოხარულნი ვმადლობთ. ღმერთსა და ვევერებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყევლად... და დღეისიქით ღმერთსა და ქირშიაც უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად,

ვითარცა ერთნი დედა სსქარაველის შვილნი“... იმავე დროს „დროება“ ისეთ ჰაზრს ავრცელებდა, რომელიც სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია: „სარწმუნოების განსხვავება არ დაბრკოლებს, არ დაუშლის ჩვენსა და მაჰმადიანთა ქართველების ქმობასა და ერთობას“.

გრიგოლ ორბელიანი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდის მეტად ფხიზლად იყო. ახალგაზრდა ქართველს მწერლებს თანაუგრძნობდა, თუმცა ზოგიერთს ჰაზრებში, განსაკუთრებით ენის მხრით, მათ არ ეთანხმებოდა. ყოველს ქართულს დაწესებულებას თანაგრძნობით ეკიდებოდა, განსაკუთრებით ახარებდა ახალ ქართველ სამხედრო გმირთა გამოჩენა. ზამთრობით ქალ. ტფილისში მამა-პაპის სახლში სცხოვრობდა, ხოლო ზაფხულობით კი — სოფ. ტაბახმელაში, ტფილისის ახლოს. ბოლოს ხანმოკლე ავთამყოფობის შემდეგ პოეტი გარდაიცვალა უცოლშვილოდ ქალ. ტფილისში 21 მარტს 1883 წ.

მისი დასაფლავება არაჩვეულებრივად დიდებული იყო. წარმოთქმულ იქნა მრავალი სიტყვა სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთა და ქართველ მოღვაწეთაგან. შვენieri სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე საქართველოს ექსარხოსმა პავლემ. მან სხვათა შორის სთქვა შემდეგი პოეტის დამახასიათებელი სიტყვები: „ღმერთმა მიანიჭა განსვენებულს ვაჟაკური, მამაკური გული და იმან გახადა იგი სასიქადულო მეომრად. მიანიჭა სიბრძნე, და შეიქმნა კეთილი და ბრძენი მმართველი ქვეყნისა. მიმადლა ღმერთმა სული და გული პოეტისა, რომლის წყალობითაც ტკბილად აღელვებდა ხალხის გულსა, უნერგავდა კეთილს და წმინდა გრძნობებს და სურვილისამებრ ახარებდა კიდევცა და ატირებდა კიდევც მკითხველსა.“

მიანიჭა მრავალი კეთილისა და სამადლო საქმით გაშვებულნი დღევრდებობა. მაღლობა მას, ვინც ღვთისაგან მიმადლებული ნიჭი უქმად არ დაფლა მიწაში და სასიკეთოდ მოიხმარა. დიდება სასიქადულო და ქველ საზოგადო მოღვაწეს— განსვენებულს გრიგოლს. ყველგან და ყველა მხრიდამ: სასახლიდამა თუ ქობილამ, დიდებულთა, თუ მცირეთაგან, მდიდრებისაგან თუ ღარიბებისაგან, ყველასაგან სიყვარულის ხმა ესმის... საყვარელ სახალხო პოეტის სახელი მოიხვეჭა“.

პოეტი გრიგოლ ორბელიანი გარდაიცვალა იმ დროს, როდესაც ქართველი ხალხი რამდენადმე გამოღვიძებული იყო და თვისი ცხოვრების გარემოებანი გათვალისწინებული ჰქონდა. სამოციანი წლების მოღვაწეებმა შეაგნებინეს ქართველ საზოგადოებას, რა გვარი იყო მისი მდგომარეობა მთელი ოცის წლის განმავლობაში, ბეჭდვითის სიტყვის საშუალებით მათი აზრების ხალხში გაერცვლებამ გამოარკვია ქართველი ერი გარეტებისაგან: ძილით მოცულს ქართველბას ედიხსა გაღვიძება. ბატონ-ყმობის მოსპობამაც, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო

ხალხის გამოფხიზლებას. ხალხმა შეიყვარა განათლება და ხარბად დაეწაფა მას. გააღვიღდა მისელა-მოსვლა, აღებ-მიცემობა, ხალხის სხვადასხვა ნაწილი ერთმანერთს უფრო უახლოვდებოდა, საერთო ჭირი და მწუხარება იგრძნო და სხვა... 1883 წელს გრიგოლ ორბელიანის დამარხვაზე მთელმა ქართველმა ერმა გამოსთქვა თავისი მწუხარება და ყველას, მტერს და მოყვარეს, თავისი გაერთიანება ამით ნათლად დაანახვა... 1860 წლიდამ გაღვიძებულ ქართველს საზოგადოებას გრიგოლ ორბელიანის სიკვდილმა მისცა შემთხვევა თვისი გამოჩენილი მოღვაწეების პატივის ცემის დამტკიცებლად... .

დასასრულ, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთს ქართველს იმდენი პატივი და ყურადღება არ დაუმსახურებია რუსთა ხელმწიფეებისაგან, რამდენიც გრიგოლ ორბელიანმა დაიმსახურა. ხელმწიფობის კარდა, მან იგემა ყოველი ქვეყნიური პატივი და დიდება.

ილ. ფერაძე

(შემდეგა იქნება)



## ზოგიერთი საუმაწვილო თამაშობანი სვანეთში.

(შეკრებილი თავისუფალ სვანეთში).

1. ნახუღმ ღისკვნე. რაოდენიმე ყმაწვილი ორს თანასწორ დასად განიყოფება, მაგ. ოთხი ყმაწვილი, ექვსი, რვა, ათი, თორმეტი და სხვა... დანიშნავენ ადგილს, საიდანაც ერთმა დასმა უნდა დაიწყოს გახტომა (ლისკვნე). გახტომის დაწყებამდე ორი შემდეგი ცერემონია უნდა ასრულდეს: „ლილკპე“ (არჩევანი)

და „ლიცხრე“ (ჩხირის აგდება ე. ი. კენჭის ყრა). ორი ყმაწვილი დადგება განზე და მოახდენენ არჩევანს ამ ნაირად: თამაშის მსურველი ყმაწვილები ორ-ორი ღვანან ხოლმე ერთად. ერთი ამათგანი დაირქმევს „მზეს“ (მიუ), მეორე „მთვარეს“ (დოშდულ). მივლენ ზემოდ ნახსენებს ორს ამომრჩეველს ყმაწვილთან და ეტყვიან: „მზე გინდა თუ მთვარეო?“ ერთი ამომრჩეველთაგანი დაასახელებს ან მზეს, ან მთვარეს და ამ ნაირად ერთი ერთ ამომრჩეველისაკენ წავა და მეორე—მეორეს დარჩება. ამ რიგად განაგრძობენ ბოლომდინ, სანამ ყველა ყმაწვილები არ იქნებიან ამორჩეულნი.

ახლა რომელმა დასმა უნდა დაიწყოს პირველად გაბტომა, ამაზე დაიწყებენ ლაპარაკს და გაათავებენ იმითი, რომ ჩხირს, ან რვეალს და პრტყელს პატარა ქვას აისვრიან ზევით. ჩხირის ან ქვის მხარეები თვითოეულს დასს დანიშნული აქვს. რომელი დასის დანიშნული გვერდა ანასროლის ჩხირისა ან ქვისა ბინაზე ზემოდან მოექცევა, დაწყებაც იმ დასის ხვედრია. ერთი ამ პარტიის ყმაწვილი დანიშნულის ადგილიდამ (გარდ) დაიწყებს და შეუსვენებლად გააკეთებს ორს ნახტომს. სადაც ეს გაჩერდება, იქილამ განაგრძობს ამავე რიგად ხტომას მისი ამხანაგი და ამნაირად, სანამ ეს დასი არ გაათავებს. იმ ადგილს, სადაც მიაღწია დამწყებმა დასმა, დანიშნენ.

ამის შემდეგ მეორე დასი დაიწყებს გაბტომას. თუ პირველის დასის ნახტომს (სიგრძით) გასცილდა, მაშინ ეს დასი არის ნაჯობნი, თუ ვერ მიაღწია,—მაშინ წაგებულთა. წაგებულს მხარეს მიაღება შემდეგი დასჯა: ნაჯობნი დასის ერთი ყმაწვილთაგან, თითქმის ყოველთვის სხვებზე უფრო ღონიერი—პირდაღმა და-

წვება მიწაზე; აქეთ-იქით ილლიებში ამოიღებს თითო ფეხს ორის წაგებულის ბავშვისასა. ამ დროს ერთი ნაჯობნი ყმაწვილთაგანი მივა ფეხებით დაკავებულ ყმაწვილებთან, თავის ხელს მათს ხელზე დაარტყამს ისე, რომ არ დაიჭირონ, და შემდეგ გასწევს, რაც შეუძლია პირუკულმა, ე. ი. ზურგისკენ გაიქცევა.

ამ დროს ფეხებ-დაჭერილი ორი ყმაწვილი ცდილობს მალე გაუსხლტნენ დამჭერს, რომ დროზე დაეწიონ უკუ-გაქცეულს ყმაწვილს. მწოლარე ყმაწვილი კი თავის თავად ყოველს ღონეს ხმარობს ეს ორი ყმაწვილი ხანგრძლივად შეაკავოს, რომ ამით დრო მისცეს უკუ-მქცევს თავის დასის ყმაწვილს. შემდეგ რამდენიმე ხნის მითრევე-მოთრევის და მიხობ-მოხობებისა მიწაზე, ან თოვლზე მწოლარე ყმაწვილი ილლება და მას ილლიებიდან უსხლტებიან ორი ყმაწვილი, რომელნიც გარბიან უკუმქცევისკენ დასაჭერად. იმ ადგილიდან, სადაც ეს ორი ყმაწვილი დაეწევიან უკუმქცევს, წაგებულმა დასმა უნდა აიკიდოს ზურგზე ნაჯობნი პარტია და წამოიღოს იმ ადგილამდე, საიდგანაც ხტომა დაიწყოს.

2. კიჯი კახუშ ღისკვანე. ოთხ-ხუთ გოჯის სიგრძე ჩხირს წვერს გაუწვეტიანებენ. ამ ჩხირს ერთი ყმაწვილი ხელში დაიკავენ; დანიშნავენ ხტომის დასაწყობს ადგილს, რომელსაც „გარდს“ ეძახიან, როგორც ზემოდაც არის ნახსენები; შორი-დამ ჩხირიანი ყმაწვილი გამოექანება „გარდისკენ“; აქ ცალს ფეხს დაჰკრავს და რაც შეუძლიან ცალივე ფეხით გადახტება. მეორე ფეხი უკან გადაღუზული უნდა ჰქონდეს ყმაწვილს და მიწას არ უნდა მიაკრას. „გარდთან“, სადაც ფეხი დაჰკრა ყმაწვილმა ხტომის დროს, უნდა ჩაღვას ცალი ფეხი და გაწვდენილის ხე-

ლით დაასვას მიწაზე, ან თოვლზე ჩხირი იქ, სადამდინაც მკლავი გასწვდება. შემდეგ ამავე სახით და რიგით მოჰყვებიან დანარჩენი ყმაწვილებიც და ვინც გარდიდამ ყველაზე უფრო შორს დაასობს ჩხირს, ნაჯობნი ის ყმაწვილი იქნება.

3. ლიბუდაჩაჲ. ორს თანასწორ გუნდად გაიყოფა ბავშვების გროვა, დადგებიან მწყკრეად, ჩაჰკიდებენ ერთმანეთს სარტყლებში ხელებს. ერთი გუნდი ერთის მხრით იწევს და ეწევა, ეზიდება მეორეს, მეორე-კი წიმაღმდეგ მხრისკენ ეწევა და ცდილობს მიითრიოს პირველი გუნდი თავისკენ. მომრევი ნაჯობნია.

4. ლიჩინაჲ. ჩარხი არის პატარა მარხილი, რომელიც მცირე განსხვავების გარდა, ჰგავს რუსულს „САНКА“-ს. ყველა ყმაწვილს აქვს თავისი „ჩარხი“. ახალწლიდამ მოკიდებული იმავე წლის დიდმარხვამდინ, ყმაწვილები სოსიალობენ (КАТАТЬСЯ) ჩარხებით დატკეპნილს თოვლზე. სასოსიალედ, რასაკვირველია ირჩევენ მოფერდობს ადგილს, სადაც ჩარხი ჩქარა დაექანება დაღმართში. ეს თამაშობა ძლიერ უყვართ ყმაწვილებს.

5. ლიშხუგანაჲ. თანასწორად გაიყოფა ბავშვების გროვა, რომელნიც პატარა ნიჩბებით არიან დაიარაღებულნი. დადგებიან თოვლიანს მინდორში ერთ-მეორის პირდაპირ და აყრიან ერთმანეთს თოვლს ტანზე, ცხვირ-პირში. გამქცევი პარტია ნაჯობნია.

6. ლიშხუგანაჲ. გაშლილს ადგილს, სადაც თოვლი სქლადა სძევს, ყმაწვილები ამოიყვანენ თოვლის ზვინს, შაქრის თავის მსგავსად. ორი ყმაწვილი თავიდანვე შეუდგება მოგროვილს თოვლის ტკეპნას; დანარჩენი ყმაწვილები ირგვლივ აყრიან თოვლს, რომ თოვლის ზვინი აამაღლონ. სიმსხო-სიმაღლე თოვ-

ლის ზვინისა, ან პირდაპირ რომ გადმოვთარგმნოთ „კოშკისა“ (მურყვამ), ყმაწვილების სიმრავლეზე, ღონეზე და თოვლის ბლომად ქონებაზეა დამოკიდებული. როდესაც თოვლის კოშკი იმდენად ამაღლდება, რომ ყმაწვილები ძირიდგან ველარ აწვდებიან თავამდე თოვლს, მაშინ ორი მტკეპნელი ძირს ჩამოვა, თოვლის კოშკს დააგრგვალევენ, გვერდებს შეუსწორებენ. ამ კოშკს ხან ასე დასტოვებენ, ხან კი გულს გამოაცლიან და შიგოთახს გამოსჭრიან დილეგად და სხვა და სხვა.

7. ლიშხაჲ. ყოველს ყმაწვილს 12 წლამდინ აქვს ხის ლეკური (დაშნა), რომელსაც იგი ინახავს წლიდამ წლამდე, სანამ დანიშნულს ხნოვანებას არ გადასცილდება. ნათლისღების მომავლის ორშაფათს ღამით ბავშვები ერთის სოფლისა დაიკიდებენ ამ დაშნებს და თავს მოიყრიან სოფლის ერთს უკაცურს სახლში. დილით ადრე ადგებიან, ჩამოივლიან სოფელს და ყოველ მოსახლისას მიდიან ერთად. სახლში შესვლისთანავე ყმაწვილები ამოიღებენ თავისებურს ქარქაშებიდან დაშნებს და ურტყამენ სხვადასხვა ავეჯეულობას ოჯახისას, რომელიც კი ოჯახში ჩამოკიდებულია, ერთი სიტყვით მოქმედებენ ისე ჩქარა და აღელვებული, თითქო ოჯახს იერიშით იღებენო. ხშირად ოჯახი იძულებულია ძალით გარეკოს კარში პატარა „მეომარნი“, თუმცა ისიც ახსოვს, ჩვეულებას პატივი უნდა სცეს.

8. ლიშხუგანაჲ. ყმაწვილები დასდგამენ სამი-ოთხი საყენის სიშორეზე რაიმე ნიშანს: ჩხირს, ქვას... თვითოვეულად ყველანი ესვრიან ამ ნიშანს „მუჯეუროს“ \*) თითოჯერ.

\*) „მუჯეურო“ ერთნაირი რკინა წამოტყუ-

ვინც ყველაზე მეტს დააცილებს ნიშანს, მან უნდა დაუდგას დანარჩენს ყმაწვილებს ნიშნად რაიმე საკუთარი ნივთი: დანა, ქუდი, მასრა და სხ... ჩამორიგებით ყველანი ესვრიან ამ ნიშანს, ვინც ამასაც სხვაზე მეტს დააცილებს, მან უნდა დადგას საკუთარი ნიშანი. ამ ნაირად გაგრძელდება თამაშობა, სანამ არ მოეწყინებათ. ნიშნად დადგმული ნივთები ძვირადღა დაუბრუნდება პატრონს მთლიანად: დანები დაიმტვრევიან, ქუდებს გახევის მუჯუროს წვერი და სხვ. მანძილი ნიშნის დადგმისა სხვა და სხვაა: კარგს დანას უფრო შორს დადგამს პატრონი, მდარე დანას, ქუდებსაც ამ გვარად. ეს თამაში ყმაწვილებს უვარჯიშებს მხედველობას ერთის წერტილისადმი და აგრეთვე იმ ხელს, რომლითაც მუჯუროს ისვრის. ეს ვარჯიშობა პირველი ბიჯია შვილდისრისა და შექმნე თოფის სროლის შესასწავლად. ამ თამაშს მოზრდილებიც შეექცევიან ხოლმე.

9. მურამუღდი ქეჯა. რამოდენიმე ყმაწვილი ერთი მეორეს ჩაჰკიდებს ხელს ბეჭებში და ირგვლივ დადებიან. ამათ ბეჭებზე დაადგება იმდენივე ყმაწვილი, რამდენიც ქვევით დგანან და ეგენიც ერთი მეორეს ხელებს ჩასკიდებენ ბეჭებში. ქვეშ მდგომნი დაიწყებენ აქეთ-იქით შერევა-სიარულს, მიხვევ-მოხვევას და სიმღერას. სიმღერაში ემუქრებიან ზეით მდგომ ყმაწვილებს, რომ მათ ძირს დაეთქებენ; ზეითურები უშიშრობას უცხადებენ სიმღერითვე. ამ დროს ქვედაურები იმგვარად უხელთვენ ზედაურებს, რომ თუ ეს უკანასკნელნი მარჯვედ არ იქცევიან. რკინა ბოლოში წვეტიანი და თხ კუთხედა, თავში ჯოხის ჩასარკობი რგილი აქვს. სიგრძით რკინა 6—14 ცალია.

არიან, გაითხლარშებიან მიწაზე. ეს დამოკიდებულია ქვედაურების მოხერხებაზე და ზედაურების სიმარდხეზე.

10. ჯისუნბუცაჯ. ვაკე ადგილს ყმაწვილები გამწკრივდებიან რიგზე და ამასთანვე წამოიხრებიან წინ ისე, რომ მათი ხელები თავთავიანთ მუხლებზე იყოს დაყრდნობილი. თავში მდგომი ყმაწვილი დაიწყებს თავიდან და ყველა დაღუნულს ყმაწვილს თითოეულად გადაახტება; ამას მოჰყვება უკან მისი მომდევარი, მას კიდევ სხვა და ასე ამნაირად ბოლომდე. როდესაც ყმაწვილი სხვას გადაახტება, ვალდებულია დადგეს დაღუნული იქ, სადაც ყმაწვილების წყება თავდება, რომ მასაც გადაახტენ სხვები. წინ მოხრილი ყმაწვილები ერთი მეორესაგან უნდა იტაცენ არა უშორეს ერთის ბიჯისა.

11. ჯაჯიქ. ერთი ყმაწვილი დაჯდება მიწაზე და ფეხს მოირთხამს, მოიკეცავს; მეორე—თავზე ერთ-ერთ ხელს დაადებს და ისე დაადგება მცველად; დანარჩენი ყმაწვილები რამდენიც უნდა იყვნენ, გარს შემოხეხევიან და ცდილობენ მჯდომს ყმაწვილს დაარტყან ხელი. მცველი ყმაწვილი თვალზე გაფაციცებული უყურებს ყველას, ტლინკავს, ფეხებს იქნევს უკან, განზე, ედევნება ყმაწვილს, რომელიც უახლოვდება დასარტყმელად მჯდომს ყმაწვილს და ციბრუტივით ტრიალებს, რომ ყმაწვილი დარტყმისაგან დაიცვას. დამცველის მოვალეობაა, შემოხვეულ ყმაწვილებთაგან ვისმეს შემოჰკრას ფეხი იმ პირობით კი, რომ ხელი უთუოდ მჯდომ ყმაწვილის თავზე ჰქონდეს დაბჯენილი, დადებული და წიხლი მოარტყას ვისმე წელს ქვევით, წელს ზეით არ შეიწყნარება.

რომელ ყმაწვილსაც ამგვად მოხვდება

დეს და მისი მცველობა უნდა იკისროს აქამდე მჯდომმა ყმაწვილმა. ასე რიგად განაგრძობენ თამაშს, სანამ არ მოეწყინებათ. ეს თამაშობა ძლიერ გახშირებულია.

12. ლიუანსგუნაღ. გამოსჭირან ხოლმე თითქმის ერთ არშინის სიგრძე ჯოხს. ბოლოში ჯოხს გვერდზე მტკაველის სიგრძეს შემოათლიან. ამ ჯოხს ეძახიან „ყარ“-ს. ამ ჯოხის სიმსხოს სიგრძით სამ გოჯიანს გამოსჭირან კიდევ მეორე ჯოხსა, რომელსაც „ყანსგვ“-ს (აქედამ სახელწოდება „ლიუანსგუნალ“) უწოდებენ. ყმაწვილები ორ თანასწორ ჯგუფად გაიყოფიან. დაწყების შესახებ კენჭს იყრიან, როგორც ნაჩვენებია ზეით 1 თამაშში. დამწყების ჯგუფის ერთ-ერთი ყმაწვილი „ყარს“ მარჯვენა ხელში (თუ ყმაწვილი მემარცხენეა—მარცხენაში) დაიჭერს, „ყანსგვს“—მარცხენაში, პირველს შემოჰკრავს ღონივრად მეორეს და გაისერის შორს, რამდენსაც შეიძლება. შემდეგ „ყარ“-ს მიაყულებს კედელს, მოზრდილ ქვას, კუნძს, ან სხვა ამგვარ რაიმეს. მეორე ჯგუფი ამ დროს უყურებს, საით მოდის „ყანსგვი“ და ცდილობს როგორმე დაიჭიროს. თუ ვერ დაიჭირეს, მაშინ „ყანსგვი“ უნდა ესროლოს „ყარს“, თუ მოახვედრა, ყმაწვილმა თავისი რიგი გაათავა, ე. ი. თამაშობას, სროლას თავი უნდა დაანებოს და სხვას, თავის ამხანაგს გარდასცეს. რამდენ სროლასაც მოასწრებს, ე. ი. ყანსგვის გასროლას, იმდენი რიცხვი (შელდ) ჰმართებს; ვალად აძევს მეორე ჯგუფსა. თუ მსროლელის ყანსგვი მოწინააღმდეგე ჯგუფმა დაიჭირა, მაშინ ყველა მისი ნასროლი უქმად ჩაივლის, ე. ი. თითქოს სულ არ ესროლოს ყმაწვილს. როცა ყმაწვილი სროლას გაათავებს, მაშინ მეორე მისი ამხანაგი დაიწყებს,

მერე მესამე... და ასე სულ ბოლომდინ. თითოეული ყმაწვილის ნასროლს ერთი მეორეს უმატებენ და ამნაირად შესდგება საზოგადო ჯამი ერთის ჯგუფის მსროლელ ყმაწვილებისა. ვსთქვათ დამწყებმა ჯგუფმა ასჯერ გაისროლა „ყანსგვი“, მაშინ ამბობენ, რომ მეორე ჯგუფს ჰმართებს პირველისა ან „ყანსგვი“-ო. ახლა უნდა დაიწყოს სროლა მეორე ჯგუფმა. თუ ამ უკანასკნელმა ვალი გადიხადა, ე. ი. მოასწრო ასჯერ ყანსგვის სროლა და კიდევ გადაამეტა, მაშინ ეს ჯგუფი მჯობნია, და პირველმა უნდა შეისვას ზურგზე და დანიშნულს მანძილზე ატაროს; თუ ვერ გაისტუმრა ვალი, ე. ი. ასი სროლა ვერ მოასწრო, მაშინ ეს უკანასკნელია მოვალე პირველი ჯგუფი ატაროს ზურგით.

13. ლიუჯი. აიღებენ ორს ჯოხს; ერთს წინ დაადებს ყმაწვილი გარდი-გარდმო, მეორეს ხელში დაიჭერს. ერთის ხელის სალოკავ თითს ჯოხის თავს დააბჯენს, მეორე ხელით. შუაში ჩაეჭიდება ჯოხს და დაატრიალებს ერთჯელ ან რამდენჯერმე, მანამ ხელში დაჭერილ ჯოხს დადებულ ჯოხს არ მოარტყავს და წინ არ გადაისვრის. მერე ამ ჯოხს გაისვრიან და რა ადგილამდეც ეს ნასროლი ჯოხი გასრიალდება, იმ ადგილს უნდა წაიღონ დადებულ ჯოხიც. ასე მეორეთ, მესამეთ და სულ, სანამ მსროლელი ჯოხებს ერთმანეთ არ დააცილებს. მსროლელი კი სულ ერთს ადგილას უნდა იდგეს წინ უწვევლად, სანამ თამაშს არ გაათავებს. შემდეგ განაგრძობს თამაშს დამწყების ჯგუფის მეორე ყმაწვილი იმ ადგილიდან, სანამდეც მან, ე. ი. პირველმა მიიტანა ჯოხი სრიალით: დასაღამო მიწილი კი ყველა ბავშვებისათვის ერთი და იგივეა, რაც უნდა ჯოხი შორს

გასრიალდეს. როდესაც ერთის ჯგუფის ბავშვები გამოიღვივან, მაშინ დაიწყებს მეორე ჯგუფი. რომელი ჯგუფიც უფრო შორს გაასრიალებს ჯოხს, მჯობნიც ის არის. სასჯელი ზურგზე აკიდებია მჯობნელთა და მათი ტარება.

14. ჯიჟარბზუნაჲ. იმ მანძილზე, სადამდინაც ყმაწვილს თავისუფლად შეუძლია მოდიდო რიყის ქვა მიუწიოს ერთის ხელით, დასდგამენ ერთის მეორეს პირდაპირ ორს პრტყელს ქვას. ბავშვების ერთი ჯგუფი მეორისას ესვრის ქვას და უნდა მოარტყას ნიშნად დასმულს ქვას. მეორე ჯგუფიც ამნაირად უხდის მავიერობას. რომელ ჯგუფის ქვასაც მომეტებული რიცხვი ქვებისა მოჰხვდება, იგი წაგებულია და ნაჯობნი ჯგუფი უნდა ატაროს ზურგით.

15. ჯიბუღთაჲ. ბურთის აკეთებენ ყმაწვილები პირუტყვის ბალნისაგან. თუმცა ბურთის თამაში უყვარდათ აქ, მაგრამ ისე კი არა, როგორც მაგალითად იმერეთში. დიდებში სულ არ არის შემოდებული ბურთის თამაში. ამის მიზეზი ჩემის აზრით ადგილის უსწორ-მასწორობა უნდა იყოს. გაშლილა ვაკეებს მარტო აქა-იქ შეხვდებით სვანეთის სოფლებში.

16. ჯინირჯიკაჲ. „ჩირჯიკი“ (ბზრიალა, БОЛЖОКЪ) საყვარელი სათამაშოა სვა-

ნების ყმაწვილებისა. გაზაფხულის და განსაკუთრებით შემოდგომის ყინვები წყლების ნაპირად ძლიერ ხელს უწყობს ყმაწვილებს ამ თამაშობაში.

17. ფაჟა ჯიკეჲ. დაბალ ქუდს დაადებენ მიწაზე, მოვა ყმაწვილი, ხელებს ზურგზე დაიწყობს და მაგრად ერთმანეთს ჩასკიდებს. ყმაწვილი ქუდის ახლო დადგება, ცალფეხს ასწევს და ცალფეხზე მდგომი დაილუნება წინ ქუდის ასაღებად კბილებით. ვინც ამნაირად ქუდს აიღებს, მარჯვე ყმაწვილად ითვლება.

18. ყმაწვილი დაჯდება მიწაზე ისე, რომ მუხლები და ფეხები ერთი მეორეზე ჰქონდეს მჭიდროდ მიდებული. ორივე ხელებს წვივებთან შემოახვევს მუხლებს, ხელის თითებს ერთმანეთში გაუყრის. ქვეშ ყმაწვილს ჯოხს გაუყრიან გარდინგარდმო, ხელები, ე. ი. მკლავები ჯოხს ქვეშ ამოექცევა ყმაწვილს და მუხლები ზემოთ. ხელების ცერებს ერთი მეორეზე მიუკვრენ ბაწრით, თასმით ან სხვა რითიმე. თუ ესრედ ხელფეხ შებოჰვილი ყმაწვილი რამდენსამე ბიჯს გადადგამს, სიმარჯვედ ჩათვლება. ძნელი ასასრულებელი კია ეს თამაშობა. („ივერია“ 1886 წ. № 149—152).

თავისუფალი სვანი



მას წინადაც დაიბეჭდა ბ. კრიშნამურტის (აღსიონი) წიგნი „Воспитаніе какъ видъ служенія“. მოკვლევას ამ წიგნიდან ზოგიერთი საუკრადღებო ადგილი \*)).

ბავშვის აღმზრდელად უნდა იყოს მოწვეული მხოლოდ ის, ვინც თავის უფლებდღიურ ცხოვრებით დაამტკიცა, რომ მისი სულის უმთავრესი თვისება არის ბავშვის განუზომელი სიყვარული. სადი ბავშვი ბუნებით მზიარულია და თუ სკოლასა და ოჯახში ეს მზიარული განწყობილება შეუფერხებლად ვითარდება, ის სულიერ-ფიზიკური მომწიფების შემდეგ მოუტანს სხვებს მხოლოდ ბედნიერებას და მზიარულებას.

მხოლოდ ის აღმზრდელი იზიდავს ბავშვს და ქმნის მისი სკოლის ცხოვრებას ბედნიერად, რომელიც სავსეა პატარების სიყვარულით. ბავშვს უხარია სწავლა და თუ მასწავლებელი ვერ დაინტერესებს მას, ვერ შეუყვარებს წიგნსა და რეჟის—ბრალი მასწავლებელს ედება: ის არ ვარჯა აღმზრდელად და უნდა აიჩიოს სხვა ხელობა. მხოლოდ იმას აქვს უფლება სწავლა-აღზრდისა, ვისთვისაც ეს უკანასკნელი არის არათუ მაღალი და აუცილებელი მოვალეობა, არამედ უდიდესი სულიერი კმაყოფილება.

მოსიყვარულე აღმზრდელი ააშკარავებს ცხოვრებაში ბავშვის ხასიათის საუკეთესო მხარეებს. როდესაც მასწავლებლის სათნოების გული ბავშვის სულში აქრობს შიშის გრძობას, მის წინ ბავშვი შიშვლდება მთელი თა-

ვის არებით, ბუნებით, რაც საუკეთესო საშუალებაა აღმზრდელისთვის სწორი აღდგა აღოს ბავშვის თავისებურებას და მის მისელებით იქონიოს სასურველი გავლენა. ასეთ მასწავლებელთან ბავშვი თამამად მივა ეგელა თავისი გასატონით, დაწმუნებული, რომ აღმზრდელი მას მიეგება სიყვარულით და გულმტკიცებულად: გადუძლის მას თავის გულს, რადგანაც სჯერა გულთბილი და მსურვალე დაზარება თავის მასწავლებლისა.

უცარი სიმკაცრე ხშირად მოხდება მოუფიქრებლობის გამო, რასაც აღმზრდელი დიდის უურადღებით უნდა უფრთხილდებოდეს. ხშირად აღმზრდელი გარეშე მდგომარეობით აღელვებულია. ამ დროს შესაძლებელია შინთითქმის უბრალო, მისთვის ვითამ უმნიშვნელო სიტუვით გული ატკინოს ბავშვს. ეს მოვლენა მასწავლებელს შეიძლება სრულებით დაავიწყდეს, შეიძლება მის მნიშვნელობას უურადღება არ მიაქციოს, მაგრამ რამდენჯერ მომხდარა. ასეთი მოვლენით გრძობიერი ბავშვის გულის საშუალოდ დაკოდა: ამ დაუმსახურებელ სასჯელს სავსებით შეუპყრია ბავშვის გრძობა-გონება და დღით-დღე მისსა და აღმზრდელს შორის, ნაცვლად სულიერი ერთობა-კავშირისა, ჩამოყარდნილა დრმა უფსკრული.

როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ რომელსაშე პიროვნების ნაკლებევენებაზე, ჩვენ ამით უფრო ვადვიებთ ამ ნაკლებევენებას, ვიდრე ვაქრობთ მას. ერთადერთი გზა, რომლითაც შესაძლოა აღამიანზ თავი დააღწიოს მდაბლსა და საზიზღარს, არის მისწრაფება უოველივი მშენიერისკენ. კარგით, ლამაზით და სხე-

\*) „Свобод. Восп. №№ 1—2, 1914 г. შემოკლებით.

ტაკით იმდენად უნდა გაიფინთოს ადამიანის ბუნება, რომ მისი სულის რამელიმე კუნჭულში არ უნდა დაჩხეს იოტის ოდენა თავისუფალი ადგილი, სადაც შესძლოს ადამიანის ცუდმა თვისებამ ფეხის მოკიდება, ფეხების გადატეხვა.

რამდენად მეტს დაზარალებს მასწავლებელი ბავშვის ცუდს მხარეზე, იმდენად მეტს ზარალს აყენებს მას. მან უნდა იმსჯელოს ბავშვის ცუდს თვისებებზე მხოლოდ თავის ამხანაგ-აღმზრდელებთან საჭირო გზისა და საშუალების აღმოჩენისა.

ყოველ საკლასო ოთახში უნდა იყოს თავდასაჩინო ადგილზე ჩამოკიდებული ფილა-

რი ზედწარწერით: „არადროს არ ილაპარაკო სხვის შესახებ ცუდათ; ნუ უგდებ ყურს, როდესაც სხვას ცუდათ ახსენებენ; შენ მხოლოდ მიუგე: შეიძლება ეს ყველაფერი სინამდვილეს მოკლებულია, შეიძლება სიმართლეს იყოს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი მაინც საჭირო არ არის!“

მხოლოდ იმ აღმზრდელს სავსებით მოუხდა თავისი ვალი, რომელსაც ბავშვის გულში ჩაუნერგავს დიდი კანონი სიყვარულისა, ურთმდისოდ უფლად შეუძლებელია ადამიანის აღზრდა.

გ. ა-ნი



# სამართლიანი, თუ უსამართლო საყვედური?

(სახ. მასწავლებელთა საგულისხმო).

იმ უკანასკნელ წლების განმავლობაში ხშირად ვკითხულობთ პრესაში ჩვენი სახალხო მასწავლებელთა მოღვაწეობის შესახებ შემდეგ საყვედურებს: „მასწავლებელთა უმრავლესობა თავის მოვალეობას პატიოსნად არ ასრულებს; უზნეოა და უგვანოდ იქცევიანო; ქართული ენის სწავლებას საფუძვლიანად არ ეპყრობიან და ლალატობენო; გადაგვარების გზას ადგანან და ინსპექტორების ლაქიებად ხდებიანო; არ არიან გატაცებული საერთო აზრითო“ და სხვა... ასეთმა საყვედურმა პროტესტები გამოიწვია ზოგიერთების მხრით, გაჰყიციეს მესაყვედურე ავტორები და უწოდეს მათს წერილებს „ახირებული გამოხვლა, უსამართლო ბრალდებები, ლანძღვა-გინება, ცილის წამება“ და სხვა და სხვა სახე-

ლები; გაამართლეს მასწავლებლები მით, რომ ვითომც ასეთი მაგალითები თითო-ორიოლა თუ მოიძებნება, თორემ უმრავლესი ნაწილი მათში ნამდვილი სახალხო მასწავლებელიაო. აი ასეთი შეკამათება მოხდა ამ საკითხის შესახებ ამას წინად ბ. ბ. „არონიშვილისა, ნიავისა, ტ. კრიხელისა, გ. ა—ნისა, ნარქანისა“ და სხვათა შორის „სახალხო ფურცელ-თემ-განათლება-აზრ-სამშობლოში“, სადაც ზოგი მეპროტესტე ავტორთაგანი ლაპარაკობდა, რომ „დღეს ვეღარ ნახავთ ისეთ სახალხო მასწავლებელს (1), რომელიც რამოდენიმედ მაინც არ იღვწოდეს ხალხის საკეთილდღეოთა; დღეს აღარ მოიპოვება არც ერთი მასწავლებელი, რომელიც შეძლებისადაგვარად ხალხის საქმეებში არ ერეოდეს (1) და მის სასარ-

გებლოდ არ მუშაობდეს“-ო და სხვა... ცოტა არ იყოს, მე გადაჭარბებულად მიმაჩნია ასეთი მოხსენება მათი. ჩვენს სახალხო მასწავლებლებს საკმაოდ ვიცნობ და თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ მარტო გურიის მასწავლებლებში რომ ერიოს სპირიდონ მცირიშვილები, ეს როდღი კმარა! გადავხედოთ საქართველოს სხვა კუთხეებსაც, რამდენი პროცენტი მოიძებნება მათში ასეთები? 30 პროც. თუ მოიძებნება, რომ გამსჭვალული იყოს ნამდვილი მასწავლებლის მოვალეობის გრძობით. ამდენხანს მასწავლებლები სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლდებოდნენ და იმისთვის უფრო ეტანებოდნენ ამ სამსახურს, თორემ აწ როდესაც მასწავლებლებს მთავრობამ მოუსპო ეს შეღავათი, ჩემის აზრით, თუ სხვა დაწესებულებაში მოახერხეს ადგილის შოვნა, მასწავლებლობას ბევრი აღარ მოჰკიდებს ხელს. დღეს ბევრი გვყავს ჩვენ შემთხვევითი და „ჩინოვნიკი“ მასწავლებელი, რომლებიც არავითარ კულტურულ დაწესებულებაში მონაწილეობას არ იღებენ, ყურნალ-გაზეთებს არ კითხილობენ, თვითგანვითარებას არ ეძებენ, ერთმანეთს არ ეკარებიან, ერთიმეორის კირსა და ღვინის არ იზიარებენ, კარიერას უფრო პატივსაცემენ, ვიდრე საზოგადო საერთო საქმეს; ერთმანეთს ვერ ენდობიან და ნამუსს ვერ გაანდობენ, რადგან მათში ურევია რამოდენიმე ენატანია პიროვნება, პატარა რამეს დიდათ გახდის და რაიონის ინსპექტორს გაახარებს, ოღონდ კი თავიანთი თავი აღიმაღლონ ამგვარი საშუალებით უფროსების თვალში; ასეთი პირები ამხანაგის დამცირებასა და წახდენას არ დაეძებენ; პირიქით, თუ კი გაიგონეს იმისი დაქვეითება და დამარცხება, უხარიათ და, სანამ დაწვრილებით

ამბავს გაიგებდენ, ვისაც შეხვდებიან მიახარებენ სიცილით, ამა და ამ მასწავლებელს ასე დაემართათ და როდესაც შენ შეგხვდებიან ან შენთან პურმარილობენ, მაშინ კი მელოურად გელრიჯებიან და გამკობენ. მე მრავალს ჩამოგივლით, როგორც მასწავლებელთა ისე საღეთო სჯულის მასწავლებელ სულიერ მამათა შორის ასეთ აღამიანებს. ამას წინაღუ კუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დირექტორმა ბ-მა ვიშნევსკიმ იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს საქმის მწარმოებლის მამა სერ. ცაგერეიშვილის თანადასწრებით გადმომცა მასწავლებელთა შესახებ შემდეგი: „ამ ორი წლის განმავლობაში მე ახლა გავეცანი ყველა მასწავლებლებს და სიმაართლე უნდა გითხრათ, რომ მათში ბევრია ცრუმომჩივანი, ენატანია და მოცლილი აღამიანია; თავიანთი უბრალო საჩივრებით შემადუღეს თითქმის აქ სამსახურიო; საჭიროა, რომ ქართულმა პრესამ მიიღოს ზომები ასეთის ვაჟბატონების წინააღმდეგო; რუსეთში პრესა ებრძვის ასეთ მასწავლებლებსო და მათ შემდეგ ხალხიც შესაფერ მსჯავრს სდებსო; ასე უნდა მოიქცეთ აქაც თქვენ პრესის თანამშრომლებიო“. განა მეტი ზნეობრივად დაცემა კიდევ შეიძლება, რომ შენთან ამხანაგმა ვერაფრის თქმა ვერ გაბედოს, თავის კირვარამი და გულის ტკივილი ვერ გავიზიაროს?! მე თვითონ ბევრჯერ შემხვედრია, რომ რაიმე ჩემი დარდი დე საიდუმლოება გამეზიარებია ისევ ჩემი პროფესიის მეგობარი კაცისთვის და მეორე დღეს იმას ნიშნის მოგებით და დაცინვით სხვისთვის გადაუცია, ან და ერთი ორად გადაუკეთებია და ინსპექტორ დირექტორების ყურამდე მიუტანია და სხვანაირი ხასიათი მიუციათ. სხვათა შორის ერთი

მეორის ცოცხალ ადგილზე დამუშტრე-  
ბამაც იჩინა თავი პროტექტორების სა-  
შუალებით. ერთი ცდილობს მეორეს მი-  
ზეზი უპოვოს, დააბეზლოს და ადგილი-  
დან გადააგდოს ან სხვაგან გადაიყვანოს;  
ასეთი საჩივრები ხშირია ღირექციაში.  
რაც შეეხება თვითგანვითარებას, ბევრი  
არ მისდევს; როდესაც წინადადება მი-  
ვეცი ჟურნალი „განათლება“ გამოეწე-  
რათ, ზოგმა მათგანმა მკითხა: „სად გა-  
მოდის „განათლება“, გაზეთია, თუ ჟურ-  
ნალი, რამდენჯერ გამოდისო?“ და სხვა...  
ღლიური გაზეთის გამოსაწერად ხომ სრუ-  
ლებით ვერაფერს გამოიმეტებენ. მრავალ-  
ჯერ აღძრულა პრესაში საკითხი საკუ-  
თარი ორგანოს, ღლიური ან კვირეული  
გაზეთის დაარსების შესახებ, მაგრამ განა  
მოვანერხებთ ამას? ინიციატივა რომ ვინ-  
მემ მიიღოს თავის თავზე, გამოვიღებთ  
ყოველი მასწავლებელი წლიურად გან-  
საზღვრულ გადასახადს გაზეთის ხარჯი-

სათვის? ქუთაისის ღირექციაში 1,000  
მასწავლებელი მაინც იქნება, თითოეულ-  
მა რომ ერთღროულად ხუთი მანეთი გა-  
მოვიღოთ და თანხა შევადგინოთ 5,000  
მანეთი და შემდეგ ყოველმა მასწავლე-  
ბელმა წლიურად გაზეთის გამოსაწერად  
ხუთი მანეთი შემოიტანოს, საკმაო იქ-  
ნება და საკუთარ ღლიურ ორგანოს და-  
ვიარსებთ, მაგრამ მოვანერხებთ და დაფ-  
თანხმდებით ამაზე?! არა და არა! იმი-  
ტომ კი არა, რომ ვითომ ხუთი მანეთის  
შემოტანას ვერ შევსძლებთ, არა ვართ  
მომზადებული და შეგნებული ყველა ამი-  
სათვის. მაშასადამე სამართლიანი საყვე-  
დური ნუ გვეწყინება, შევიგნოთ ჩვენი  
ზნეობრივი და გონებრივი სიღატაკე,  
გავსწორდეთ და გავსწოროთ უზნეო ამ-  
ხანაგები, ნდობა გვექნეს და ერთმანეთ  
შორის დავამკვიდროთ მტკიცე კავშირი.

ლადო ბზვანელი



### დაგმარებული მუზა

(მასვე)

უკვე დაგმარხე და ღღეს შენ ჩემთვის  
მკვდარი ხარ, მკვდარი და უარსებო;  
უკვე დაგმარხე და შენს საფლავზე  
ლოდი ამოვკერ მთლად საგანგებო...

და წავაწერე ჩემივე ხელით,  
ჩემივე ხელის გრძელი თითებითა,  
რომელნიც ეგრე ძლიერ მოგწონდა,  
რომელთაც ეგრე შესტრფოდი გრძნებით,—  
შემდეგი სიტყვა: „მე. აქ დაგმარხე.“

დაგმარხე ჩემი მუზის ღვთაება.

და შიგ ჩავაწან ჩემივე ბედის.

მოთქმა-ტირილი, სულის ვაება!

და თუ, გამვლელნო, არ დაერიდოს  
ცრემლთა მოდენას თქვენი თვალები,  
გთხოვთ მე მიგლოვოთ, მევე მიტიროთ,  
მევე ვარ თქვენგან შესაბრალები!—

ლადო გიგეჭკორი.

# გაყა-ფაგელას

(გარდაცვალების გამა)

ერს მრავალ გზით განაწამებს  
კვლავ ცის რისხვა დაატყდა თავს,  
მუხთაღმა დრომ განუახლა  
ვაება და გლოვა ბედშავს!—

მისი სულის მოზიარე,  
მოზიარე მის ჭირ-ღბენის,  
თვით პირუტყვთა მოამაგე—  
მცნობი მათის გრძნობის, ფნის

და სამშობლოს სიამაყე  
უკვდავების სხივ-მფინარი—  
ჩაჰქრა მნათი და დადუმდა  
ჩანგი ტკბილად მოუბარი!..

მწუხარებით მოსთქვამს სიო,  
ტყეს აღმოხდა ოხვრა მწარე;  
აღარა ჰყავთ მათი გრძნობის  
და გულისთქმის მოზიარე!

მთაც აცრემლდა, .. წამოისხა  
თავზედ თეჟა თაღს თავშლისა,  
კლდის ნაპრალში თვის სიობლეს  
ცას შესტირის ნუკრი შვლისა!

ფრინველთ გუნდმაც შემოსძახა  
სამწუხარო გლოვის ზარი,—  
აღარა ჰყავთ მათთან გრძნობით-  
მოსაუბრე მგობარი...

ცა დაბნელდა! ტანჯულ მიწას  
დააფრქვია ცრემლთა ღვარი  
და აკვნესდა მთის ნაკადი  
და აკვნესდა მთა და ბარი

და აკვნესდა შენი მხარე  
მრავალ ას წლის ჭირნახული  
და მეც მისმა მწარე კვნესამ  
დამიწყლულა ბედშავს გული!

სტირის ისევ საქართველო,  
ცხარე ცრემლს ღვრის და ვალაღებს,  
თან ამ ცრემლთ ქვეშ შენს დიად სულს  
სანუგეშოთ ავლებს თვალებს

და იმედი მომავლისა  
კვლავ მის გულში იწყებს გზნებას,—  
შენის სულის უკვდავება  
ქმნის სამშობლოს უკვდავებას!..

ილ. გოგია





1.2.2

3 2 1 1 - 3 2 1 3 0 3 2 1

# ვაჟას ხსოვნას

შორი ძახილი გაისმის,  
შშობლის ხმა,—მათა ფიქრები,  
ჩემის სამშობლო გულიდან,  
გლოვის ხმად მონადინები!..  
„შეწყდა არწივის ყვირილი—  
ნავარდი მისი ფრთებისო,  
გამოძახილი ძლევის ხმა,  
„დადუმებული მთებისო!...“

ვერ დავიჯერე, ვაჟავ, ეს,—  
არწივი ვნახე მფრინავი,  
შენ რო დაგშორდა, დიადო,

მარადის შენთან მყივარი!  
იგი კვლავ დაჰქრის შენს მთებში,  
—იგივე გმირული ხმებია,  
შენი მარადი სიმღერა—  
გულში მძლეთ ჩაჰკონებია!..

და ეგ ძახილი,—შენი ხმა,  
შენი სიტყვა და არსება,—  
ამომავალი მზის სხივებს,  
მძლე ფრთებით ეთამაშება!..

გელა

## შეშობილი

... და მიიღუფა შემოდგომის მზე... და მიიღუფა ქანც-მიღუფელი  
ისევ იძრცვნება ფიქვ-ნაძენარის ტყე, აღარ ასვენებს ქარი წვეული.  
და გაბნეული გზაზე ფოთლები, სიკვდილს თამაშით ეგებებიან,  
ეთხრებიან სიცოცხლის დილას, უკანასკნელი ჭნტით კვდებიან.  
ნისლი დაადგა მთების შწერვლებს, დაადგა როგორც ჯიდა-კვირგვინი  
უკაილი ჰნაბავს აღისფერ თვლებს—მიდამოს ჭზარავს მისი ქვითანი.  
... და სიბრაჟულით და სინანულით ისევ იღვრება შვების ფიალა  
და რაც გვაჩუქა სხივთ გაზაფხულმა, ის შემოდგომამ გაატიალა.

ისევ ფიქრები საშემოდგომო, ისევ ვნება და ისევ ქაოსი,  
გარს ქარიშხლიან ბრძოლის სურათი, გარს სიწყვდიადე სასაფლაოსი.  
ისევ ოცნება დამის სარკმელთან, რაზე?—არ გესმის, რაზედ—არ იცი.  
გესმის ძახილი შორეულისა, გესმის სიტყვები შემოხაფიცი...  
აკერ ათრთოლდა ცაზე ვარსკვლავი, მაგრამ რადამაც მოჭნავა ფრთები.  
ჩვენც გულისკვლავად დავიქვითინებთ:—არ ანთები, არ ანთები!..  
ახ, შემოდგომავე, რა რიგ მიუვარხარ!—მარად მაგარებ ნათელას სახეს,  
მაგრამ არ ვიცი, ნაზო, ველურო, სევდის წამებად რისთვის დაგსახეს?..

ბ. ლეონიძე

# ს უ რ ა თ ი

(თ—ს)

შენ რომ მჯდარხარ ძველციხესთან,  
მოწამესთან ძველ ამბების,—  
ქართველ ერის დევ-გმირობის,  
ქართველ ერის აოხრების!..  
ხან მოლალის, ხან მცინარის,  
ხან სიამით მომლიმარის,—  
ხან მტირალის, ხან მკენესარის,  
ხან მფრქვეველის ცრემლის ცხარის!..

ის სურათი დღეს მივიღე,  
გრძნობით გულში ჩავიხუტე  
და შემდეგ-კი ნაზ აღერსით,  
ვებაასე, ვებუტბუტე!

იმ სურათში, ჩემო კარგო,  
ისე ლაღობ, ისე ჰშვენნი,  
როგორც იმავ ციხის გმირი  
მტრის მომსპობი, შემაჩვენნი!..  
და გარემო იმ ციხისა  
იმის მომთხრობ—მეტყველია,  
რომ ქართველ ერს იქ მრავალჯერ  
სისხლით ურწყავს თუმც ველია,  
მაგრამ მტრისთვის ბოლოს მაინც

ისე რიგად უძღვევია,  
რომ მტერს ფიცხლავ მოუკურცხლავს  
და ბედიც-კი უწყევია!

შენს ნაზ სახეს იმ სურათში.  
ლიმილი რომ დასტყობია,—  
ეს, კეკელუცო, ტანჯვით განვლილ  
შავ-წარსულის დამგმობია!  
გულ-წარმტაცი ელვარება  
ეშხით სავსე შენი თვალის  
ნამდვილ წინამორბედაა  
სასურველი მომავალის!..  
და წაბლის ფერ დაღალ-კავებს  
თან რომ დაჰკრავს შნო, იერი!..  
იმას ნიშნავს, რომ აღსდგება  
დაცემული ქართველის ერი!

ის სურათი დღეს მივიღე,  
ჩავიხუტე გრძნობით გულში  
და მრავალ-ხნის გასაჭირი  
შემეცვალა სიხარულში!

ლალო გეგეჭკორი

## საკუთარი ლეგენდა

(ციხის რგოლთან)

(მასვე)

ცად აზიდულთა ამაყ მთათ შორის,  
სადაც ბუნება არის ნარნარი,—  
უხსოვარ დროში ჩვენთა წინაპართ  
ციხე უგიათ უზარმაზარი!—

იმ ციხის ირგვლივ მშვიდი ბუნება  
გარემოცულა ყვავილთა დასით,—  
ისე რომ მნახველთ ხიბლავდა იგი  
სიკეკლუცითა და თვის სინაზით!—

ყოველი კუთხე იმ არე მარის  
ხსე ნაირად იყო შემკული,  
რომ უცხოელებს თვალს სჭრიდა იგი  
და მყის აქეთკენ უწევდათ გული!

თუმცა ჯეროვანს პატრონობასა,  
მას წინაპარნი აღარ აკლებდენ,  
იკავდენ და მტერს გარშემოსეულს  
იგერიებდენ, ან აიკლებდენ! —

მაგრამ დამარცხდენ ერთხელ ჩვენებიც  
და მტერმა მოსრა ის არე-მარე, —  
მთლედ ააოხრა და ჩვენთა ქალწულთ  
დააღვრევინა ცრემლები ცხარე!

დღესაც იმ ციხის მონგრეულ რგოლთან  
გამოსახულა ერთი ქალწული; —  
წარსულ დროებზე დარდის ამშლელი,  
ნაზი, კეკლუცი, მშვენებული სრული  
ქალწულის ნარ-ნარ და იშვიდ სახეზე  
აღმობეჭდილა უსაზღვრო სევდა,  
რომელიც გვითხრობს: იმ ციხის ირგვლივ  
წინედ ქართველი თავს თუ ვით სდევდა.  
და დღეს ქალწული მოუხმობს გმირებს  
ციხე-გარემოს გამოსახსნელად, —  
რომ დავიბრუნოთ და ვუბატრონოთ,  
ისე ვით ჩვენებს უქმნიად ძველად!

ლალა გვგეგქკორი

### გ. ლეონიძეს.

სიჭაბუკის დროს პირველად,  
როს ვახილებდი თვალებსა  
და ვუცქეროდი მტირალი  
სამშობლოს განაწვალებსა —  
ვეძებდი აქეთ იქითა  
ქვეყნის დამხმარე ძალებსა,  
არავინ უჩნდა დარაჯად,  
ამ ჩვენ დაჩაგრულს მხარესა.  
ვტიროდი უფრო ძალიან,  
ცრემლებს ვაფრქვევდი მწარესა...  
დღეს ვჰხედავ გაჰპრაფლებიან  
მშობელ ქვეყანას შვილები,  
მტერს არ მისცემენ სათელად  
თავის სამშობლოს გმირები,  
პირჩემა წყლული გულისა,  
ვყუჩდები ანატირები...

ვაჟა-ფშაველა

### ... ოცნების მსაჯეს

ფიქრითა ვცხოვრობ ოცნების მხარეს,  
ვესაუბრები ნარნარა მთვარეს,  
ვეჩურჩულები ვარსკვლავთა კრებას,  
სხივებს უმღერი ქებათა — ქებას.  
ღრუბელს ვადევნებ აღმაფრენასა,  
ქველის ციმციმის ვსწავლობ ენასა;  
ციდგან ყურს უგდებ ცხოვრების დენას,  
და შავბნელ მიწას ვაბრალებ ზენას.  
მთის გულზე როცა სჩქეტს ნიაღვარი —  
ეს არის ჩემი ცრემლები ცხარი...  
და როცა ნისლი ებურვის ტყესა,  
ეს არის ჩემი ფიქრების კენესა.  
ფიქრითა ვცხოვრობ ოცნების მხარეს,  
ვესაუბრები ნარნარა მთვარეს;  
ვერა სთმობს გული ცხოვრებას მწარეს —  
ფიქრით თუმც ვცხოვრობ ოცნების მხარეს...

კიკნა ფშაველი



# არწივი და ბოლოშავი

(გუძღენი გრიგოლ მაჭავარიანს)

ჰაერის მეფე ძლიერი,  
ცეცხლის მფრქვეველი თვალებით,  
არწივი შავ-ფრთებიანი  
გაალმასებულ ბრჭყალებით,  
ბოლოშავს გამოეკიდა,  
ცაში რომ თვალი მოასწრო,  
იმარჯვა საწყალმა ჩიტმა  
და შხირ ბუჩქებში შეასწრო.  
ბრაზით აივსო არწივი:  
„რატომ ვერ დავიჭირეო?  
დახეთ, ურჩობას მიბედავს  
ეს ბოლოშავი მციერო!“  
დააბრიალა თვალები,  
ბურღში ჩაუყო ბრჭყალები,  
მაგრამ ვერ ჩასწვდა ბოლოშავს—  
გადარჩა შესაბრალები!  
მაგრამ არ დასცხრა არწივი,  
აამუშავა ნისკარტი,  
კლანჭები გაჰკრა, გამოჰკრა,  
მიგლიჯ-მოგლიჯა ძირს ბარდი,  
მიუახლოვდა ბოლოშავს  
და შუქით დაატრიალა...  
მაგრამ ჩიტი გონს მოვიდა,  
იხონა... იძრომილა...  
მოექცა ხშირ ეკალ-ნარში

ვაი-ვაგლახით, წველებით...  
სული განაბა... არწივი  
გაუმადლარი თვალებით  
ეძებს და ეძებს... როგორც ჰგავს,  
არც მოეშვება არას დროს,  
იქვე დარაჯათ უდგება,  
რომ გამოფრენილს მოასწროს  
და თუ ჩაიგდო კლანჭებში  
მყისვე სულს გააცხებინებს  
და იმის ბუმბულს ჰაერში.  
ნიაფ-ქარს გააბნევენებს!  
ეჰ ბოლოშავო, ბედ შავო,  
მართლა ხარ შესაბრალები  
და შენს წველებას რომ ვხედავ,  
ცრემლით მევესება თვალები!  
მაგრამ მეც შენი ბედის ვარ,  
თავს დამტრიალებს სიკვდილი.  
და ბნელ კუნჭულში ვემაღვი  
შენსავით გულ-გახეთქილი!  
ჩემი და შენი დარჩენა  
ორივე საალაღბედოა!  
ოჰ! ძიმწარეა ცხოვრება,  
როდესაც უიმედოა!

ს. აბულაძე



# უხილავის სიმღერებიდან

## I. რა ხარ...

რა ხარ, რა ხარ ჩემო სევდავ, რო მევლები მუდამ გარსა;  
რომელ ღმერთმა დაგამშვენა, რომელ ღმერთმა დაგაარსა?  
რად მიძღვენი საღამური და ჰანგები მრავალ-წყებად,  
რად მომწყვიტე ამ ცხოვრებას, რად გარდამქენ დავიწყებად?  
შენ გვირგვინებს მიყვავილებ, კუბოს მირთავ ყვავილებით;  
შენ წარსულის მშვენივრება, შემიცვალე შავი წლებით.  
შენში ვეძებ საიდუმლოს იღუმალის ქვეყნით მჭვრეტელს,  
შენში ვეძებ უკვდავებას და სამარეს განჯკვრეტელს...  
შენში ვეძებნე და ვიპოვე ძირს ქვეყანა და... და იქ ცა  
და რაც მოვკალ შენზე ლოცვით—უკვდავებად გადაიქცა...

და ვიქნები მუდამ ასე: მომევლები მარად გარსა;  
მეც მოვკვდები... მაგრამ არა, აქ დავტოვებ შინაარსსა!..

## II. სიკვდილის ხმა

როცა ქარი მწარედ სტირის, როცა კენესის მთის მწერვალზე,  
ხეებს უშლის მწვანე დალაღს და წამწამებს ურხევს თვალზე,  
როცა ტალღა აბჯარს ისხამს და ხმაურობს გიჟურ გრძნებით,  
როცა მთელი სტიქიონი მოქსოვილა რაღაც ვნებით,  
როცა მთელი არე მარე ღელავს მწარე მოგონებით,—  
მომესმება ამ ღროს ჰანგი, მომესმება ამ ღროს ხმები..  
გაზაფხული გაფრინდება, ჩუმი ცრემლით შენც მოჰკვდები,  
მაშინ მოვალ შენს საფლავზედ ველური ხმით ავტირდები!..

როცა მთელი არე-მარე გაბადრულა ვერცხლის სხივით,  
როცა მთვარეს ვარდის შუქი, ძირსა სცვივა ისარივით,  
როცა ნაზი ველ-მინდორი მორთულია მორცხვი იით,  
ზღვის სუნთქვა კი სიმს ევლება უჩვეულო ჰარმონიით,—  
ისევ ისევ მომესმება ქალწულივით ნაზი ხმები:

„ვით ყვავილი შემოდგომის, შენც დასკვნები, შენც გაჰხმები,  
მაშინ ცრემლად ავინთები, მთელი სევდით ავლეღდები,  
მეც გიტირებ ნაზ—ნარნარად, მეც საფლავზე მოგევლები—  
მანამდისინ ასე გიმღერ: შენც მოკვდები, შენც მოჰკვდები!..“

გ. ლეონიძე.

# ჰ ა ნ გ ე ბ ი

ს ი მ ლ მ რ ა

ვნახე უღაბნო ტიალი,  
წურწუმით შემოსილიყო,  
ამათში განმარტოებით  
წიკარტიც ამოსულიყო...  
ქარი დაჰქროდა ძლიერი,  
მწირს, ობოლს ეოპებოდა,  
ძირსა ურყევდა ერთიან  
და შთანთქმავს ემუქრებოდა,  
გაუმძღარი წერ-მატლა  
თავს აჯდა, იწუწუნებოდა...

მაისი იყო, ბაღს შეველ,  
ზამბახი მეგულებოდა,  
მწარე ფიქრებში გახვეულს  
ნახვამდე სული მხდებოდა...  
უცებ წავაწყდი წაქინძრულს,  
ფერი ეცვალა, ჰქნებოდა,  
იქვე ბუღბული მის ახლო  
წვალობდა, სული ხდებოდა,  
მე კი უზომო ბოღმითა  
ყელს სული მეხუთებოდა...

ხანი გავიდა, ბაღს შეველ,  
ვგიჟობდი, მეკვირვებოდა,  
რაც ვნახე წინათ, რა ფერიც  
ის სულაც არ ეტყობოდა;  
ვხედავდი ია სუსანბარს  
გულ-უხვათ ჩაჰკონებოდა,

იქვე ზამბახი ყარამფილს  
რაღაცას ეკითხებოდა;  
ბუღბული, ეშხით დამთვრალი  
თავს დამღეროდა, სტკებოდა...

ზატხული იყო კეკლუცი,  
მზე მიწას ელიმებოდა,  
მინდორ და ველათ ლამაზათ  
ყვავილი იფურჩქნებოდა;  
ნარი, ეკალი მზისაგან  
თავს ხრიდა, უცებ ჰქნებოდა,  
ყვავსა, სვავსა და ყორანსა  
ულეშოთ სული ხდებოდა,  
გაზაფხულისა აშიყი  
უცხო სიმღერას მღეროდა...

საღამო იყო საამო,  
მწყემსი ცხვრებს ერეკებოდა,  
მისი წარმტაცი სიმღერა  
ცაში ვარსკვლავებს სწვდებოდა...  
მთიდან ანკარა ჩანჩქერი  
დაბლა კლდეს ეხეთქებოდა,  
კით მთვარე სხივთა მსროლოვი  
ქვეყანას ელიმებოდა;  
სვაფი კი, სვაფი პირ-მყარალა,  
სულს ლევდა, იხოშებოდა...

ლ. ძიძიგური

\*) უარამფილა — მიხაკი.



# მზიურს გაქას.

. . . და მოკვდაო შგოსანი საქართველოს მთებისა  
და მოკვდაო მღერალი მთიურ ყვავილებსა.

სევდით სავსე სუმბულმა, ცრემლი ტხელი დაღვარა  
—ვიქვითინოთ, ვიტროთ, დაგვრჩენია აბა, რა?  
ჩამოსძახა ღრუბელმა ცელქ ნიავს დააბარა...

გული წყლულით ღმობილი, როგორც ჩემი მშობელი  
ჰყივის ლახვარ სობილი—ადარა გვყავს მკობელი!...

ჩვენ უმზერით განთიადს... მოდის ცეცხლებრ მგზებარე,  
შენ კი მისი ლოდინით ბნელ მღვიმეს მიეზარე!..

გ. ლეონიძე.

## შემოდგომის მელოდია.

შემოდგომის  
ქარი ჰქრის,  
დაღვრემილი  
ცა ცრემლს ღვრის,  
კარდის ძირას  
წყარო სტირს  
მიორკეცებს  
სევდა-ქირს.  
გაცრცენილს წალკოტს  
გლოვისა  
წამოუსხამს მანტია,  
ნისლი ჰბურავს  
მთის კალთებს  
ბუჩქ ქვეშ ცრემლსა  
ღვრის ია.  
ტყესა სცვივა  
ფოთლები,  
ნადღლიანსა

კმუნვარეს,  
ქარი შავბნელ ფრთიანი  
დაჰქრის ველსა  
მძინარეს.  
ხევში ლაღი მდინარე  
მწარედ მოსთქვამს  
ვალალებს,  
თრთვილი ჰფარავს  
ფერ მიხდილს  
დამქენარს  
მინდვრის ყვავილებს.  
ჩემო სატრფოვ, ბუნებაე,  
ნუ სტირ,  
ნუ იცრემლები,  
კვლავ გამოზაფხულდება  
ისევ მოიკაზმები.

ა. გაფრინდაშვილი



# დაკარგული ბედნიერება

პოემა პრუზად. M. H. Под-ოწ.

ეს მშვენიერება იყო!  
აროს ტანი, თეთრი სამოსელით იყო  
ფარული, განიერ ნაოქებით მოფენილი.  
ეს პოემა იყო, ეს იყო ოცნების ყვა-  
ლითა რხევა.  
ხალამოთი, როდესაც ქარიშხალი სა-  
ლადა ჰქროდა, თეთრ ღრუბლებს  
ნტავდა და თოვლის ფიფქი ნელად,  
მედ ეშვებოდა მწუხარ ციდან დედა-  
წაზე, და თეთრ სამარისებულ ზეწარს  
ენდა,—ის ნელად, ჩუმად შემოიპარე-  
და ჩემს ოთახში, ბუხარს მიუჯდებო-  
და, თავის დიდრონ თვალებს ცეცხლის  
ს მიაპყრობდა, და მისი ნაზი, მომლი-  
ნე სახე აღმასივით გაელვარდებოდა.  
რა მგრძნობიერე რამ იყო!..  
რა თვალწარმტაცი სახე!..  
რა თვალები!..  
იმათმა... იმ თვალებმა წარიტაცეს ჩე-  
სულის მშვიდობა.  
ხშირად ფერს იცვლიდენ როგორც  
მეორო ღრმა ზღვა.  
მისი თმები წითლად ელვარებდენ,  
ნ-კი ბურუსით მოიცვებოდა.  
და გრძელ, ზამთრის დიდრონ ღამეებს  
როიალს მიუჯდებოდი და თავდავიწ-  
ებამდის უკრავდი.  
ესტიროდი!..  
ფქვითინებდი!..  
ისე, ვით შემოდგომის უნუგეშოდ მოწ-  
ვეტილი ფოთოლი.  
ამ ხმებით მე ვეუბნებოდი მას სიყვა-

რულს, მოქირაშხალო რწმენას და ბედ-  
ნიერებას...

და ის... ის გატაცებით ყურს მიგდებ-  
და, დრო გამოშვებით მაღლა თავს აი-  
ღებდა, თავის მინაბულ თვალებით შე-  
მაცქერდებოდა, გაბრწყინვებული ბედ-  
ნიერების სკრემლებით და სიყვარულით.

ჩუმ, მყუდრო, ოცნებით სავსე ღამეებს,  
გაზაფხულის სუნით გაჟღენთილ ღამეებს  
ჩვენ ბაღში დავსვირობდით.

რა კარგი იყო მაშინ!

ყურს უგდებდით და ესტებოდით  
ბულბულის საამურ მღერით.

იასამანის ყლორტი ინაბებოდა და მი-  
სი ნაზი სუნი ვარსკვლავებამდის სწვდე-  
ბოდა, და თვით ისიც თრთოდა, კან-  
კალებდა ბედნიერებისაგან და სიტკბაე-  
ბისაგან.

ზაფხულობით გაელვარებულ მზის სხი-  
ვებში ვბანაობდით, ვისხედით ოქროთ  
აბიზინებულ ჯეჯილში, და რამდენს არ  
ვლაპარაკობდით.

ფრინველთა მთელი გროვა დამატყვე-  
ვებელ ჰანგებს გალობდა და ტოროლე-  
ბიც სიამით რაღაცას გვამცნობდენ, ულუ-  
რტულებდენ, თავს შვების გვირგვინებით  
გვიმოსავდენ.

გარშემო-კი მხოლოდ ატეხილი ქალე-  
ბი და ჯეჯილი.

ხანდახან ჩვენ ხშირ ტყეში ამოვყოფ-  
დით თავს, და ხეებიც დინჯად, მტკბა-

რად გვითხრობდენ ძველ საკვირველ ზღაპრებს.

ხან-კი უეცრად ხელიდან გამისხლტებოდა და ცივ ანკარა მთის ნაკადით თავს გაიგრილებდა.

კისკისებდა...

იციონდა...

შემოდგომაზე-კი!..

ჩვენ მწუხარედ დავიარებოდით გაპარსულ ხეივანებში და სევდიანად, გლოვით შევსცქეროდით გაყვითლებულ, ჩამოცვინულ ფოთლებს. მისი მზიური თავი ყოველთვის ჩემ მხარეზე იყო ჩამოდებული, და მისი უძირო თვალები ხშირად მიაჩერდებოდენ ვარდისფრად მოვარაყებულ ცას.

მე იგი თავდავიწყებით მიყვარდა!..

ღმერთო!.. რა რიგ მიყვარდა მე იგი!..

თითოეულ ყვავილში, ხეთა ფოთლებში, ვარსკვლავებში, უძირო ზღვაში მე ვხე-

დავდი მხოლოდ მას, ჩემს სიყვარულთითოულ ხმაში მე ვუსმენდი იმას.

და იგი იყო!..

ახ! მე-კი სრულიად გადამავიწყდა, იგი არა ყოფილა, ეს მხოლოდ ოცნაყოფი იყო.

ოცნება...

ცარიელი ოცნება!..

მე გიყი ვიყავი, შეშლილი; ხალჩენა დამიწყა.—

იმათ მე გამკურნეს...

მაგრამ ამ განკურნებასთან ერთად რიღეს, წარიტაცეს ჩემი ბედნიერება, მი სიცოცხლე, ჩემი სიყვარული.

უგუნურნი?..

რეგვენნი!..

ხა, ხა, ხა, ხა!..

ს. ტაიფუნო

### ნეტავი მას!..

ღამა...  
შემოდგომის უვარსკვლავო ღამა...  
ჯანდები მოიზღასნებიან ზღვიდან... მთებიდან... ხევსუკებიდან...

საცოდავად მოიზღასნებიან ივინი და თან მოაქვთ სიუურსე... მოწვენა... უიქედობა...  
ცივა...  
ჭყინუღლავს...  
იხოცებიან უვავილნი...  
იშუშებიან მდგლონი...  
შიშვლდებიან ბადნარნი...  
ცაღიერდებიან ბუღეები...  
მიფრინავენ... მიეშურებიან ტფილის ქვეუნიებისკენ ფრთოსნები...  
ჩხებიან მხოლოდ ბეღურები...

სიცივის აშარა ჩხებიან ბეღურები და რეთ ყიფ-ყიფებენ...  
უშემწოდ ფრთხალებენ გამსმარ-გაროლი ტოტიდან-ტოტზე... ხიდან-ხეზე...  
ასევე უშემწოდ... უნატამლოდ დაუუტებს მრავალი ადამიანი ავღარში... თოქჭყანში... წყვდიადში... ქარში...  
სტახტახტებენ და ჭთრთიან...  
ჭკვენსენ და იტრემლებიან...  
ბეღკრუღნი... ბეღკრუღნი...  
იგვენსებენ... ივანდახებენ ივინი და ჭმოვებენ განსვენებას სულისას... ვერ ეღსებიან საღმობას გულისას ვით ეს ჩიტები

ღამა...

ღამა...

ღამა...

ღამა...

ღამა...

ბურუსიანი... ჟინჯლიანი ღამეა...  
 იხილებიან უვაფილი...  
 ჭმიშვლდებიან ბაღნარნი...  
 სტახტახებენ ბელურები...  
 ჭვავკლასობენ უსახლ-კარონი...

ნეტავი მას... ნეტავი მას, ვისაც ეხლა  
 სძინავს და ეზმანება ღაჟვარდოვანი სიზმარნი...

ნეტავი მას...

დ. თურდოსპირელი



# უიკლქანო

(მეგობრის წერილიდან)

მეგობარო! გიგზავნი ბარათს, რომელიც არც ჰასუსხს მოკთხოვს და არც სჩქარად გადაკითხვას. ჟამსა მწუხრისას, როდესაც სევდამ თვისი უცნაური ისრები გაფანტოს შენს სულის სიდრმეში და საოცნებოთ ბუნების ღად შკერდზე მიკიპატიოვოს, თან წაიდე ეს რვეული და როდესაც კითხვას დაუწეებ მეგობრის განცდათა ამბავს, შენს საკუთარ სევდას დაფიქვების უფესკრული შთანთქავს.

ვეცდები მოკლედ, მარტივად გამოვსთქვა უოკელივე ის, რაც უკანასკნელ წუთებში განვიცადა აქ, ჩემს სამშობლოში.

როდესაც ცივ ჭვეუნებში გადასახლებულს მედიონსა სამშობლოში დაბრუნება, დაუფონებლივ დედის საფლავზე გავეშურე. დიდხანს ვიტირე უცრემლოდ, თვალთაცან ცრემლების გადმოფიქვავს ამ მწარე გოდებაშიც ვერ ვეღიროს.

ტაძრის ფანჯრებში, სადაც სანთლები ნახად ციმციმებდა, მთვარემ მორცხვად შეაზარა მკრთალი სხივები. და მე ურწმუნოს, ათეისტს, აღმედრ სურვილი შევსულიყავ ტაძარში და დედის ხსოვნის აღსანიშნავად სანთლები ამერთო ხატის წინაშე.

შეგიღე კიდარი, და ჭოი საძინელებავ! მე

მოწამე გაგხდი, თუ ჩემი სიერმის მეგობარი, ჩემი სულის თანამგზავრი აღლას, როგორ გახდა მეუღლე უცხო ვაჟისა. უთუოდ საკმეველის კომღმა აიტაცა ჭკარის სივრცეში.

რაც იმ დროს მე განვიცადა, აღარასიერი არ მაგონდება, მახსოვს მხოლოდ, რომ ჩემი სული ისე იწურებოდა, ვით ნელ-ნელ დნებოდა ნახად მოციმციმე, სანთელი აღლასს ხელში. როდესაც ნაწილობ-მეგობრებმა მათ მეუღლეა მიუღოცეს, მეც მიველ, მთრთოლვარე ხელი გაუწოდე და ოდნავ გასაცინი ხმით წარმოვსთქვი „მომილოცავს“.

შეერთა...

იმ დამესვე სადარბაზო ბარათი გაუგზავნე აღლასს შემდეგ წარწევით:

„მოლაღატე! სიეგარულის გამანადგურებელ ბრძოლაში, იცოდე რომ ჩემთან ერთად შენც დამარცხებული ხარ. აწ ვეღარ გამოხვალ შუა დამისას ვარსკვლავთა ციმციმის საცქერად, ამ დროს ვადღებული ხარ ქმართან იწვე გნების სარეცელზე. განთიადისას, ჩაკეძინება დაღლილ დაქანცულს, და შენ ვერას დროს ვერ დასტკები ამომავალ მზის სხივთა ცქერით. აღლას! ჟამსა მწუხრისას აწ ვინ მოკაცდის საოცნებოთ, მე კი შემოიღია თა-

ვისუფლად მივგეცე წარსულის მოგონებას. ბუნების წიაღში და ვნების ტალღების დაუტყდომელ სროლაში კიდევ ვიპოვი ცხოვრების მიზანს, შენ კი სამუდამოთ დაღუპული ხარ“.

მეორე დღესვე გავცილდი ამ ქალაქს, იქ ცხოვრება ვეღარ შევძელი. თავს უწვდენელ ზღვის სივრცეში მივცურავდი გემით. საუცხოო დამე იყო. გემის ბაქანიდან ვსტკებოდი ზღვის ტყეკით. ბაქანზე ვიდაც უცნობი ქალი დავინახე, და ვით მდინარით წამოხაჭროლ ნიავის მოძრაობაზე ათრთოლდება ტირიფის ტოტი, ისე ათრთოლდა ჩემი სხეული.

ამ ქალის დანახვაზე მომაგონდა ის, რაც ერთხელ ბავშვობისას გადამიხდა თავს. მდინარის შირად ვისხელი. ხელში „რობინზონ კრუზოე“ მეჭირა. ბავშვი ვიყავ, ვნების სილა ქვიშით არ იყო დასახინრებული ჩემი სხე. ის მოვიდა ჩემთან და მოკრძალების სიწითლე მომგვარა.

— კოცნა სწერია შენს წიგნში?

— კოცნა რად ეწერება?

— მე კი გაკოცებ—მითხრა და მომხვია ხელი. რაღაც გრძობა შეირხა სხეულში, ისე ვით ხელი სიო შეარხვეს მთვლემარე ფოთლებს და ჩემი ხელები ჩაეჭვდენ მის გვერდს. შეკრთა და ნაზი მრისხანებით შემომძახა:

— რას სჩადინარ თავ-ხედო ბავშვო?

შიში, სირცხვილი ვიგრძენ და ავტირდი. მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ, მე ის აღარსად მინახავს, აღარც ვიცი რომ იმ ქალს და ნეტავ ამ უცნობ ქალის დანახვაზე ოცნების ქვითინს რად მოაგონდა ეს ამბავი?

მაგრამ უური დამიკვლე და მიხვდები, რომ გრძობამ არ მომატუყა,

ერთს ჰატარა ქალაქში დავბინავდი (საიდანაც ამ ბარათს გწერ). შირველადვე სასაფლაოზე წავუელ სასიერნოდ. მიუვარს სასაფლაოზე სიერნობა. იქ რაღაც ღრმა შთაბეჭდილება იპურობს სულს. ერთს ხის ძირას,

ჩრდილში წამოწოლილი „მედავითნე“ დავინახე, რომელსაც ხელში საღვთო წერილი ეჭირა და იხუჭიკებდა: „და წარვიდან ესენი სატანჯველსა საუკუნესა; ხოლო მართაღნი ცხოვნებასა საუკუნესა“. მოვიწადინე მისი მუუდრო მცნადინებობის დარღვევა და რიხიანად უთხარ:

— მეგობარო! ბრძანა უფალმან: შეგქმნათ კაცი ხატებისა და მზგავსებისა ჩვენისამებრ; ჩაბერა სული თვისი და კახნდა კაცი. და როდესაც ეს სული გამოცხადდა სამსჯავროს წინაშე, უფალმან სული თვისი წარავლინა სატანჯველსა საუკუნესა? ხა! ხა! ხა!

განცვიფრდა, სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს ერთი ნაცნობი გადამიხვია და აღფრთოვანებით შემომძახა:

— იზმაილ, თქვენ აქ რა გინდათ?

ცხოვრების ტალღამ გადმოამისროლა; განზრახვა მაქვს რამოდენიმე ხნით ვიცხოვრო ამ თვალ წარმტაც ბუნების წიაღში.

— მე კი მომწყინდა აქ ცხოვრება, მაგრამ სულის თანასწორ არსების თვალთა ელვარებამ სამუდამოთ მიმჯაჭვა აქ.

— თქვენ აქ სატრფოცა გუაფთ?

— დახს! და დღესვე გაგაცნობ! მსურს დაუმეგობრდე მას.

უცნუი! ვით დამნაშავე, მშრომელ ხალხის მეგობარი, სოციალისტი, ის ჩემთან ერთად დიდხანს იყო სმპატიმროში. გაზეშირებული აქვს მთელი პროგრამა მშრომელ ხალხთა მოძრაობისა და ხედავ? სიუვარულის კი არა გაეგება რა! სურს მის სატრფოს დაუმეგობრდე. საბრალო! არ გაუგონია შექსშიონის მწარე სინამდვილე? „არ არსებობს პატიოსნება მშენიერებაში, არ არის ჭეშმარიტება გარეგნულ სათნოებაში, და არ არის სიუვარული იქ, სადაც არსებობს მეორე მამაკაცი“.

იმ დღესვე გამაზნო მისი სატრფო. აღმჩინდა რომ ეს ის ქალი იყო, რომელიც

გემზე დაწინაზე მოგზაურობის დროს, შემდეგ იმაშიდაც დაგრწმუნდი, რომ სწორედ ის იყო, რომელმაც ბავშვობისას ერთხელ მდინარის შირად...

— გაიცანით!

— ღიუბოვ იასამანიძე.

— სიყვარული? ღიუბოვ ქართულად სიყვარულს არ ნიშნავს? მაშ ნება მომეცით გიწოდოთ სიყვარული.

თავი დახარა! არ ვიცი სირცხვილის გრძობამ ათროთლას ამ ჟამად მისი სხეული, თუ სიამოვნების განცდამ. ჩემს დაქინებით ცქერას ვერ გაუძლო მან და თავი დახარა. როგორც კი ვიხსენებ მოხერხებული დრო, წყნარად ჩავჩურჩულე: რა მომხიბლავი, რა მშვენიერი ხართ.

მეორე დღეს ჩვენ მარტოდ მარტო ვიყავით ზღვის შირად. მას ხელში უვალიების თაიგული ეჭირა და ოცნებით გატაცებული გაუქრებდა სივრცეს. თაიგული გაუსხლტა ნახ თითებს.

— ახ დაიჭირეთ!

— ვერავის ხელი ვერ დაიჭერს მას, მაგრამ მის ნაცვლად მე მოგიძღვნი კოცნის თაიგულს. რად მეკრძალები, ეხლა ბავშვი არა ვარ, აი პტირდები.

რა კარგია! რა მშვენიერია გამაბრუებელი სურნელება ჰაერისა, ფრინველების ჟივილხივილი, ფოთლების სეველიანი შრიალი და მთვლემარ ტაღათა ნახი დუღუნი. ვერ გაუძელ მის ცქერას, მისი ბაკენი, რომელზედაც მედიდურობის ღიმილი კრთოდა, მისი თეთრი მკერდი, რომელსაც ნახად დაჭყუნოდა სუჭუჭა თმის ზვირთები, თვისკენ მიიღივდა. უნებურად მოხვნიე ხელი, გარტანიებული თავი ტაღათსავით დაგორდა მის ვნებით მშფოთ მკერდზე. ცეცხლებრ მგზნებარე კოცნის გამაძახილი აჩვენეს ჰაერის ტაღატებს და ოხ სსინელებამ! ოჰ უფსკრული

ვოჯოხეთისა, რად ჩურჩულებს ამ დროს მთროთლვარე ბაკე:

— შემომთეცე რომ გიყვარვარ, არ მიღალატე! მე შენი ვარ, საშუალოთ შენი, ჩემო გიჟო! ჩემო მშვენიერო.

რისთვის? მიხასუსხეთ! ამისხენით! რასურთ ჩემკან? რას შეკითხებთან? არ მსურს ძირმდის დავცალო ვნების ფაილა, მე მხოლოდ ნახი აღერსი მწყურია, ვით ახლად შობილ ერმას და რად მთხვეუნ ჩავიძირო ცხოვრების მშფოთ ზღვის სივრცეში? ვინ დააკანონა, რომ ვნების ტაღათა ნახი დიკლიკი, წრთული აღერსი უთუოდ ქორწინებით დასრულდეს? რომ წმინდა ანკარა მორევი მლაშე ჭაობათ გადაიქცეს და შიგ ბაწია უმწყო ცხოველები გამაფლდეს? მე უთხარ მას:— უგუნურებაა სიყვარული. უცქირე ამ დიდებულ სურათს. მზის ჩასვლისას, მიაცქირდი ამ საუცხოო გვირგვინს მზის სხივებისას, უცქირე დრუბლის თეთრ მძძავ მთებს, უსმინე ფოთოლთა დაუსრულებელ წყნარ სიმღერას. განისპეტაკე გრძობა და ჩაკვარ ბუნების ლად მკერდს. ბუნება ტრთობის დმერთია, ნუ ენდობი სიყვარულს ბუნების გარეშე. რათ გინდა ჩემი სიყვარული?

— არ გიყვარვარ?

— არა მრწამს სიყვარული. არა მრწამს ოჯახური ცხოვრება, ჩემი სიცოცხლე მარტობაში უნდა გავატარო.

დამერთხალი გაიქანა ჩემკან. საბრადო სუსტი არსება! ვერ დაათვარა ჩემი ფაქაზი გრძობა.

ასეა მეგობარო! მე ვეძებ უმწიკლვლო აღერსს და უოველთვის ვნების ტაღახში ამოსვრილ გრძობას კი მაწვდიან.

წამოგწივე ღიბილ ბაღახზე და მივეცი თავი ოცნებას. ოჰ რა ტკიბილია მარტოობა.

მთელი თავის განმავლობაში. რთახს არ გამოვცილებულვარ. მარტოობაში უატარებდი

დრის, და ამ მარტობაში აღმეძრა სურვილი საჯარო ლექცია წამეკითხა ამ პატარა ქალაქში. პირველად ხელი მივეყვამ ვარ შინაარსის ლექციის შემუშავებას: „თანამედროვე სკოლა და საზოგადოება“ მოკლე შინაარსის ასეთი იყო: ხელი არ ახლოთ არსებულ სასწავლებლებს და მასში გამოეხატულ აღმზრდელობით სისტემას. იქ ყოველისთვის მშენებურად არის მოწყობილი, იქ ყოველ გვარი ცდა მომწიფებელი და დასრულებულია, რომ აღზარდონ სუსტი, განებით დასმული მოქალაქენი. იქ ერთი თავისუფალი მთავრობენ ვერ შეათარებს თავს, წილგანებისა, წოდებისა, სარწმუნოებისა და კეთილსამედობის მოწმობას კარებშივე მოთხოვენ, განათლების ხელ-მძღვანელს ხელში უჭირავს ბორკილები და ბოქლომები. მივლენ მოსწავლეები და ხელ-იყვანს შეუბრკვევ, ენაზე ბოქლომს დაადებენ. აი, მარტობი სურათი რომელსაც „მნათობი“ ეწოდება. ეკეთ შინაარსის ლექციის წაკითხვის ნებას ვიცვლი არ მომცემდენ და ამიტომ ისევ ამ გვარი თემა ავიღე „ხელგანება ხელგანებისთვის თუ ცხოვრებისთვის“.

... დარბაზი სავსეა ხალხით. მედეურათ მოვაკლდე თავალი საზოგადოებას. დავიწყე ხმა მადლა, ღამაზ სურათებით შემკობილი ფრაზები. ვით ტაღდა ტაღდას, მწყობრად მივეყვამ სიტყვა სიტყვას: თუ შენს ხელგანებას გსურს ეტეობოდეს ნიშანი ზეციურ ძალისა, დაეხსენ მსჯელობას, მორალისტობას, ცხოვრების ტენდეციურ მხარების კვლევა ძიებას. ხელგანებისთვის ყოველგვარი ბრძოლა ძიება შეუმჩნეველ-შეუგნებელი უნდა იყოს. ხელგანის უნდა გაძლიერდეს ფერადს, აღმაფრთოვანებულ სურათებს. აი, მათი ღელა-აზრი ვინც გაიძახის ხელგანება ხელგანებისთვის, მაგრამ ერთი მითხარით ხელგანის განა აღმამანი არ არის? და განა მას უფლება არა აქვს აღმოთოდეს

ცხოვრების უსამართლობით და სისაძაგლით? რა უფლება აქვს ხელგანს ანგარიში არ გაუწიოს იმ საკითხებს, რომლის კვლევა ძიებაშიც ჩვენ ვითქვიფებთ? ხელგანს მეტი უფლება აქვს ხმა აღმადლოს ამ საკითხებზე...

ბერი აღარ მიკლდა ლექციის დამთავრებას, რომ უნებურად თავალი მოგვარ ნაცნობ ქალის სახეს, და უეცრივ ერთ ხმით ამოვიკმინე:

— ალღო! ალღო!

მუხლები მომეკვეცა. მთელი სხეულით ავთრთოლდი და უმწიკო ნაბიჯით ვიბრუნე პირი საზოგადოებიდან. დაგვიჩრავე ეტლი და შინისკენ გავეშურე. დავემხვე სარეცელზე, ავკვითინდი. ალღო! ალღო! ღრიალებდა სული უმწიკო.

ვინ განმარტავს, ვინ ჩემ სულიერ განცდას; მეგონა რომ სამუდამოდ დაგვივიწყე ის და ერთმა დანახვამ, ხელავ რა ზომამდე მიმიფანა?

ალღო! რა გსურდა ჩემთან, რად შემოიტერ ჩემს მშვიდ ნავთ სადგურში?

ერთხელ კიდევ შევხვდი მე მას.

ცხენებით წაველით სასაიარაღო. გზაში ხშირად მომინალოვდებოდა ხოლო დიუბა და წყნარი ხმით მუუბნებოდა: მითხარ რომ გიყვარვარ, თორემ მოვიკლავ თავს. მე პასუხს არ ვაძლევი.

იგვლივ საუცხოო სურათი იყო. ერთის მხრით: ხშირი საიდუმლოებითა მოცული ტყე და მეორე მხრით თავალ უწვდენი ზღვა. შორს, შორს. მოსჩანდა მდუმარეთ აზიდული მთები და მის ძირში გაძლილი ველი. უეცრივ თავალი მოვაფლე იქედან მომავალ ცხენისკენს და გულმა რაღაც საშინელება იგრძნო, გაესცილდი მხლებლებს. გადაკვარ მათხახი ცხენს, ფრინველზე უსწრავს მივქროდი, მალე დაუახლოვდი ჩემსკენ მომავალთ, ვიცან ალღო! თანამგზავრი უთუოდ მისი.

შეუღლე იყო. თავათ დამიბნელდა შურის ძიების მოლოდინში. ცხენი ზირდავირ დაჯა-  
 ჭასე ადღას თანამგზავრს. მოუფიქრებელი  
 მხედარი ძირს გადმოვარდა. უკვე შორს ვი-  
 ყავ, როდესაც მომესმა შეურაცყოფილის ყვი-  
 რილი. კაოთფიანებულმა ცხველმა შეჩერება  
 იწყო, მაგრამ ძალათ მივუკრეპოდი. მთის  
 ძარას ცხენი გაუშვი მინდვრათ და ფეხით  
 შევეყვებო ბილიკებს. მესახდნენ. . . ზსუხს არ  
 ვიძლეოდი.

ღამემ ივრთები გადაათარა მთას. ვიშ რა  
 კარგია ღამე მთებში! რა გრძობის დამატყვე-  
 ვებელია ტუის ფთათლთა ველური ჭანგი!  
 განთიადისს დაზბურნდი შინ, ღონე მიხდილი  
 და დაქნტული.

ამ სამი დღის წინ შესრულდა ოცდა ხუთი  
 წელი ჩემი ამ ქვეყნად არსებობისა. ოცდა  
 ხუთი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ  
 დაჰქროდა ქარი ჩემს უილაქანო ნავს და ქელი  
 კი ვერ მომხარვინია. ამ დღის აღსანიშნავად  
 უზომოდ დავითყურ. უველა ნაცნობებს ვზატო-  
 უობდი, უველას უამობდი, დღეს ჩემი ოცდა  
 ხუთი წლის არსებობის იუბილე არის მეთქი..

სადამის ზღვის ზირად გავისეირნე. იქ  
 თითქმის უველა ჩემი ნაცნობი ქალი და კაცი  
 შეგროვილიყო. წინადადებ ვივეცი ნავით  
 გაგვესეირნებინა.

სამუჟრად არხეკდა ზღვა ნავის კალოებს,  
 მომაგონდა ზუშკინის ნება დაურთველი ოხუნ-  
 ჯობა და სრინწიანი ხმით დავიწყე სიმღერა.

მივტურავთ ნავით..

- ხმა გაიკმიდეთ! უზრდელობაა!
- რად მიშლით ვიმღერო რუსეთის დი-  
 დებულ...
- რა უფლება გაქვთ ქალთა საზოგადო-  
 ებაში.
- ღიუბა! სიუჟარულა! განა. უფლება არა  
 მაქვს ვიმღერო?

— ზსუხის ნაცვლად მე გაკითხები, უფ-  
 ლება არა მაქვს ვიტრო?

— ხა! ხა! ხა! ნუ ატრემდელები სიუჟარუ-  
 ლა! თორემ ზღვას ადელეკებს ტრემლთა  
 ზვირთები და დავიღუპებით.

— თქვენთან სეირნობა არა ღირს, გა-  
 ტურეთ ნავი ნაზირისკენ.

ზღვაზე სეირნობის შემდეგ იქვე ნაზირზე  
 ზატარა ნადიმა გადავიხადე.

— მე ვსვამ იმ ასულის სადღეგრძელოს,  
 რომელსაც სურდა ზღვის ადელეკება ტრემლთა  
 ზვირთებით. თქვენი სადღეგრძელოა... სად  
 არის ღიუბა?

- სად არის სად?
- ჭაუ! ღიუბა! სადა ხარ სადა?
- იღუმალებამ შეიპერო უოკელ ჩვენგანის  
 გრძობა.

— წადით იმავით! თქვენ გაჯავრეთ.

წავუღ... ერთს წალკოტიდან წენარი სეკ-  
 დიანი სიმღერა მომესმა და იქითკენ გავ-  
 შურე.

ზღვის ტულ მეგრდით ანაქროლი საო, ვით  
 ჭირისუფალი თავს დაფარფატებდა მის თმის  
 კულულებს. ჩამავალი ვზის სხივია, ოქროს  
 მძივებოვით შემოხვეოდა მის სეკდიან სახეს.  
 ცალ ხელზე დაურდნობილი ის იწვა ყვავი-  
 ლებით მართულ წიადზე და სკვლით მოტუ-  
 ლი გადასტქეოდა ზღვას.

— სიუჟარულა! შენ გელოდებით, შენს  
 სადღეგრძელოსა ვსვამთ. წავიდეთ მალე სამ-  
 უარო წყვდიადის ჩადრში გამოხევევა. არ გა-  
 შინია აქ მარტოდ მარტოს?

— ჩემთვის შიში აღარ არსებობს! ნუ  
 მელოდებით!

- რა მშვენიერი ხართ?
- დასხვადი ჩემს ახლოს და მიტქირე  
 შენს მწველ თვალებით.
- ნებას მომცემ ხელი მოგხეო?

საშინელებავ! ვიდრე გამოვერკვეოდი, ეშ-

ხით სავსე ბაკენი მიკუმიშულიყვენ,  
 ხელში ცაციებული გვაში მეჭირა. იქვე  
 ვინავე ზაწია ჭურჭელი, ხარბათ მივიურდნე  
 ტუჩებსე, მაგრამ შიგ ერთი წვეთი აღარ  
 დარჩენილიყო საწამლავისა. რა მშენიერი  
 სიღამა იყო და მშვიდი თვალები სამუდამით  
 დაიხუჭენ....

— ვერ იზოვეთ?

— იქ წაღკოტზე სამუდამით დახუჭა მან  
 თვალები.

მოგხსენი ნავი და მივენდე ნიავის ფრთებს.

ეხლა, ამ წუთში, როდესაც ამ სტრიქო-  
 ნებს ვწერ, ისე მგონია, რომ ჩემი სული უძ-  
 ლკველი სტრიქონია და ჩემი სხეული კი  
 ტანჯვით დადარული მიწის მკერდი. ვუტქერ  
 ღრუბლის ნაკვთებს ცის ჭორიზონტზე და  
 ასე ვფიქრობ, რომ ის ჩემი გულის სიღრ-  
 მიდან ანარეკი სევდაა.

ქარიშხალი, რომლის ფრთებიც ეხლა ჩემს  
 თანჯრის მინებს გლოვის ზარის ხმას ასეთ-  
 ქებს—ჩემი ვნებაა. გლოვის ზარის ხმა, ისე  
 დაჭქრის ჭაერის სივრცეში, ვით უიალქანო  
 ნავი თვალ უწვდენ რკეანეს სიღრმეში. ეს  
 ის გლოვის ზარია, რომელიც საბრალო  
 ლიუბას მიადილებს ცივ სამარისკენ. ახ! რად  
 შეიწირა ეს უმანკო მსხვერპლი ჩემმა ვნებამ?  
 წავალ შორს, შორს, გავცილდები სამშობ-

ლოს საზღვრებს. გული ვერ იტყვს ესდენ  
 წამებას. მომწეინდა ყოვლისფერი, კიდით  
 კიდე შემოვივლი ქვეყნის სივრცეს, იქნებ  
 ახალი სხივი რამ ვზოვო უცხო ბუნების წია-  
 ლში, თორემ აქ ყოვლისფერი განვიცადე და  
 ერთხელ განცდილი სული შეარეო აღარ ით-  
 ვისებს.

მივემგზავრები...

ღმერთო ჩემო! ეს ბარათი ვინ მოიტანა?  
 ეს ალღოას ხელთ ნაწერთა... წავიკითხე?  
 გაუძლებს სული ამ გვარ ცდუნებას? დავს-  
 წავაგ!..

თითქოს ვნებით დამთვრალი ეკიდება ცეც-  
 ხლი სუფთა ასობით აჭრელებულ სტრიქო-  
 ნებს. თითქოს ერთი კოცნით დასწვა, ქრთი  
 მოხვევებით გააღწო სეფარული წერილი. და  
 აი, უკვე ჩაქრა, ჩანელდა. მხოლოდ ფერფლი  
 დარჩა, და მასაც ნიავის ფრთები მალ აი-  
 ტაცებს.

დაიწვა, ვერას დროს ვერ გავიგებ მე მის  
 შინაარს!..

მშვიდობით. ცრემლ დაუფრქვევლად ვეთ-  
 ხოვები სამშობლო მხარეს.

მეგობარო! თუ ოდესმე შეხვდე ჩემს სიყ-  
 რმის მეგობარს ალღოას, უთხარი, რომ მო-  
 გონება იმისი სხვის უცხო მხარეშიც არ მო-  
 მასვენებს.

მიხ. ბოქოჩიშვილი

## შურის ძიება

ამბავი.

I

მთაში საშინელი ავდარი იყო, ისეთი  
 რომ ძალი ვარედ არ გაიგდებოდა. წა-  
 რღვნისებური თქემი ქვეყანას წარღვნას

უპირებდა, გააფთრებული ზეცის ძალები  
 ერთმანეთს ებრძოლებოდნენ, წვიმა, ელ-  
 ვა, ქარიშხალი ერთმანეთში იბრძოდნენ

და ვინ-ვის გაასწრობდა და უაღრესს სი-  
მკაცრეს გამოიჩინდა აღარ იცოდნენ. გა-  
მძინვარებული ქარიშხალი, რაც ძალი  
და ღონე ჰქონდა, ხეებს ერთმანეთს ახე-  
თქებდა, ანტვრევდა ტოტებს და ლამობ-  
და ძირიან-ფესვიანად მათს აღმოფხვრა-  
ამოვარდნას, იგი ონავრობდა, აღმასობ-  
და და მათში საშინელებას აყენებდა.  
მოქუშული და მორკმული ცა, მთლად  
შავ კუნებეტად გადაქეული, თითქოს  
ჩამოქცევას აპირებდა, ასეთი ჭექა-ქუხილი  
გაჰქონდა, ისეთი საზარელი და შემად-  
რწუნებელი გრგვინვა-გრიალი, რომ დე-  
დამიწა იძრწოდა და მთის უფსკრულებ-  
ზედ გადმოკიდებული ქვა-კლდე ჩამოქცე-  
ვას ლამობდა. დრო-გამოშვებით კიდევ  
აქა-იქ ზეცის უფსკრულში მები იტეკებ-  
და, თოფ-ნაკრავი ფრინველსავით უმაღ-  
ძირს ეშვებოდა და ჯახანი გაჰქონდა  
კლდით გადაღესილს მთის მწერვლებ-  
ზედ. ხან კი ოქროს ფეხი ცის ზოლები  
წყვდიადს ჰფერავდნენ, შავ ზეწარ გადა-  
ფარებულს ცის კამარს ანათებდნენ და  
მიდამოს ნათელში ჰბანდნენ. ყვითლად  
გავარვარებული მიდამო ერთის თვალის  
ღახმამებაში კვალად წყვდიადში ეხვეო-  
და და შავს სუღარს ხელახლად აკრავდა  
იქაურობას. ეს ნათელი და წყვდიადი  
ისეთის სიჩქარით იცვლებოდნენ, ისე საჩქა-  
როდ ფრადლებოდნენ, რომ აღამიანს თვალ-  
სა სჭრიდნენ და გარედ დარჩენილს აღა-  
მიანს გასაჭირში აგდებდნენ.

თავზარდაცემული, შეშინებული ნადი-  
რი აქეთ-იქით გარბოდა, ქვაკლდეს ეხეთ-  
ქებოდა და არ იცოდა, როგორ ეშველნა  
თავისთვის და საით გაჰქცეოდა ბუნების  
საშინელებას.

ყოველ ცის მრისხანება ქუხილზედ წვი-  
მა-თქემში თითქოს ახალის ძალით, ახა-  
ლის ენერგიით უფრო უმატებდა, უშენდა

და მიდამოს ავსებდა. მთის ფერდობები  
ჩამოირეცხა, პატარა ნაკადები მთის  
ჯურღმულებში ახმაურდნენ და აყეფ-  
დნენ. თან მიაქვს ნაკადულს, რაც-კი  
გზაზედ შეხვდება, აღარაფერს ინდობს.

ხელახლად გაიფლავა, შორს სდლაც  
ღრიალით მები ჩამოვარდა, დიდს ას-  
წლოვან მუხას დაეცა, შუა გააპო და  
იქაურობა ერთს წამს გაანათა. სინათლე-  
ზედ გამოჩნდა მთის ფერდობზედ დაბლა-  
კნილს ბილიკზედ საჩქაროდ მიმავალი  
მთლად გაწუწული ორი მხედარი. ორივე  
სიფრთხილით მიერეკებოდნენ ცხენებს  
ამ ვიწრო ცალპირა მთის უფსკრულზედ  
გამბულს ბილიკებზედ, რომლიდგანაც  
საკმარისი იყო ერთი ფეხის გამობრუნე-  
ბა, ერთი წაბორძიკება ცხენისა, რომ  
კაცი მთის თვალუწვდენელს უფსკრულ-  
ში ჩაჩხბლიყო და საუკუნოდ დაღუბუ-  
ლიყო. საშინელება იყო მით უმეტეს  
ისეთს ამინდში მოგზაურობა, როცა  
გზაც კი თქემისაგან წალეკილი და ჩა-  
მორეცხილია და დიდი გასაჭირი უნდა  
ადგეს კაცს, რომ ამისთანა გზით ასეთს  
დარში გაჰხედოს აქ მოგზაურობა. მთაში  
ნაჩვევი ცხენი, რომელზედაც წინა მხედა-  
რი იჯდა, მეტად ფრთხილი და ჩვეული  
იყო ასეთს გზებს და ამიტომ უშიშრად  
მიდიოდა წინ. უცებ ცხენი შესდგა, წინ  
მხედარი შესდგა, გაჭირვებით გაჰკრა  
ასანთი და ნათლად გაარკვია, რომ ნია-  
ღვარს გზა ჩაეხრამა და ცხენს გადასვლა  
ვერ მოეხერხებინა.

— იბრა, ქალო, შესდექ, აქ ჩამოსვლა  
არის საჭირო, ცხენები სიფრთხილით  
უნდა გადავიყვანოთ და შერე კიდევ აი-  
ქით აღმართია და იმ დიდ აღმართზედაც  
ფეხით უნდა ავიდეთ, თორემ საშიშია,  
პირვანდელი უფსკრულები უძვეს ორთავ  
მხრივ და თუ ფეხი მოუსხტა ან ცხენს

ან ჩვენ, წასულია მაშინ საქმე. მე წინ წავალ და ჩემს ცხენს გავიყოლებ, შენ ჩემს ცხენს ძუაში მოჰკიდე ხელი და ისე გამოჰყევ, ნურაფრის შეგეშინდება, მაგრად მოჰკიდე ჩემს ცხენს კულში ხელი.

— ეხლავე, სულეიმანა და ამ სიტყვებთან ერთად ერთის თვალის დახამხამებზედ მეორე მხედარიც, რომელიც ქალი იყო, ცხენიდან ჩამოეშვა, ალვირი ხელში დაიჭირა ერთის ხელით, ხოლო მეორეთი მაგრად ძუა დაუჭირა სულეიმანას ცხენს და გზას გაუდგინა.

როცა ჩახრამულს ხევეს გავიდნენ და მთის ციცაბს შეუდგნენ; მეორე მხედრმა უთხრა პირველს:

— სულეიმან, მეშინიავ, გული რაღაცა ცუდს მიგრძობს, შესდევ, რაღაც ყრუ ხმა მომესმის, მღვეარი კი არ იყვეს. სულეიმანა შესდვა, გატრუნდა, ყური დაუგდო იქაურობას და მართლაც შორს სადღაც მოისმოდა ხეების ლაწა-ლუწი და რაღაც თქარა-თქური. ორივე შეშინებულემა ყური წაუგდეს; ტკაცა-ტკუცი თითქოს ახლოვდებოდა და მათკენ თითქოს რაღაცა გაჩქარებული მობოდა. იბრა კანკალმა აიტანა და სულეიმანს ეხვეოდა.

— ნუ გეშინიან, ჩემო იბრა, ნუ, უთხრა ბოლოს სულეიმანამ, ეგ დამფრთხვალნი ნადირია; საბრალო მშველი, ან ირემი და გამალეებული სხვაგნით მიბრბის, გამხმარ ხეებს ტოტებს ეჯახება რქებით და იმისგან ისმის ლაწა-ლუწი. შენ ტყეში და მთებში სიარულს შეჩვეული არ ხარ და იმიტომ გეშინიან.

მიგრამ იბრა იმდენად იყო შეშინებული, რომ მთლად ცახცახებდა და აგრე აღვილი არ იყო იმისი დაშოშმინება.

— ვფიცავ შენს სიყვარულს, ჩემო იბრავ, რომ საშიში არაფერია, აგრე

წაუგდე ყური, თან-თან ხმა როგორ მისწყდა, ალბად ნადირი უკვე შორს წავიდა და ხმაც აღარ ისმის.

— სულეიმან ჩემო, სულეიმან მეშინიან, მთლად ვცახცახებ, გული ცუდს რაღაც მაგრძობინებს, მთლად დასველებული ვარ, წუნწები ჩამომდის მთელს ტანზედ, აღარ შემძლიან აღარც სიარული და აღარც ცხენზედ ჯდომა, ღმერთიც ჩვენ გვიწყრება, მრისხანებს, დახე, დახე რა რიგ ჩანათა ჩვენის ბელაქნისაკენ, მე მგონი მეხი ჩამოვარდა. და ამ სიტყვების ერთად ალვის ხესავით მთლად ცახცახებდა კობტა, მოხდენილი, წერწეტა ლეკის ქალი.

— ნუ გეშინიან, ანუგემა კიდევ სულეიმანამ, მეც შენზედ ნაკლებ არა ვარ გაწუწული. აი აქ ახლოს გამოიარე კიდევ, აქვე ძველი შიმშათ ქილისას \*) ნანგრევებია და იქ შევაფაროთ თავი, იქ დაისვენებ კარგა ხანს და მერე ისევ გზას გაუდგეთ.

— მეშინიან, ღმერთო ჩემო, ეს სად წამომიყვანევი, შეგვიტყობენ, დაგვეწვიან, არ დაგვინდობენ და ამ სიტყვებთან ერთად ისე ათთართოლდა საბრალო იბრა, როგორც დილის ცვარში ნაბანი ხის ფოთოლი და მაგრა მიეკრა სულეიმანას. სულეიმანამ მაგრად მოჰხვია ხელები, გულში ჩაიკრა, და ერთს წუთს დაავიწყდა ბუნების მრისხანებაც, ქარიშხალიც და წუთიერი სიტკობებით გატაცებული დიდხანს იქნებოდა ამ მდგომარეობაში, რომ მახლობლად ჩამოვარდნილ მეხის გრიალს არ გამოეფხიზლებინა და მომავალზედ არ ეფიქრებინა.

\*) შიმშათ ქილისას ანუ ჭანდრების სუღარი, ჭქვიან ბელაქნის ახლოს დაჩენილს ძველს სუღარს.

— ჩემო იბრავ, საბრალო, საბრალო, მთლად არ დასველებულხარ, ნუ თუ ნაბადმა არა გიშველარა, ეხლავ, ეხლავ მივალთ შიმშათ ქილისასთან, იქ ცეცხლს დავანთებთ, გაშრები და მოისვენებ, ჩემო იბრავ.

— იქ ხომ ეხლა მწყევსები იქნებიან, გამიგონია, რომ შიმშათ ქილისას ნანგრევებში ავდარში ცხვრის ფარას შერეკავენ ხოლმე და ხომ გაგვიგეს და მერე?

— არა, ჩემო იბრავ, მე უფრო კარგად ვიცი, ცხვრისთვის იქ ჯერ აღრეა და არავინ იქნება იქა. აბა ცხენზედ შევჯდეთ და უფრო უმალ მივალთ.

ბუნება თავისას არ იშლიდა. წვიმა, ელვა, გრგვინვა ერთმანეთში ირეოდა და დასასრული არა ჰქონდა. ჩქარა მიაღწიეს შიმშათ ქილისას, რომელიც იყო ძველი სალოცავი ქართველებისა სახელგანთქმულის ბელაქნის ღვთისმშობლის ხატისა, სადაც წარსულს ბრწყინვალე დროში, როცა აქ ქართველთა მჯავა ძალუმადა სცემდა და ცხოვრება ჰყვავდა და გადმოდრიოდა, აქ იკრიბებოდა ხალხი სალოცავად და ღვთის სავედრებლად. აქ მთის მივარდნილს ციცაბზედ კარგა მოზრდილი ეკლესია აღეშენებინათ, რომლის მტრისაგან მიუვალის კალთათა შორის აფარებდა ხოლმე თავს მტრის დარბევა აოხრების დროს. მაგრამ ის დრონი საუკუნოდ გაჰქრნენ და მათს კვალს გაჰყვნენ მაშინდელი ბელაქნის მამულისშვილნი, ეხლა ეკლესია დიდი ხანია გატიალებულია და მას შემდეგ რაც ქართველთა კვალი გაჰქრა ბელაქანში და მის ნაოხარზედ ლეკებმა მოიკალათეს. ეკლესიის ეხლა მარტო მწყემსები და ჰპატრონობენ, რომელნიც ავდარში საქონელსა და ცხვარს შერეკავენ ხოლმე. როცა ჩვენი მგზავრები მივიდნენ,

ეკლესიას თავი ჯერ კიდევ ჩამონგრეული არა ჰქონდა და მშვენიერად იყვენახული. სულეიმანა და იბრა შევიდნენ ეკლესიაში, თან შეიყვანეს ცხენები ერთს კუთხეში ცხენები დააბეს, ხოლო მეორეში თითონ მოთავსდნენ. ჩქარა სულეიმანამ ცეცხლი გააჩალა, ნაბადი გაშლა და იბრა დასვა ზედა.

— სულეიმან, გენაცვა, ცეცხლის სენათლეზედ რომ მდევრებმა მოგვაგვინონ რა უნდა ვქნათ, ძალზედ კანკალით ან ბობდა იბრა.

— ნუ გეშინიან, შენს სულს ვენაცვალე, ისეთი კოკის პირული წვიმაა ჯერ კიდევ, ისეთი კუკუნეთი სიბნელეა, რომ ჩვენი სინათლე არსაიდან გამოჩნდება და თუ მაინც გეშინიან, ეხლავე ამ ჰატარსარკმელებს ისე დავჩუღავ ხის ფოთლებით და ტოტებით, რომ ერთი ბეწვა სინათლე არსით გავიდეს.

— კარგი იქნება, ჩემო სულეიმან, სიფრთხილეს თავი არ ასტკივა.

სულეიმანამ ჩქარა მოიტანა ხის ტოტები და სარკმელები ამოავსო.

— ჩემო იბრავ, დაიწყო ისევ სულეიმანამ და თან იბრას მიუახლოვდა, რომელიც დასველებულს ტანისამოსს ცეცხლზედ იშრობდა, ჩვენს კვალს ეხლა ეშმაკიც ვერ მოაგნებს. ეს წვემა და ნიაღვარი ისე ჩარეცხავს ცხენის ნაფეხურებს, რომ ვერავინ მიხვდება ჩვენ ასავალ-დასავალს.

— მაგას ხვალინდელი ღღე გამოაჩენს სულეიმან, რას დამდგარხარ! მოდი შენც გაიშერ ტანისამოსი. ჩემზედ ნაკლებ არც შენა ხარ დასველებული და ამ სიტყვებთან ერთად იბრამ ცოტა იქით მიიწია და ადგილი მისცა. გიზგიზა ცეცხლზედ ორივენი ჩქარა გაშრნენ, ისაუზმეს და კარგაც შეისვენეს.

— ეხლა ველარსად წავალთ, მე მგოს სულიმან, მოკრძალებით სთქვა ქამა, ჯერ კიდევ სწვიმს და ცხენებიც კისვენებენ, ჩვენც დაღლილები ვართ, ოტა თვალი მოვატყუოთ და მერე უფო მარჯვედ შეუდგებით გზასა.

ამ სიტყვებთან ერთად ქალმა ასწია ბადი რათა გაესწორებინა დასაწოლად და ამ დროს ცეცხლის შუქზედ კედელზედ რალაც მხატვრობა შეამჩნია და ჰკიბა.

— სულიმან, ეს რა მხატვრობაა, რაა ჰქვიან, ამას ქილისა. აქ რა უნდოათ ქრისტიანებს?

— ეჰ, ამოოხვრითა სთქვა სულიმანამ, რომელსაც არა ერთხელ მოვლილი და ახული ჰქონდა იქაურობა, როგორც ხუცის მცველს, ეგ მხატვრობა ჩვენ ქართველთა წმინდანებია, ეკლესიაც ჩვენ ქრისტიანების ყოფილა. აქ ულოცნია თელს ბელაქანს, რომელიც წინედ თლად ქართველთაგან შესდგებოდა.

— მერე რა ქნილა ის ქართველობა, ად წასულან?

— ქართველობა აუყრით აქედგან და სათი მიწა-წყალი თქვენ ლეკებისათვის ჰიუცია ყვენსა.

— ვაი საბრალონი, ეს ეკლესიაც მაშ თქვენი ყოფილა, თქვენ საწყლებო და ამ სიტყვებთან ერთად სიბრალოლის ნიშნად თავზედ ხელი გადაუსვა სულიმანას და მაგრა ჩაეკრა გულში. სულიმანა თავდავიწყებით ჰკოცნიდა, ეხვეოდა, ვალერსებოდა, ეკონებოდა და ასეთნაირად ევლებოდა თავს, რომ სურდა მისი იბრა მასთან ერთად ერთ არსებად, ერთ ქმნილებად გადაქცეულიყო და მასთან გაერთიანებულიყო საუკუნოდ, სამარადისოდ. დიდხანს სტკებოდნენ ასრე ორივე შეყვარებულნი. რომ ბოლოს ისი იბრა

გამოერკვა, ძალზედ გაეშვებინა და უთხრა:

— გვეყოფა, ჩვენ მგონი კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი სამშვიდობომდის და ბევრი განსაცდელი მოგველის, ამიტომ დასვენება გვეკირვება, მე ძალზედ დაღალული ვარ.

იბრა ნაბაღზედ წამოწვა და რადგანაც მგზავრობის უჩვევი ძალზედ დაიღალა, ჩქარა ჩაეძინა. სულიმანას კი არა სძინავს, ცეცხლის შუქით განათებული იბრას ბრწყინვალე, სათნოიანი სახე, რომელსაც გიშრის ფერი თმა და საუცხოვონაწნავეები მთლად აწეწილი საყვარლად ეყარა მხრებზედ, ეხლა უფრო კეკლუცად და მომზიდველად გამოიციკირებოდა. უცქერის სულიმანა, სტკებება, ოცნებობს მომავალს ცხოვრებაზედ, ცას ეწევა, რომ ეხლა ბედნიერება ახლოა და იბრა საუკუნოდ მისი იქნება და თუ აქამდის მიაღწევიანა, ეხლა ვერავითარი ძალა ვერ წაართმევს, ვერ გამოჰგლეჯს და გააშორებს მას იბრას. ოცნებობს სულიმანა, ითვალისწინებს მომავალს ახალს ცხოვრებას იბრასთან ერთად და მეტის ბედნიერებისაგან თავბრუ დასხმული სთვლემს.

## 2.

სულიმანა ოქროჯანაშვილი სოფელ ბელაქანში ტყის მცველად მსახურებდა. უკვე კარგა დიდი ხანი იყო, რომ ბელაქანელ ჰაჯი უსუფას თვალუყუენა ქალის იბრის სიყვარული გულში შეეკრა. ცქიტი, მოხდენილი, მაყვალსავით შავ თვალწარბა, კეკლუცი და წითელ ვარდსავით ახლად გადაშლილს მის ტუჩებზე დაწვებსა და ნორჩს შეხედულობას არა ერთის ბელაქნელი ახალგაზრდის გული

აუტოკრატია. თვალწარმტაცი იყო იბრა, როცა გრძელ სპილენძის კოკით მხარზედ, ლეკურს სადა ტანისამოსში გამოწყობილი, გრძელ შავ-კუნაპეტივით ნაწნავებით, რომელნიც მშვენიერად ჩასდევდნენ მის მხარბექს, წყაროს წყლისაკენ გაემგზავრებოდა ხოლმე. მარტოთ მიდიოდა იბრა წყაროზედ, მარტოდ ავსებდა და მარტოთვე ბრუნდებოდა სახლში, თითქოს განგებ ერიდებოდა ტოლ-ამხანაგებსა. ასე მარტოდ უყვარდა სიარული, მარტოდ ფიქრი, მარტოთ ოცნება, რისთვისაც ტოლ-ამხანაგნი მიუკარებელს ეძახოდნენ და შორს გაურბოდნენ.

აგერ ზის მარტოდ-მარტო იბრა ბოსტანში, მარგლის ხახვის კვლებს, ან ფურცელსა სჭრის გრძელის სასხელებით, იქვე კუწავს წვრილს ტოტებად და უმზადებს ჭიებს დასაყრელად. მთელი დღე შრომაშია, ფუსფუსობს, მისი ფეხი არ შესდგება. აუ ბოსტანში არა აქვს სამუშაო, მაშინ სუფთად მისგანვე მოკრიალეზულს კარმიდამოში გამოაქვს მატყლი და ჯარაზედ ართავს და კიდევ ჩარხი გაუბავს და ჯეჯიმს ან საჩოხე შალსა ჰქსოვს. სადამოთი მოვა ნახირი და ახალი საქმე უჩნდება, ძროხებს სწველავს, რძეს აღულებს, მაწონს აყენებს, რომ მეორე დღით ვიდრე მზე წამოიწვედეს ჩეროში ხის ტოტზედ ჩამობმულს დიდს სადღვებელში კარაქს ამზადებს. ასეთია იბრა, მშრომელი, მარდი, ლამაზი, მთელს დიდს ოჯახს ისე უვლის, ისე დასტრიალებს თავს, რომ კაცი გაკვირდება. მართალია სხეებიცა შველიან, დედაც, პატარა ძმებიცა, ნოქარიცა, მაგრამ იბრას დაუკითხავათ არაფერი კეთდება.

იმ დროს, როცა იბრა ისე გაუაცოცებით მუშაობდა ბოსტანში და ეზოში, რა იცოდა, რომ მისი უცნობი მიჯნური შო-

რით თვალს ადევნებდა და მისი ეშხით იწოდა, იდაგებოდა და ეს გრძნობა კი ვერ გაემხილა, ვერ გაემქლავნებინა თავის უცნობის სატრფოსთვის.

ეს მიჯნური იყო ტყის მცველი სულეიმანა, თითონაც იბრაზედ. არა ნაკლები წარმოსადეგი ვაჟკაცი, ეშხიანი და ლამაზი. სულეიმანას ჰაჯი უსუფის სიახლოვეს ეჭირა მეორე სართულში ოთახი, საიდგანაც ჰაჯის ბოსტანი ხელის გულსავით მოსჩანდა. როცა იბრა ბოსტანში სამუშაოდ გავიდოდა, სულეიმანა ცქერად გადაიქცეოდა, ფანჯარას ჩუმად ამოეფარებოდა, რომ არავის დაენახნა და ასე, შორით მშერით სტკებოდა. რაც დროდა ჟამი მიდიოდა ქალის ეშხით სულეიმანა უფრო ითრობოდა, ძვალსა და რბილში უჯდებოდა მისი სიყვარული და უკვე ფარულად მიჯნურობას აღარ კმაყოფილებოდა.

ასე უტყვათ შეყვარებული იყო სულეიმანა, მაგრამ თავს იკავებდა და ხშირად თავის და თავად ერთი რამ საკითხი მუდამ თვალწინ უდგებოდა და მოსვენებას არ აძლევდა.

— მე ხომ ინგილო ვარ და ქრისტიანი, იბრა კი ლეკია და მუსულმანი, ვთქვათ იბრამ თანამიგრძნო, ჩემს სიყვარულს იმანაც სიყვარულით უბასუხა, მერე ჩვენი შეუღლება როგორ უნდა მოხდეს, ან მე უნდა მივიღო მუსულმანობა მამაპაპათა ტანჯულ სარწმუნოებას და ეროვნებას უღალატო, ან კიდევ იმან ქრისტიანობა არა? არა, არა, ათასჯერ იმეორებდა ხოლმე სულეიმანა და თან უფრო და უფრო, რაც დრო გადიოდა, უცხოველდებოდა იბრას სიყვარული.

აგერ მოდის იბრა, სპილენძის კოკა მხარზედ წამოუკიდნია და წყაროს გზას გასდგომია, სულეიმანა სიყვარულით გაა-

ყოლებს თვალს.

— იბრა, იბრა, ღმერთო ჩემო რა რიგ ლამაზია და რა რიგ მიყვარს, მაგრამ მე ხომ, მე ხომ ქრისტიანი ვარ და ეგ კი მუსულმანი, ჩვენ შუა გარდუვალი კედელია, რომელიც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს და სულს გვიხუთავს, მაგრამ არა მე იბრა მიყვარს და ამ საკითხს მხოლოდ შერე გადავწყვეტო, როცა, როცა იბრაც თანამიგრძნობს.

აგერ იბრამ უკანვე ჩამოიხრა და მარცხნივ შეიხედა იმ აივნისაკენ, საიდგანაც სულეიმანა იცქირებოდა წელან, მაგრამ ეხლა კი იქ აღარ იყო. გაიარა ცოტა, შემდეგ რამდენჯერმე კიდევ უკან შემოიხედა, მაგრამ სულეიმანა იქ აღარ სჩანდა. ქალს ეტყობოდა ისიცა გრძნობდა, უცნობის მიჯნურის მწვავს თვალების გამომეტყველებას და თითქოს ინსტიქტიურად ისიც თანაუგრძნობდა. ამის შემდეგ იბრა გაივლიდა თუ არა ყოველდღე წყაროსაკენ, მორცხვად შეიხედავდა ხოლმე აივნისაკენ, სადაც სულეიმანა ეგულეობდა და როცა თვალი-თვალს შეხვდებოდა, ქალი მორცხვად თავსა ჰხრიდა, მაგრამ, გულში ეტყობოდა მასაც ცეცხლის ალი ენთებოდა და სულეიმანას ცქერა მას ყველას ერჩინა.

— ათასი, უთხრა ერთხელ იბრამ მამას, როცა იმან ტყიდგან რამდენიმე ქოთუქი (ხის ძირი) მოათრია ზამთრისთვის დასაწვავად, მანგრე უშიშრად რომ მოგაქვს ტყიდგან, მცველმა რომ დაგინახოს, ხომ საჩივარ დაგიწყებს, ჯარიმას გადაგახდევინებს და ციხეშიც ჩაგსვამენ.

— არა იბრა, ენვი სულეიმანა, ძალიან კარგი კაცია და მაგ საქმეს არ ჩაიდენს.

ქალს ძალიან ესიამოვნა მამის ნათქვამი.

— თუ ენგრეთი კარგი კაცია, უთხრა კვალად იბრამ, ყველა ამვლელი და ჩამოვლელი ჩვენს სახლში მოდის, მაგისთვის კი ერთხელაც პატივი არ გიცია.

— მართალს ამბობ შეილო, მართალს, დამნაშავენი ვართ. ჩვენი კაცი რომ იყოს ტყის მცველად, მაგრე თავისუფლებას არ მოგვეცემა.

ჩქარა, ერთს პარასკევს, მეჩეთში ლოცვის შემდეგ უსუფამ სადილათ მიიწვია სულეიმანა, რომელიც მშვენივრად გამოწყობილი ვერცხლის ქამარ-ხანჯალში ეწვია უსუფას. მთელი სადილის დროს ციბრუტივით ტრიალებდა იბრა, კოხტა სადღესასწაულო ლეკურს ტანისპოსში გამოწყობილი ერთი-ორად უფრო მიმზიდველი იყო ეხლა. სულეიმანას აღზნებული თვალებიც იმას არა შორდებოდა და როცა ერთი-ერთმანეთს ჰხვდებოდა, ეხლა მორცხვად ძირს აღარ იხრებოდა.

ამას შემდეგ დამოკიდულება იბრასა და სულეიმანას შორას გაადვილდა. ის ერთი ბეწვა სიყვარულის ნაპერწკალი, რომელიც იბრას გულში უკვე იყო ჩასახული და სულეიმანასაკენ მიიღტვოდა, ეხლი მთელი გიზგიზა ცეცხლად გადაიქცა და მოსვენებას არ აძლევდა. სულეიმანა ისე შეეუყვარდა, ისეთი გიჟური ოცნებით, რომ მზად იყო ყველაფერი სიყვარულისათვის ენაცვლებინა, დედმამაც, სამშობლო კერაც, სახლკარი და მთელის თავის არსებით სულეიმანას თავდავიწყებით მისცემოდა და მისთვის ენაცვლებინა მთელი თავისი სიცოცხლე, თავისი სულთქმა. როცა სულეიმანას დაინახავდა, ელექტრონის ნაპერწკალსავით რაღაც უცნობი გრძნობა აენთებოდა ხოლმე მის გულში, აღიზინებდა და თითქოს სხვა ახალს ქვეყანაში, სხვა სამყაროში ამოაყოფინებდა ხოლმე თავსა.

სადაც მარტო ვარდი-ბუღბუღით შემკული სიყვარული არსებობდა.

იბრა თავბრუდასხმული იყო სულეიმანას თანაგრძნობით, ის იყო იმისთვის ნეტარი, რომელსაც ყოველი მისი გრძნობა, ყოველი მისი ფეხის გადადგმა ფარვანასავით დასტრიალებდა და თავს ევლებოდა. მაგრამ როცა ცოტად მაინც ოცნება-გატაცებისაგან გამოერკვეოდა, ერთი მწვავე საკითხი მასაც თვალწინ ძალაუნებურად გამოეჭიმოდა ხოლმე და წყევულს მაჯლაჯუნასავით მოსვენებას არ აძლევდა. ეს ის საკითხი იყო, რომელიც სულეიმანასაც გზაზედ გახიზნებოდა.

— ვაჰმე ბედშავმა, რა ვქნა, მიყვარს, მიყვარს სულეიმანა, მიყვარს მთელს ქვეყანაზედ უფრო მეტად. მაგრამ რა ვქნა მე ბედკრულმა, ის ქრისტიანია და მე კი მუსულმანი, როგორ იქნება ჩვენი ცოლქმრობა? მამა ჩემი ჰაჯია, ქრისტიანს როგორ მიმცემს, სჯული ნებას არ დაგვრთავს, ჩვენი ცოლქმრობა მოუხერხებელია. ოჰ, ღმერთო, რათ, რისთვის?

და როცა ამას წარმოიდგენდა იბრა, როცა ეს შეუძლებლობა თავისდათავად თვალწინ წამოეჩხიბრებოდა ხოლმე და მოსვენებას არ აძლევდა, იმავე დროს მეორე გრძნობა, გრძნობა სულეიმანთან ერთობისა უფრო ძალუმად წამოაჰყოფდა ხოლმე თავსა და ჩრდილს აყენებდა პირველსა, უფრო მეტად უყვარდებოდა სულეიმანა, უფრო მეტად მიისწრაფოდა მისი გრძნობა-გონება მისკენ, უფრო ცხოველდებოდა ეს გრძნობა და ვერავითარ ძალას მისი დაქერა ვერ შეეძლო.

ერთხელ როცა ჩვეულებისამებრ მუშა ხალხმა, შრომისაგან დაქანცულმა, ჰაჯის სახლში ძალზედ მიიძინა, იბრა ფეხაკრევით წამოდგა ზეზე, მიპარვით გააღო

სახლის კარი და ბოსტნისაკენ გასწია, სადაც სულეიმანა უცდიდა; იბრა როგორღაც ვერ იყო დღეს კარგად, თავი ჩაეჭინდრა და მოსვლისათნავე ჰკითხა სულეიმანას.

— სულეიმან, მიყვარხარ, მიყვარხარ ისე, რომ მთელს ჩემს სიცოცხლეს შენ განაცვალედი, მაგრამ ერთი რამ მაწუხებს და მოსვენებას არ მაძლევს, შენ ქრისტიანი ხარ და მე კი მუსულმანი, როგორ იქნება ჩვენი შეუღლება, როგორ იქნება ჩვენი ცოლქმრობა, მითხარი, მითხარი ჩქარა?

— ეგ გარემოება მეც მოსვენებას არ მაძლევს, მაგრამ თავს შემოგვევლე, რა ვქნათ, ჩვენ გვიყვარს, გვიყვარს ერთმანეთი და დანარჩენი მე აღარ მეყურება, ანგარიში ვერ მიმიცია. ჩვენ ხომ ისე ძალუმად გვიყვარს ერთმანეთი, რომ საქმე გასჭირდეს ერთმანეთისთვის სიცოცხლეს არ დავიშურებთ და მეტი რა საჭიროა.

— მერე დედ-მამა ნებას რომ არ მომცემს შეუღლებისას, ორში ერთმა უნდა გამოვიცვალოთ ჩვენი სარწმუნოება და მხოლოდ მაშინ შესაძლებელია ყველაფერი. ოჰ, სულეიმან, რა მეძნელება ეს? და ამ სიტყვებთან ერთად ქალი უგემურად გაიზმორა და ხელიდგან გაეშვა.

— ოჰ, იბრავ, რათ გაგვაჩინა ასე ღმერთმა, რომ სარწმუნოება გვეღობება, გარდუვალს კედელს აყენებს ჩვენს შორის. ჩვენ ხომ ერთმანეთი გვიყვარს და გვეყვარება მარადის და მეტი რა გვიწადის რა ხელი აქვს ჩვენთან. აქ ცოტა დაფიქრდა სულეიმანა და ცოტა ხნის შემდეგ სიხარულით წამოიძახა:—იბრა, ჩემო იბრა, წავიდეთ აქედგან, შორს, შორს აქედგან ჩვენსკენ, ჩვენსკენ.

დიდხანს იდგა ქალი უსიტყვოდ და

გაშტერებული რაღაც უაზროთ გასცქეროდა ვარსკვლავებით მოქედილს ცის კამარას. სულეიმანი პასუხს უცდიდა.

— კარგი, კარგა ხნის ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა ბოლოს ქალმა, დროს დახანება აღარ შეიძლება, ჩვენები მგონია ჰხედებიან ჩვენს მიჯნურობას და გაგვყრიან. ან შენ გიმსხვერპლებენ და ან კიდევ მე. გავშორდეთ, გავშორდეთ რაც შეიძლება ჩქარა აქაურობას, სთქვა კიდევ ქალმა და გულდაწყვეტით გადაჰხედა იქაურობას, ნელად მიაგლო თვალი მკრთალს ნათელზედ წითლად გამოიყურს კრამინტიანს მამის სახლს, მერე სულეიმანს შეჰხედა, ჩაეკრა გულში და სევდიანათ დაუწყო კოცნა.

გრძნობდა სამშობლო კერას სამუდამოდ უნდა განშორებოდა და გული ეთუთქებოდა, ეთანაღრებოდა და რაღაც კუდს ეუბნებოდა.

მეორე დღეს, როცა მთელი ჯალაბობა ტკბილს ძილს მისცემოდა, ფეხაკრებით გამოვიდა იბრა სახლიდან, გაუარა ბოსტანს, სადაც ბოდჩაში შეხვეული ცოტა რამ ბარგი ჰქონდა და მერე ტყისკენ მისცა თავი, სადაც სულეიმანი უცდიდა ორის ცხენით გასაპარებლად.

### 3.

სოფელ მეშაბაშის ბოლოს ხევის პირად მდგომს სახლის ეზოში არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო. პატარა სოფლის მთელი ჯაშათობა ქალი თუ კაცი თითქმის იქ ირეოდა. კოხტად მოკრიალებულს ეზოს, რომელზედაც მწვანედ ბალახს ნახად გაუდის ბიბინი, შიგ შუაში წამოდგმული აქვს ინგილიჯური წითელის კრამიტით გადახურული აყარიანი სახ-

შესდგება საყონადოსა და საჯალაბოსა გან. ცოტა მოშორებით კრამიტით გადახურული ბოსელი სდგას, რომლი აყარიც სავსეა ბზითა და თივით. იქვე შორ-ახლოს კონა-კონა დაქრილი დმწყობრად დალაგებული ფიჩხი და შგშა მთელის ზამთრისთვის დამზადებული მეორე გვერდზედ სახლისა ღობის სიახლოვეს მიწაში ჩაფლულია ღვინით სავსე ქვევრები. კარ-მიდამო სავსე იყო შინაური ფრინველით. ყველაფერს მარჯვე, გამარჯელის და მომუშავე აღნაშენის ხელეცუობოდა, ოთახებს, ეზოს, კარ-მიდამოს თუ დახარატებულს დარვაზას, რომლისთვისაც ზევიდგან კრამიტი გადაეხურნათ და ლურჯათ შეედებნათ.

დღეს კიდევ სადღესასწაულო სახე მიეღო ყველაფერს, ყოველივეს გადამეტებული მზრუნველობა და სისუფთავე ეტყობოდა. ერთს-ერთს მხარეს ღობის გავლებზედ სახელდახელოდ ფიცრებისაგაგამართული გრძელი სუფრა იყო სტუმრებისათვის დამზადებული, ხოლო ეზოს ბოლოს სამზარეულო. სახლის პატრონებს ორ-ორი ცხვარი დაეკლათ, რამდენიმე ინდოური, ბატი და მრავალი წვრილი შინაური ფრინველი და სადილისათვის მზადებაში იყვნენ. დიასახლისი კიდევ ბრინჯით სავსე სინები დაედგა გოგობისათვის და ფლავისათვის არჩევინებდა. ყველა ამათ თავს დასტრიალებდათ, თანადრიგს აძლევდათ და სტუმრებსაც იღებდა ოჯახის დიასახლისის, რომელშიაც აღამიანი აღვილად იცნობდ ჩვენს იბრას, რომელსაც ეხლა სახელად იბრას მაგიერ მარიამი ერქვა.

უკვე მესამე წელიწადი იყო, რაც იბრა და სულეიმანი შეუღლდნენ და სულეიმანს სამშობლო სოფელ მეშაბაშის დასახლდნენ. მშობლებს მრისხანებამ, კ-

ცების დადევნებამ, მთავრობისა და პოლიციასთან საჩივარმა ვერაფერი გასჭრა. იბრა საჯაროდ გაიძახდა, მე სულეიმანა მიყვარს, ქრისტიანობა უნდა მივიღო და ჯვარი დავიწეროვო.

— მე თვით გამოვყვევი სოლეიმანს, თითონ გამოვიქეცი მშობლების სახლიდან და ძალით არავის წამოუყვანივარ და არც შემიძლიან მისი დატოვებაო.

შეინძრა მთელი ბელაქანი, ჩაღმამოსილი ჰაჯიები ეხალნენ პოლიციას, ეცადნენ სულეიმანასი და იბრას ხელში ჩაგდებას, მაგრამ რა ვერას გახდნენ, ჯავრით ხელი ჩაიქნიეს, უკანვე გაბრუნდნენ და მრისხანება შემოუთვალეს სულეიმანას:

— ვნახოთ, როგორ იქნები ბოლომდის ანგრე, სოფლის შერცხვენას არავინ გაბატიებს.

აგერ მესამე წელიწადია სულეიმანა და მარიამი, რომელთაც ჯვარი დაიწერეს გამოქცევის მეორე კვირასვე, სიამტკბილადა სკხოვრობდნენ და ბელაქნელები და მათი მუქარა აღარც კი ახსოვდათ. მარიამმა თავისი მხნეობა ეხლა უფრო გაარკვეცა, ისეთს შრომასა და გარჯაში იყო მუდამ დღე, რომ თითოთ საჩვენებელი იყო ყველასათვის. წელს ოცდა ათის თუმნის მარტო აბრეშუმი გაჰყიდა. შემდეგისთვის კიდევ ისეთს დიდს საფურცელს აშენებდა, რომ სამჯერ კიდევ უფრო მეტი აბრეშუმი მოუვიდათ. აქნობამდის გაცივებულ ოჯახს, რომელიც სულეიმანას დედამის დახოცვის შემდეგ, ამოვარდნის გზაზედ დამდგარიყო და გაპარტახებულიყო, ისეთი სული ჩაჰბერა, ისე გამოატრიალა სამის წლის განმავლობაში, რომ აღამიანი ვეღარ იცნობდა. ბედნიერი იყო სულეიმანა, დღეს უკვე ნათლობა აქვს, მარიამს ბიჭი ეყოლა და მთელი სოფელი ჰყავს დაპატიჟებული.

— რა ყოჩალი დედაკაცია, შენი ჭირიმე დადავ, ხელდახელ ფეხზედ არ დაყენა გავერანებული ოჯახი. ერთი დახეთ ქართულც რა მშვენივრად ისწავლა, ორს წელიწადში როგორ გაეჩვია ლაპარაკს, არა ჰგავს ჩვენ რძენაწყენ ქალიშვილებს, რომელთაც თვით საქართველოშიაც კი ვერ შეუსწავლიათ სამშობლო ენა, იოხუნჯა ბავშვის მოსანათლავად მოსულმა მღვდელმა.

მარიამი ციბრუტივითა ტრიალებდა სადილზედ, ზოგს საქმელს მიართმევდა, ზოგს ღვინოს, ყველას თავაზსა და პატივისცემაში იყო გულუხვი მარიამი. სუფრის ბოლოს ისხდნენ რამდენიმე დაღესტნელი ლეკიც, რომელნიც სოფელს შემოსჩვევოდნენ და მუდამ წელს მოდიოდნენ და მთელი შემოდგომა ზამთარი სცხოვრობდნენ სოფელში, რომელნიც მტკვებები და მქედლები იყვნენ. როცა ხალხი აიშალა, შეზარხოშებულმა ლეკებმა, რომელთ შორისაც ბებერი დედაკაცი გულუსტაც ერია შესძახა:

— მარიამ, იბრა, მო ჩონთან ერ ჭიქა ღვინო ერთად დავლიოთ.

— რატომ გენაცვა, დიდის სიამოვნებით და იქით გაემართა მარიამი.

ამ დროს გულიუსტამ მოფარებით ჭიქაში საწამლავი გაურია- მარიამმა სამადლობელი გადაუხადა სადღერგრძელოსათვის, ყოველივე სიკეთე უსურვა და ხელდახელ გადაჰკრა ღვინო, რომლის სმასაც უკვე შესჩვეოდა მარიამი და სრულიად ვერ შეამჩნია თუ ღვინოს რამე საწამლავი ჰქონდა გარეული.

მილაგდნენ ყველანი. მარიამს მუცელმა ცოტა წვა დაუწყია თითქოს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს. ოჯახი მილაგმოალავა, ყველაფერი მიაბინავა, ბოლოს დალილ-დაწყვეტილმა ბავშვს ძუძუ მოა-

წოვა თუ არა, თითონაც იქვე ჩაეძინა. სულეიმანს კი ღვინით გაბრუებულს იქვე ოთახის მეორე კუთხეში დიდი ხანია სძინავს და უზრუნველად ხვრინავს.

— კაცო სულეიმან, ვაიმე, ვაიმე, მუცელი მეწვის, ვკვდები, ვკვდები, ადამიანი ვინ ხარო, მიშველევით. გასწიოდა მუცლის წვისაგან გამოღვიძებული მარიამი.

სულეიმანამ როგორც იყო მარიამის ყვირილზედ გამოიღვიძა, გიჟსავით შეჭხედა მომაკვდავს ცოლს, ერთი შეშვყვარა, ვარედ გამოვარდა და მეზობლებს დაუწყა ძახილი საშველად.

— ვაიმე, ვაიმე მარიამ, ერთი კიდევ შეშვყვირა სულეიმანამ, რომლის ძახილზედ მეზობლები უკვე შეგროვილიყვნენ.

მეზობლები საჩქაროდ მისცივდნენ მარიამს. ზოგი ცივს ტილოს ადებდა მუცელზედ, ზოგი სასაქმებლის ზეთის დაღვინებასა სცდილობდა, მაგრამ მარიამის საქმე უკვე წასული იყო. მარიამმა ერთი ხიდევ გაიბრძოლა, ერთი კიდევ შეშვყივლა და გათავდა.

სულეიმანა, რომელიც ჯერ კიდევ კარგად გონს ვერ მოსულიყო, ელდანაკრავს სავით გულ-შემოყრილი მარიამის ახლოს დაეცა. როცა მოასულიერეს, გამოერკვა და გონს მოვიდა, ნათლად წარმოუდგა, რომ ეს მისი უბედურება, ბელაქნელების შურის ძიება იყო.

ედითი.



## სატის მიზეზი

(ნამდვილი ამბავი სოფლის ცხოვრებიდან).

ბუნებისთვის დამდევია. მშენებელი დილაა. ბავშვები სკოლაში ბუზივით ირევიან, მღერიან, თამაშობენ. მხოლოდ ახალშემოსული პატარები ცალკე სდგანან გაჩუმებულნი და თვალ ყურს ადევნებენ ძველ მოწაფეებს, უკვირსთ უცხო სანახაობა და მორცხვად გამოიყურებიან.

ქვირვ მაკრინეს მოეყვანა თავისი შვილი წლის ბავშვი, მორიდებით თავი დამიკრა და მსთხოვა მიმელო იგი სკოლაში. დიდის სიამოვნებით მეთქი და წავიწვი პატარასაკენ. ის კი დედას მიკვროდა, კაბაზე ხელი მაგრად მოეკიდა და სულ ძირს იყურებოდა: ეტყობოდა ეშინოდა ჩემი. ხანდახან თავისი დიდრონი

თვლებით ქვეშიდან მალულად შემომხედავდა და ცალი ხელით კი თავის პატარა წიოელ ყაბალახს კმუქნავდა. დედა მოეფერა, უნდოდა ჩემთან ახლოს მოეყვანა, მაგრამ ის ადგილიდან აღარ იძროდა და უფრო მაგრად ეკვროდა მას. საქმე შერიგებაზე მიდგა, მეტი გზა აღარ იყო და მეც მოვეფერე, ყაბალახი გავუსწორე და შემდეგ, როგორც იყო, მოვიახლოვე. გამოვკითხე სახელი, „კირილე“ო მითხრა, ცოტა ახლოს მოიწია და მორცხვად შემომხედა. „აი, ჩემო კირილე, ჩვენ აქ ვისწავლოთ წერა, კითხვა, სიმღერა, თანაც ვითამაშოთ; იცი თამაშობა?“, ვკითხე ბოლოს. მან გაიღი-

მა და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. ასე მალე დავმეგობრდით მე და კირილე. შემდეგ ის სიაში ჩავიწერე და გარედ გამოვიყვანე. „აჰა, კიდევ ერთი ამხანაგი“, მივაბარე ბავშვებს და ახალშემოსულებში გავურე. ისინი შემოეხვივნენ ახალ ამხანაგს და დაუწყეს ათვალიერა-ათვალიერება. მაკრინე ამ სცენას რო უყურებდა, მის ფერმიხდილ სახეს ღიმილი გადაჰკვროდა და სიხარულით ცას ეწეოდა. „შენ იცი და შენმა ბატონობამა“ო, მითხრა მან და გამომემშვიდობა. მიდიოდა მაკრინე, მაგრამ თავის შვილს თვალებს აღარ აშორებდა, მალი-მალსულ უკან იყურებოდა, სანამ სკოლის ეზოს არ ამოეფარა. ამ დროს ზარიც დაირეკა და მოწაფეები კლასში შეცვივდნენ. კირილეს წინა სკამზე ადგილი მივუჩინე და დავიწყეთ სწავლა. ის ნიქიერი ბავში გამოდგა, ყველა თავის ამხანაგებს გაასწრო; იჯდა წყნარად და სულ მე შემომყურებდა, ძლიერ აკვირვებდა მას ჩემი ევროპიული ტანისამოსი, უფრო კი ჩემი იის ფერი გალსტუხი. თამაშობითაც არავის ჩამოუვარდებოდა — სირბილი და ჭიდაობა საუცხოვო გამოიჩინა.

ერთ დღეს მოვიდა ჩემთან მაკრინე და მსთხოვა: „შვილები ავადა მყავს, ბატონო, ილორში \*) მინდა წავიყვანო, ხატი უნდა ჩამოვალოცო და ოთხი დღით გამოთავისუფლე ჩემი კირილე“ო. მე, ცოტა არ იყოს, არ მიამა ახალ შემოსულ ბავშვის ამდენი მოცდენა. ჩემი უსიამოვნება, რასაკვირველია, მაკრინემაც უშემატყო, მას თვალები ცრემლებით აევსო, ერთი ამოიხვნეშა და მომიყვა თავის უბე-

\*) ილორი სამურწახანოშია შესანიშნავი ეკლესიით წმ. გიორგის სასეულზე.

დურ მდგომარეობაზე: ქმრის სიკვდილზე, სიღარიბეზე, ბავშვების ავადმყოფობაზე; მიაშმო თუ რომელ მკითხავმა რა ურჩია. „რა ვქნა, ბატონო, ყველა მკითხავმა ილორის წმ. გიორგის მიზეზი დამისახელა და რა გზა მაქვს, რო არ წავიდე და შესაწირავი არ მივართვა“, სთქვა მან და თავისი დაგლეჯილი წინსაფარით თვალები ამოიწმინდა. ჩემთვის ცხადი იყო, რომ მიზეზი მისი შვილების ავადმყოფობისასულსხვა იყო. მე კარგათ ვიცოდი, რომ მაკრინეს სახლი იდგა წყლის პირად, მეტად ნოტიო და ქაობიან ადგილზე, სადაც ჰაერის სინესტე აჩენდა სხვადასხვა ავადმყოფობას. ავუხსენი ყველაფერი, მაგრამ ის ისე დარწმუნებულიყო მკითხავების რჩევით, რომ მთელი თავისი უბედურება ხატის ბრალად მიაჩნდა. ბოლოს წასვლა დააპირა; მე ნება დავრთე შვილის განთავისუფლებაზე, მან მადლობა მითხრა და წავიდა.

მეორე დღეს დილა ადრიან მაკრინეს თავისი წვრილი შვილები ურემზე დაესხა და სკოლის ახლო გაიარა. ის თავის მეზობლებთან ერთად ილორს მიდიოდა, სახე მეტად მხიარული ჰქონდა. ურემს წინ კირილე უჯდა და ხარებს მიერეკებოდა. მე რო დამინახა, უცბად წამოხტა, მარჯვედ გადიძრო თავისი წითელი ყაბალახი, ერთი შემომცინა მისი მხიარული თვალებით და თავი დამიკრა. გზა მშვიდობისა მეთქი მივაძახე მათ და დავიწყე მეცადინეობა.

გავიდა ოთხი დღე. საღამო დროა და გავეშურე სოფლის სამმართველოსაკენ. დღეს ფოსტის დღეა და სიხარულით ვფელი გაზეთებს. უხეირო სოფლის მოხელემ გვიან მომიტანა გაზეთები. მე ჩავიბარე და გამოვსწიე ბინისაკენ. ავანთე ლამა და დავეწაფე გაზეთებს. ეს არის

უნდა მოვრჩე კითხვას, კარი გაიღო და შემოვიდა ჩემი ახლო მეზობელი. ერთმანეთს მივესალმეთ და ჩამოვჯექით. მე განვაგრძე კითხვა და ბევრი ახალი რამ გავუხიარე. ჯერ ის ყურადღებით მისმენდა ყველაფერს, ბოლოს მორიდებით შემეწყვეტინა და ნაღვიანად მითხრა: „თქვენ მგონია, უჩიტელო, იცნობთ ქვრივ მაკრინეს. მისი შვილი თქვენთან სწავლობს; საცოდავს ცუდი ამბავი შემთხვა. ილორს წავიდა სალოცავად, პატარა კირილეს ღამე ურემზე დასძინებოდა, ცალი ფეხი ურმის ბორბალში შევარდნოდა და ერთიანად გადაემტვრია, მისი კვილი და დედის მწუხარება ცამდის აწვდება“-ო, სთქვა მან და ერთი მაგრად ამოიოხრა კიდევ. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. „ნეტა რათა? რისთვის? ვის რა დაუშავა პაწაწამ?“ წამოვიძახე ბრაზ-მორეულმა. — „მკითხავენმა დაგვლუ-

პეს, ბატონო, მკითხავენმა“-ო, ჩაილაპარაკა მან და წასვლა დააპირა. მე ვსთხოვე ექიმთან წასულიყო, ისიც დამპირდა და წავიდა.

კარგა ხანს გონზე არ მოვსულვარ. სოფლის მწარე სინამდვილე: სიბნელე, ტრუ-მორწმუნეობა და მათგან წარმოდგარი ათასნაირი უბედურება ერთბაშად წარმოამიდგა. აჩქარებულ ნაბიჯით დიდხანს დავდიოდი ჩემს ოთახში. ბოლოს ისევ იმ მტკიცე რწმენამ, რომ ხალხის ასეთი უბედურება ადრე თუ გვიან მოიპობა და მის ადგილას დაიქვრს ბრწყინვალე მომავალი, გული დამიმშვიდდა.

დავეშვი სკამზე. ჩემ წინ მაგიდაზე ამართული მთელი გროვა რვეულებისა თითქოს მრისხანედ შემომყურებს. მეც უხალისოდ ვიღებ ხელში კალამს და ნაღვიანის გულით ვასწორებ რვეულებს.

მაქსიმე ვეკუა.

## გარდახვეწილი ვარსკვლავი.

### I

**ლ**ურჯი ცის ურიცხვ ვარსკვლავთა ხომლით მოქარგულ ტატნობზე ცხოველსხივებით მოელვარე ვარსკვლავი ის ის იყო ზე აღებეჭდა. მან მიმოიხედა. თავისი ცქრილა სხივთა მძივები აამბორა კეკლუც დედამიწის ყოველ ყორე-კუთხეს და ნეტარების ამოოხვრა აღმოსქდა.

— რა მალხაზი და სანეტარო ქვეყანა ყოფილა?! რატომ აქამდის არ გადმომაწვსა ბუნებამ, რომ აქამდის მეხილა აქაური სიტურფე-სილამაზე?—სთქვა მან და მეზობელ მოხუც ვარსკვლავს გადახედა.

— მალე ინანებ ამ ქვეყნად გადმოწვსებას! — მოკლედ მიუგო ქაღარა მეზობელმა და მწარედ ამოიკენესა.

ნორჩი ვარსკვლავი შეკრთა. მის გასხივოსნებულ სახეზე გაუგებრობა გამოიხატა.

### II

— დედა მშია... მქალი... მშია... ბაბა როდის მოგვიტანს პულებს?

— ბაბა აწ არაფერს არ მოგვიტანს, გენაცვალოს დედა შენი!... აკი გუშინ

გამოგვიცხადეს, რომ ის რახანია მოკლე-სო,—მოისმა გლენის სანახევროდ წაქცეულ ქოხიდან. რამოდენიმე წუთის შემდეგ გულ-დამწვარი მოთქმა-ტირილის ხმაც მოისმა იმავე ქოხიდან. გაშტერებული ნორჩი ვარსკვლავი კითხვის ნიშნად იქცა, მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა.

III

მოახლოვდა გარიჟრაჟი. ამოძრავდენ საომრად დამზადებულ ორ მოწინაამღებგე ბანაკთა მხედარ-მეომრები. გულ-შემოყრტილი ახალ-შობილი ვარსკვლავი ხედავდა, თუ როგორ ეპარებოდნენ ისინი ერთმანეთს ამოსაჯოც-ამოსაუღეტად. უეცრად იგრიალა უზარ-მაზარ ზარბაზანმა... მას მიყვა მეორე, მესამე და უთვალის სხვანი...

ნორჩი ვარსკვლავი გაფაციცებით ათვალთვალეზდა ყველაფერს.

ის ხედავდა, თუ როგორ ეგმირებოდათ

უთვალ მეომრებს სიცოცხლით აღსავსე გულ-მკერდნი და როგორ ერთოდნენ ერთმანეთს მათი მკერდიდან მომჩქეფი სისხლის ნაკადნი. დაჭრილთა კენესა-გოდება აყრუებდა არე-მარეს...

— ოჰ- ბუნებავ! რა გულ-ცივი ხარ... შენს წიაღში მიგდებულს რად არ მიცოდებ, შემიკარი ქრილობა, მაგრამ ეჰ...

— ოჰ, ვარკვლავნო! რა გულ-გრილად შეპყურებთ ჩვენს ტანჯვა-წვალებას? ნუ თუ შემოგვცინით და თვალს გვარიდებთ, არ გებრალეებით...—გაისმოდა დაჭრილთა კენესა ბრძოლის ველად. ახლა კი ვერ მოითმინა ახალ-შობილ ვარსკვლავმა და მოწყდა ლაფვარედ ცას, რომ სამუდამოდ გადაკარგულიყო, დედამიწას მოშორებოდა და გამქმალიყო ცის ღმირთა სიდრამში.

მოხუც ვარკვლავებს მხოლოდ დაცნა-ვა გამოეხატათ სახეზე.

არ. ფანცულაია.



რად გამიარჯლა ჭრილობანი?...

სხოვრებისაგან მოღლილ-მოქანცული მიველ იმ ადგილს, სადაც პირველად დაიწყო ჩემი გაზაფხული, სადაც მისმა ეშხიანმა ღიმილმა ვარსკვლავებივით ამიციმციმა ბედნიერების ცრემლები... მიველ იმ ძვირფასს ადგილს და სასოებით ვიწყე ლოდინი...

ვინ იცის, იქნება იგი შოვიდეს... მოვიდეს და გამითბოს გაცივებული სული... გამიბრწყინოს დაყურსებული გული...

დიდხანს ვიჯექი...

დიდხანს ვიცადე...

არავინ სჩანდა...

არაა იძროდა...

ბაიბური არავისი ისმოდა...

ნიავიც არ მოძრაობდა...

მხოლოდ ბულბული ჰსტვენდა, ჰგალობდა...

თავ-დავიწყებით აკრიმან ქულებდა სიყვარულის მელოდიებს.

გალობა იგი ისეთი ფილღსმიანი იყო ისეთი მათრობული, რომ ცნობა მომეცა...

თვალნი მიმეღულა...

ჩამთვლიმა...  
 უცბად ჰომესმა ალერსივით ნაზი და  
 ზღვის ტოლის ჩქეფსავით ტკბილი სი-  
 ცილი.  
 ბაგეზე ღიმილის ფოთლები ამეფურ-  
 ცლა...  
 რა მოხდა?...  
 რამ მანეტარა?...  
 იგი იდგა ჩემს წინ...  
 ის მეაღერსებოდა...  
 ხელნი მოვიმარჯვე მისს გულში ჩასა-  
 კრფად და... ვაგლახ... ჩემს თავს ვე-  
 ხვეოდი... ჰაერს ვეამბორებოდი...

არსადა სჩანდა სატრფო გულისა...  
 ყველაფერი ეს ბულბულის ოინი ყო-  
 ფილიყო...  
 ბულბულის დავეთვრე...  
 მისს გალობას მოეგვარა ჩემთვის სიზ-  
 მარი...  
 რა უნდოდა ჩემგან იმ უკეთურს...  
 რა?...  
 რად მომგვარა ფუჭი ზმანება?...  
 უარესად რად გამიარჯლა კრილო-  
 ბანი?...  
 დ. თურდოსპირელი.

კ. მხალდი

ჭრიჭინა და ღუმფარა.

**ლ**ამხალ მოჩუსჩუხებდა ანკარა რუ  
 მწვანე ხეების შუა.

მის ნაპირებზედ იზრდებოდა ლილო,  
 რომელსაც ნახათ ეჭურჩულებოდა ცელ-  
 ქი სიო; შუაში კი დასკურავდა თეთრ  
 ყვავილიანი და განიერ ფოთლებიანი ღუ-  
 მფარა.

ჩვეულებრივად მდინარის ნაპირებთან  
 მუდამ სრული სიჩუმე სუფევდა. ხან და  
 ხან კი- წამოუქროლავედა გიჟმაყი სიო:  
 მაშინ ლილო შრიალებდა, ხმაურობდა,  
 ლაპარაკობდა, ღუმფარა ადიოდ-ჩადიოდ-  
 და მდინარის ზვირთებზედ; ხან ისე ჩაი-  
 მალეობდა წყალში, რომ ფოთლები  
 ძლივს და მოსჩანდნენ ზემოთა პირზედ  
 და სქელი ღერო ყოველ ღონეს ხმარობ-  
 და მაგრა დაეჭირა ისინი.

ჭრიჭინის მატლი მთელი დღეები და-  
 ცოცავდა ღუმფარას ღეროზედ ხან აღმა  
 და ხან დაღმა.

— ღმერთო ჩემო, ვინ იცის რა მო-  
 საწყენია ღუმფარად ყოფნა, — წარმოს-  
 თქვა იმან და გადახედა ყვავილს.

— შენ ისევ სისულელეს რომავ, —  
 ღუმფარად ყოფნა — ეს საუკეთესო ხვე-  
 დრია ქვეყნიერებაზედ.

— ნეტარნი არიან მორწმუნენი, —  
 სთქვა ჭრიჭინის მატლმა — მე შენ ადგი-  
 ლას ერთი წუთიც არ დავფიქრებოდი,  
 მოვშორდებოდი ღეროს და დავიწყებდი  
 ჰაერში ფრენას, როგორც დიდრონი,  
 ლამაზი ჭრიჭინები.

— ჰმ! — წაიდუღუნა ღუმფარამ. შენ  
 კკუაში ეგ სიამოვნებაა! ოჰ, არა, არა!  
 წყალზედ წოლა, ოცნებაში წასვლა, მზის  
 მხურვალე ალერსი, ტალღების ტკბილი  
 ნანინა... აი ეს სულ სხვაა! ჭრიჭინის  
 მატლი ცოტა ხნით რაღაზედაც ჩაფიქრ-  
 და და ბოლოს შეჭყვირა:

— მი მწყობრიან რაოთა: ოზინაქსი

ყველაფერი რომ ისე კეთდებოდეს როგორც მე მინდა, ეხლავე კრიტიკობას მოვიწოდებდი. მე გადავიფრენდი მდინარეს, დავეკონებოდი შენ თეთრ ლმანკო ყვავილებს, შენ ფოთლებზედ დავისვენებდი, მერე კი... გავფრინდებოდი შორს, შორს...

— შენ ძალიან მალა ხტობარ და ვაი თუ ძირს ჩამოვარდე—მიუგო ღუმფარამ.—ეგ სისულელეა, ხომ გავიგონია დღევანდელი კვერცხი მიჩვენებია ხვალინდელ ქათამსო. მაგრამ იცი რა? მე მინდოდა შენთვის თუ როგორ გარდაიქცევი კრიტიკნათ. შენი გარეგნობა სრულიად არ ამტკიცებს, რომ როდისმე კრიტიკნად გარდაიქცე. ყოველ შემთხვევაში კი შენთვის აუცილებლად საჭიროა გაზრდა და გალამაზება, რადგანაც ეხლა მეტად უფერული და ულამაზო ხარ.

— აი ეგ არის კიდევ ჩემი სავალალო და,—მოწყენით უპასუხა კრიტიკნის მატლმა.— მე თვითონ არ ვიცი როგორ მოხდება ეგ, მაგრამ მაინც იმედს არა ვკარკავ. მგონია საქმე ისე წავიდეს, როგორც მე მსურს. იმიტომაც დავცოცავ აქ და ვკამ ყველა იმ პატარა ცხოველს, რომელიც კი გზაში შემხვდება.

— მერე შენა გგონია, რომ ჭამა გიშველის!—დასცინა ღუმფარამ.—ეგ მართლაც შესანიშნავი ღონის ძიებაა ცხოველებში რაიმე მიზნის მისაღწევად.

— დიახ, მე მგონია, რომ ეს ღონისძიება სწორედ მე შემფერის,—შეჰყვირა ბრაზმორეულმა კრიტიკნის მატლმა.—მთელი დღეები ვკამ, ვკამ, ვკამ, სინამ არ გავსუქდები. მერე კი, მე ვკონებ, ერთა მშვენიერ დღეს მთელი ჩემი ქონი გარდაიქცევა ოქროს ფრთებით და ყველა იმით, რითაც ბრწყინავს ნამდვილი კრიტიკნა.

ღუმფარამ გაიქნია თავისი ჭკვიანი თავი.

— თავიდან გამოიბლერტე ეგ სისულელები—სთქვა მან, და კმაყოფილი იყავ შენის ბედით. იცოცე რამდენიც გინდა ჩემ ფოთლებზედ დასტკი ამ სიმშვიდით და სიმყუდროით. მადლობა ღმერთს, საცხოვრებელი ბლომათა გაქვს, საზრუნავი კი არაფერი, მაშ სხვა რაღა გინდა?

— შენ დაბალ საფეხურის არსება ხარ,—მიუგო მატლმა და აბა რას გაიგებ უზენაესს. მე კი მსურს კრიტიკნათ გარდაქცევა. აქ იგი დაეშო ღეროზედ ძირს, რომ კიდევ დაეკირა მწერებ და გამძღარიყო, რათა უფრო მეტად გასუქებულიყო და გასქელებულიყო.

ღუმფარა კი დინჯათ იწვწა წყალზედ და ფიქრობდა მსოფლიო წესრიგზედ;

— ვერა გამიგია რა მე ამ პირუტყვებისა. დილიდან საღამომდინ დაცოცავენ, ნადირაბენ, ერთმანეთსა სკამენ და ვერ მოუხერხებიათ ერთმანეთთან წყნარი მგობრული ცხოვრება ჩვენ, ყვავილები, დაშორებით შათზედ გონიერნი ვართ. მშვიდათ, წყნარათ ერთი-მეორის გვერდით ვიზრდებით, ვეწაფებით მზის შუქს და წვიმას; ყველა ამას ვიღებდ ისე როგორნიც არიან. მე კი ყველაზედ ბედნიერი ვარ, რადგანაც იმ დროს, როცა ხმელეთზედ სხვა ყვავილები სკენებიან გვალვისაგან, მე იმ დროს სრულიად უშიშრად დავცურავ აქ. ყველაზედ კარგათ ყვავილები ცხოვრობენ, თუმცა სულელ პირუტყვეებს ეს ვერ შეუგნიათ. როცა მზე ჩაესვენა, კრიტიკნის მატლმა ფეხები შეიკუმშა, წამოსკუბდა ღეროზედ და აღარ ინძროდა. იმან იმდენი პატარა ცხოველი შეკაპა და ისე გასქელდა, რომ ეგონა აი ან ეხლა ან ეხლა ვავსქელებიო.

გუნებაზედაც ძალიან ცუდზედ გახლდათ. ის ფიქრობდა ღუმფარას სიტყვებზედ და მთელი ღამე მოუსვენარი ფიქრები მოსვენებას უკარგავდნენ. ამ ფიქრისაგან საწყალს თავი ასტივდა, მერე დიდ ფიქრსაც მიჩვეული არ იყო. წელი სტეხდა, მუსკელი სტიოდა, ეგონა საცაა გავსქდები და გამოვესაღმები წუთი-სოფელსო.

გათენებისას ტეხიერებამ უმატა.

— არ ვიცი, რა მომდის, — კენესოდა იგი. — მტკივა, ყველაფერი მტკივა. იქნება ღუმფარას სიტყვები გამართლდეს და სამუდამოდ მატლად დავრჩე? ეს ხომ საშინელეებაა. მერე როგორ მინდა ჭრიჭინათ გარდაქცევა, როგორ მინდა მზის ხსოვნებში ბანაობა. ვაიმე, როგორ მტკივა წელი. მტკივა... მგონი ვკვდები.

წელი კი მართლა ძალიან სტიოდა საწყალს და მეტის მეტი სიმწარიზ საშინლად გაჰკიოდა. ამ დროს აშრიალდა ლილო, ალაპარაკდა მინდორ-ველი.

— ეს დილის ნიავია, — გაიფიქრა მატლმა, სიკვდილამდინ ერთი კიდევ მინდა დავინახო პირ-მომცინარი მზე.

დილის ტანჯვით აცოცდა იგი ღუმფარას ერთ-ერთ ფოთოლზედ, გასქიმა ფეხები და ელოდა სიკვდილს.

ამ დროს წითლად შეიღება აღმოსავლეთი და მხიარულმა მზემ მოჰფინა თავისი ოქროს-ფერი სხივები არე-მარეს. მწორეთ ამ დროს გაუსქდა ზურგი ჭრიჭინის მატლს. მწერს შიგნით რაღაც უღუტუნებდა, და ისეთს ტკივილებს გრძობდა, ისე ცუდათ იყო, რომ თვალი ვეღარ გაეხილა.

უსებ მან იგრძნო სისუმბუქე. გაახილა თვალი და რასა ხედავს. ხედავს, რომ იგი ვაფრთიანებული დაფრინავს ჰაერში. გული სიამაყით აფვსო.

ძირს კი, ღუმფარას ფოთოლზედ ეგდო იმის ბუდე.

— ვაშა, ვაშა, — შეჰყვირა ახლად გამომცხვარმა ჭრიჭინამ, — ძლივს არ ასრულდა ჩემი გულითადი ნატვრა?

— შეხეთ ამ ტუნტრუცანას, თავისი არ გაიყვანა, — გაიფიქრა ღუმფარამ. — ვნახოთ კმაყოფილი იქნება თავისი ბედისა თუ არა.

ორი დღის შემდეგ ჭრიჭინა მოფრინდა რუსთან და დაჯდა ღუმფარას ყვავილზედ.

— ააა! გამარჯობა! — შეგვეგება მას ღუმფარა, — ნუ თუ შენა გხედავ? მე კი მეგონა ისე გაამპარტავანდი, რომ ძველმეგობრებს თავსაც კი არ დაუკრავ.

— გამარჯობა, — უთხრა ჭრიჭინამ, — სად დავსდო კვერცხები?

— დაიცადე, ადგილს იპოვი, — მიუგო ღუმფარამ. თუ ღმერთი გრწამს ჩამოჯექი ცოტა ხან ჩემთან და მიამბე, ეხლა უფრო ბედნიერი ხარ თუ მაშინ, როცა მატლად დაცოცავდი ხან აღმა და ხან დაღმა ჩემს ღეროზედ.

— სად დავსდო კვერცხები, სადა? გესმის თუ არა? — ყვიროდა ჭრიჭინა; თან გაცხარებული ჭრიჭინებდა და ხან აქ და ხან იქ სდებდა კვერცხებს, ბოლოს დაღალულ-დაქანცული და ღონე გამოლეული დაჯდა ყვავილზედ.

— აბა? — ჩაეკითხა ღუმფარა.

— ეჰ, წინანდელი დრო სჯობდა, — ოხვრით დაიწყო ჭრიჭინამ. — მართალია მზეზედ ფრენა საამოა, მაგრამ სიამოვნების დროც კი არა მაქვს. რომ იცოდე როგორ ვმუშაობ. წინათ არაფერზედ ვზრუნავდი, ეხლა კი იძულებული ვარ მთელი დღე ვიფრინო და ვეძებო ადგილი, სადაც კვერცხების დაყრა შემეძლება. ერთი წუთიც კი არა მაქვს თავისუფალი, ქამასაც კი ვერ ვასწრობ.

— განა არ გაფრთხილებდი? — შესძახა ღუმფარამ. — განა არ გეუბნებოდი, რომ კარგის ძებნაში ცუდს წააწყდები?

— მშვიდობით, — ოხვრით მიუგო კრიჭინამ, — მე დრო არა მაქვს შენი დაცინვის მოსასმენად. დღეს კიდევ ბევრი კვარცხი უნდა დავსდო.

მაგრამ სწორეთ იმ წუთს, როცა იგი გაფრენას აპირებდა, მოფრინდა მოშია.

— რა ლამაზი კრიჭინაა! — სთქვა მან. ამით პირის ჩატკბანურება რათაც უნდა ღირს. როგორ გაუხარდებათ ჩემს პაწაწებს!

ერთ თვალის დახამხამებაზედ სტაცა კრიჭინას პირი და გააქანა ბუღისკენ.

— აი სერი! — შეჰყვირა ღუმფარამ და შიშისგან კანკალი აუვარდა. — ოჰ, ეს პირუტყვები! ქებათა-ქება შენ, ჩემო მყუდრო ცხოვრებავ! არც მე ვაწყყენებ ვისმეს და არც მე ვინმე მაწყყენებს. რა

ბედნ... ამ სიტყვის გათავება ვერც კი მოასწრო, რომ მის გვერდით გამოჩნდა ნავი.

— უჰ, რა ლამაზი ღუმფარაა, — შეჰყვირა ნავში მჯდომმა ილიკომ, — უნდა მოვგლიჯო! იგი დაიხარა წყალზედ დერთ წუთას მოგლიჯა ყვაფილი. მივიდა თუ არა შინ, ილიკომ ღუმფარას ყვაფილი ჩასდგა წყლით სავსე ქიქაში. საში დღე იყო ესე ღუმფარა.

— ვერაფერი გამიგია, — სთქვა მეოთხე დღეს ღუმფარამ, — მე კრიჭინაზედ კარგი ბედი არ მერგო.

— ყვაფილები როგორ დამქანარა, — სთქვა ილიკომ და მოისროლა ყველა ეზოში.

და ღუმფარა, თავის თეთრი ყვაფილებით დიდხანს ეგდო ქუჩიდან მიწაზედ.

ჯატო ბაქ — ძე



### რუსული ენა სახალხო სკოლებში.

რუსული ენის მნიშვნელობას საქართველოს ცხოვრებაში ჩვენ შესაფერი წერილი ვუძღუნით გაზ. „სამშობლოს“ 149 და 150 ნომერებში და ამ უამად ამაზე სიტყვას აღარ გავატყვევებთ; აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ კავშირისტურს სანაში და, მათ უმეტეს, იმისთანა სოციალური მდგომარეობის მქონე ერისთვის, როგორც საქართველოა, დიდი მნიშვნელობა აქვს უცხო ენების ცოდნას. ვიმეორებთ, სახალხო სკოლა შესაფერის ცოდნას უნდა იძლეოდეს ყოველი დარგიდან

(საზი ჩემია ნ. ქ.) და, ვინაიდან რუსული სიტყვები საჭიროა ჩვენთვის დღევანდელს პირობებში, სკოლა უნდა ეცადოს მისს შესწავლას, რა სპეირველად, ამავე დროს არ უნდა დასტობდეს სადს შედგავიურს მოთხოვნილებებს და დაუძალებლად ათვისებდეს ემაწვილებს ამა თუ იმ რუსულს გამოთქმას, სიტყვას და აზრს. ჩვენ აქ არც ლექსიურს განყოფილებას შეგვსებით, რადგანაც ამაზედ გვეჩნდა ღამარაკი. ამ წერილის მიზანია, რაც შეიძლება, ვრცლად გაიტნოს

მკითხველ საზოგადოებას იმ მასალის რაოდენობა, რის გასვლასაც შესძლებს მასწავლებელი არკლასიან სსწავლებელში, თუ ამ უკანასკნელის კედლებს შორის ნორმალურად წარმოებს სწავლის საქმე.

რადგანაც რუსული ანბანის სწავლება შემოღებულია მეორე წლიდან, ჩვენც აქიდან დავიწყებთ ჩვენს პროგრამას და ვეცდებით—დაწვრილებით ადგინდეთ ყველა ის მასალა, რის ცოდნაც მიუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია ამა თუ იმ განყოფილების მოწოდების მრეწ. წინასწარ ბოდიშს ვიხდით მასწავლებელთა წინაშე, რომ ესხა არც წერის ვაკვეთალებს შეეგნებით და მხოლოდ ზეპირ—სიტყვიერი სწავლების შესახებ გვექნება საუბარი. სულ მალე-კი, როცა დრო ხელს შეგვიწყობს, გვლავ დავუბრუნდებით ამ საკანს და მაშინ ვაკვრულად ვილაშარაკებთ წერსედაც.

მეორე განყოფილებაში გადასვლისას მოწყობთ რამდენიმე სიტუაცია უკვე იცის რუსულად, — აგრეთვე ზმინის მიმოხრები მოთხრობითს კილოში აწმეო, ნამეო და მუბადი დროების უფრო ხშირად უსრულს სახის და კუძო შემთხვევებში ორივე სახის, ამსთანავე ნამეო დროში დაბოლოებას აძლევენ თასამად სქესის; ბრუნებითს კილოში მიმოხრა მხოლოდ უსრულს სახის და ინიც აწმეო დროის და მეორე შირის იციან, მაგ., იკითხე, იკითხეთ; იციან აგრეთვე მოკლე წინადადებები და სურათების, ან საცნების აწერის დროს მოხდენილად მიცემულს კითხვებზე შესაფერს პასუხს იძლევიან. სახელმძღვანელოდ ვხმარობთ განსვენებული გოკებაშვიდის „რუსეთი სლოვოს“ შირველ ნაწილს, სადაც თითოეული ასოს სწავლებას წინ მიუძღვის სურათი, რის ადწერასაც განსკუთრებულს ყურადღებას აქცევს მასწავლებელი. შემდეგ ერთს რომელსამე სიტუაციას, სადაც ახალი, ჯერ გაუცნობელი ასო იქნება ჩართული, ჭეოფენ მარცვლებად, ხმებად და

ახალს ხმას არჩევენ სხვებისაგან, ერთი სიტუაციით, რომელიმე ასოს სწავლების დროს მიღებულია ისარგებლონ შეკრებითი (სინტიტიური) და დაშლითი (ანალიტიური) ფორმით, უფრო ხშირად კი ორივეს ერთად ურევენ და საჭიროების მიხედვით მოქმედობენ ე. ი. აწარმოებენ სწავლას თანახმად სწავლის ხმოვანი საშუალების (по звуковому способу). ასოს განცობის შემდეგ მოძრავი ანბანისაგან ადგენენ სიტუაციებს, რასაც მოხდევს წიგნების გადაშლა და იქ სიტუაციების და ფარაების კითხვა ჯერ თითო-თითო მოწყობის მიერ და შემდეგ ყველასაგან; როდესაც ორ-სამ ხელ ამოვიდა წიკითხავენ, გადადიან თითოეული სიტუაციის და ფარაის ახსნაზე, როგორც ქართულად, ისე რუსულად, უმეტეს შემთხვევაში კი—ქართულად. როდესაც ზმნები გვხვდებათ, უსათვოდ უნდა ავარჯიშოთ მოწოდებები მიმოხრაშიაღ, თორემ ნასწავლი გადავიწყებათ. ამ წესით თავდება მთელი ალფაბეტი, მეორე იწყება საცნების აწერა ჯერ ზეპირად და შემდეგ კითხულობენ წიგნში. ამ ნაწილში სწავლება რთულდება: სიტუაციების ახსნა-განმარტებასა და ზმინის მიმოხრის გარდა აქ ემატება სახელი არსებითის ბრუნვა, თიქმის ყველა სქესისა და დაბოლოების დროს სახელებთან ერთად აბრუნება ყველა სქესის ზედსართავი სახელები. ბრუნვა სწარმოებს წინადადებებში, განსაკუთრებულს შემთხვევებში შეიძლება ვშრალი კითხვების მიცემითაც, მხოლოდ უმარტესობა ეძლევა შირველს. ამ რიგად თავდება მეორე განყოფილებაში შირველი ნაწილი, სადაც ბავშვებში მთელი მასალა უნდა გაიარონ და ზედმიწევნით იცოდენ ყველა სიტუაციი და გამოთქმები, რაც შეხვდებათ. კრამტიკიდან შესავე განყოფილებაში გადასვლისას იციან მიმოხრა და ბრუნვა იმ ფარგლებში, რაც ზევით მოვიხსენიეთ.

აქ ჩვენი წერტილის პროგრამულს ხასიათს ცოტა ხნით შევაჩერებთ და ორიოდე სიტყვას ვიტყვი ახსნითი და მხატვრული კეთხვის შესახებ, რადგანაც მესამე განყოფილებაში მას დიდი ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული, ვინაიდან აქ ეერება საფუძველი ლექსების, არაკებისა და მათხრობების წესიერად შეთვისებასა და დასწავლას. თუმცა მეორე განყოფილებაშიაც დიდი ყურადღების ღირსია მხატვრული კითხვა, მაგრამ მესამეში გაცილებით უფრო დიდა მისი მნიშვნელობა და ჩვენც აქიდან ვიწყებთ მისს გაშუქებას. რადგანაც მეორე განყოფილების მიზანია—მიანივითს ემაწვადლებს მექანიკურად ასლების გაღამას, ამიტომ მხატვრული კითხვის დაწყება მესამედან იწყება და გრძელდება კურსის დასრულებამდე.

ახსნითი გაკვეთილების დროს, რომ წინაკითხი ჰკავდეს ცოცხალ ღამარას, მასწავლებელი მოითხვს მოწაფეთკან კითხვას სწორს, თანხმად გრამატიკული ნიშნებისა, თავისუფლად, ჩქარა, გაკვეთლად და მხატვრულად. ეველას საიტყვებისა გამოთქმების ახსნასთან ბუშებს უნდა შეეძლოს მთავარი აზრის გამოყვანა და თავისი სიტყვით მოელოა წინაკითხისა. განსხვავება ახსნითი კითხვისა და საგნითი თვალსაჩინო გაკვეთილების შორის ის არის, რომ საგნითი გაკვეთილების დროს ყურადღება მიზერობლია გარეშე ფიზიკური მოვლენებზე; ახსნითი კითხვის დროს დაკვირვების საგნად ითვლება ადამიანი თავისი გრძობებით, აზრითა და მოქმედებით. აქ სარგებლობენ ისტორიული და ლიტერატურული მოთხრობებით, ლექსებით, არაკებით, ზღაპრებით. არაკების გარჩევის დროს საჭიროა მოქმედების გადატანა. როდესაც დედა-აზრთან ერთად შინაარსსაც გავაცნობთ ბუშებს, შემდეგ სხვა მასლას მოვებნით და წინა მოთხრობასთან მონათესავე მოთხრობაზე გადავიდეთ. ცხადია-ვინც ამ წესით ასწავლის, მას არაოდეს არ ეყოლება თუთიყუშები და

ჯეოგრაფიის ნყოფსაც გამოადებიებს თავისს შრომას.

დიდა მნიშვნელობა ახსნითი კითხვის, მაგრამ არა ნაკლებს სასარგებლოა მხატვრულად წაკითხვა რაიმე ნაწარმოებისა, რის დროსაც გაკვეთილშობილება-განვითარებასთან ერთად ბუშვის ენა, ხმა, მკერდი და ფილტვები დიდად ვითარდებიან; მხატვრული კითხვა ასწორებს გამოთქმას, აჩვენებს ემაწვადლებს ყურადღებით თითოეულს წინაკითხს სიტყვას, ანვითარებს მათს გემოვნებას, გრძობასა და აზროვნებას. შატარობიდან აჩვენებს კარგი ნაწარმოების გაზებნებას და კარგი მწერლების გაცნობას; ხელავნურად წაკითხვა რაიმე ნაწარმოებისა სასიამოვნო გასართობია, როგორც თვით კითხველისთვის, ისე მსმენელთათვისც. მამ, თუ ასეთია მხატვრული კითხვის მნიშვნელობა, ვიკითხოთ ისიც-თუ რაში მდგომარეობს იგი? ვინც კითხულობს ხმამაღლა, გაკვეთლად, გაკვეთლად და სასიამოვნოდ-აი ის არის მხატვრულად შეითხველი. ეს-კი შეიძლება მხოლოდ სამი მიუცილებელი ფაქტორის საშუალებით. თუ თქვენ განვითარებთ ხმას, სუნთქვასა და გამოთქმას, საუკუნოვო შეითხველები გეყოლებათ.

ადამიანის ხმა სამიანიია: წუნარი, საშუალო და მაღალი. ვისაც შეუძლია—ეს სამი შემადგენელი ნაწილი თავისი ხმისა უეცრად შესცვალოს ერთი მეორით, მას ხმა განვითარებული აქვს. ვისაც შესწევს ძალა სურვილის-მებრ მიუჩქაროს, შეასუსტოს და შეაჩეროს ღამარაკი, მისი ხმა მშენიერია. მერე რით შეიძლება განვითაროთ ემაწვადლების ხმა? მხოლოდ და მხოლოდ ხშირი კითხვით და ისიც მაშინ, როდესაც თვითონ ენა განვითარებული გაქვს.

ხელავნური კითხვის დროს დიდ როლს ასრულებს სუნთქვაც (ჭყარის ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა). კითხვის დაწყების წინ ეოველთვის ბეგრი ჭყარი უნდა შეისუნთქოთ და

ეტადოთ მსმენელთა შეუნიშნავად ამოისუნ-  
თქოთ იგი. ჭერს შეისუნთქებთ დასვენების  
დროს (წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე,  
კითხვისა და გაკვირვების ნიშანი, ლოდიკური  
დასვენება) და ამოისუნთქებთ ხმოვანი ასოე-  
ბის წარმოთქმის დროს. სუნთქვის შემუშა-  
ვებს ხშირი კითხვითა და პრაქტიკით შეი-  
ძლება.

ხმისა და სუნთქვის წესიერად დაეგების  
შემდეგ განსაკუთრებული ყურადღების დირ-  
სია გამოთქმა ე. ი. თითო ცალი სიტყვის  
გარკვევით, დაბოლოებათა და ხმების გადუ-  
ყლავავად წარმოთქმა. აქ მოგესმარებათ ნე-  
ლი, გარკვეული და წუნარი კითხვა.

როდესაც თქვენ ფოკუსსავე ამას შეასრუ-  
ლებთ, უნდა გაეცნოთ სასვენს ნიშნებს, უნ-  
და იტოვდეთ საჭირო ადგილზე გაჩერება.  
სასვენი (ჰაუზა) ორგვარია: გრამატიკული  
ჰაუზა გამოიხატება სასვენს ნიშნებით; ესეთი  
არიან: წერტილი (უნდა გაჩერდეთ-მინამ  
ოთხს დაითვლი) და თუ წერტილ-მძიმე  
(ორის დათვლამდე), მძიმე (ერთის დათვლამ-  
დე), გაკვირვებითი და კითხვის ნიშანი თა-  
ვის თავად დაპარაკობენ, როგორ უნდა მოი-  
ქცეთ. ლოდიკური ჰაუზების აღსანიშნავად  
არავითარი ნიშანი არ არსებობს; იგი დამო-  
კიდებულია კითხვლის კემოვნებაზე. როცა  
მას (მოითხველს) უნდა განსაკუთრებული ყუ-  
რადღება მიაქციას ამა თუ იმ სიტყვას, იმ-  
დენს ხანს შეჩერდება, რამდენს მნიშვნელო-  
ბასაც აძლევს მას.

მახვილი (ხმის ასამაღლებელი) დიდად სა-  
ჭიროა არა თუ მხატვრული კითხვის დროს,  
არამედ გარკვეული კითხვის დროსაც: მახვი-  
ლი ორგვარია! გრამატიკული და ლოდიკური,  
გრამატიკული მახვილი სახელმძღვანელო წი-  
გნებსაც აქვს, ლოდიკური-კი დამოკიდებუ-  
ლას თვით ფრაზის აზრზე და მისი უად-  
გილოდ ხმარება გაუკებრობას იწვევს მსმენე-  
ლებში. აქ გარკვევით ვიტყვით, რომ ლო-

დიკური მახვილის უქონლობით, ან უცოდინს-  
რობით დაავადებულთა მთელი ხვენი  
ასაღვარდა ინტელიგენცია, რაც მსმენებუ-  
ლია იმისა, რომ, არა თუ სახლზე სკოლა,  
საშუალოდ უყურადღებოდ სტოვებს მას. ჩვე-  
ნი ინტელიგენტები, როცა ყურადღების მი-  
საქცევი დროა, ლოდიკურს მახვილს მოქმე-  
დებაზე ან მოვლენაზე ხმარობენ. მაგ., ფრა-  
ზაში „ეხლა როცა საშინელი სისხლის ღვრას,  
პირადი ანგარიშები გვერდზე უნდა გადავდგას“  
ხმას უმაღლებენ „ღვრას“-ზე, უფრო კანთ-  
ნიერი იქნებოდა „ეხლა“-ს მაღლა და  
გრძლად წარმოთქმა, ერთი სიტყვით, მასწავ-  
ლებელი უნდა ეცადოს ხმის აწევ-დაწევას  
ფრაზის აზრის მიხედვით

აქვე ვიტყვით ორდოდ სიტყვას ტონის  
შესახებაც. ტონები არიან საერთო და კერ-  
ძო ხასიათის. საერთო ტონებია: უბრალო,  
მელანქოლიური, შებრალებითი, ზიზღიანი,  
გულცივი, მაგარი, დიდებული, მქუნარე, და-  
მღინავი, მასხრული, გაჭვარებითი, მუქარი-  
თი. კერძო ხასიათის ტონებია: ბავშვური,  
დიდის, ქაღის, კაცის, ნახი, უხეში... თუ  
რომელი ტონი უნდა იხმაროთ, ეს დამოკი-  
დებულია თვით წასაკითხავად დანიშნულს  
მასალაზე. ტონის შესამუშავებლად დიდი  
სარგებლობის მოტანა შეუძლია კრილოვის  
არაკებს. ფუელას მოეხსენება- როცა საქარ-  
თველას დიდებაზე ვკითხულობთ ღექსს,  
ჩვენი ხმა ქქუხს, სჭექს, ამხარტავნობს და  
გმირულად გაჭვივის; მაგრამ, როცა ხვენი  
უმწკო მდგომარეობას ვეხებით, აქ ხმა  
წელება, სუსტდება, წელუდება და ცრემლის  
მომკვრულ საშუალებად იქცევა—აი აქ არის  
საჭირო ენის შემუშავება, რასაც, თუ  
თქვენ ვინღათ ნაყოფიერად იმუშაოთ, მთელი  
ძალდონე უნდა მოახდლოთ. ენერგია, შრო-  
მის-მოყვარეობა, საქმის სიყვარული, შესაფე-  
რი ცოდნა და გარემოთაცან სკლის შეწომა  
კვიხსნის ჩვენ უმკვანო კითხვისგან და მი-

ფეფეს სსსიამოვნო გამოთქმას, კითხვასა და პასუხს.

ისეც სიტყვა გაგვიგრძელდა მხატვრულს სხვაზე, რაც, მართლს თუ ვიტყვით, სწორა როგორც დედა-ენის სწავლების დროს, ე უნდა ენის შეთვისების დროსაც. აწ გადავდეთ ისევ პროგრამაზე და გაუწიოთ ან-ბოში დანარჩენს ოთხს განყოფილებასაც.

კრამატიკულ სიფრთხილს შესამე განყოფილებაში მტკიცედ უნდა შეისწავლონ ყველა დედა-ენის (სხელი არსებითი) ბრუნვა ზედ-დასახელებთან ერთად, როგორც დასახელების მიხედვით, ისე აზრის მიხედვით უნდა სწავლობდეს ბრუნვა, მაგ., ბავ-არასოდეს არ უნდა სთქვას „нашу старшину“, უნდა იცოდეს, რომ სიტყვა „старшина“ მამრობითი სქესისაა. მეორე განყოფილებაში მიმოხრები მტკიცედ უნდა გაიშეოთ; აგრეთვე გააცნოთ ემაწ-ებები თავსართებსაც (თანდებული) ВЪ, НА, СЪ, НАДЪ, ПО, ამასთანავე აცნობთ ბავ-ების თვისებას; მოქმედებას და სკანს. მოე-წოდის განმავლობაში გრამატიკიდან მეტს მოასწრობთ. სკითხვაც წიგნი-კი ლექსე-ბის არაკების და მოთხრობების ისე შეთვი-ბის სჭირა, როგორც ზეგით მოვიხსენ-ებო, უკვლავ ის მასდა, რაც „რუსული სლო-ვა“ II ნაწ. არის მოთავსებული მეთექვსმე-რედიმდე. სასუბროების წესიერად დამუ-შავება—აი რა შეადგენს ერთს მიუცილებელს სახალხო სკოლის მასწავლებ-ლის, რადგანაც სასუბროები, როგორც მრავლივით ვიცით, მთავარ როლს ასრუ-ლებენ ქართული ბავშვის მიერ რუსული ენის შეთვისებაში. არაფერი იფიქროს, რომ ის, „დედა-ენაში“ მოთავსებულს სასუბ-როებზე ითქმის, „რუსული სლოვა“ სასა-სუბროებზე ითქმოდეს. მოთხრობებითა და ქსებით იმდენს რუსულს სიტყვებს ვერ სწავლით ბავშვებს ერთს თვეს, რამდენსაც

ერთი სასუბროს წესიერად დამუშავებით შეს-ძლებთ. „რუსული სლოვა“ სასუბროები არა თუ ათვისებებენ მოწაფეს ახალ-ახალ სიტყვებს—კიდევ ამზადებენ მას სხვა სკან-ების შეთვისებისთვის. ვინ არ იცის მათი მნიშვნელობა გეოგრაფიის ან ბუნებისმეტ-ყველების სწავლების დროს და ესეც რომ არ იყოს, თვით ცხოვრებაში გამოხადეს სიტ-ყვებსა და სახელებს სად ჭკობით ისე უკლი-სად და ისე მშვენიერად დაწყობილს, რო-გორც სასუბროებშია. შესამე განყოფილებაში რუსული ენა სასუბროებით სტრატეგობს და მათი ზერეღეთ სწავლება დიდ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

ამ წესით გადავდივართ მეოთხე განყოფი-ლებაში, სადაც „რუსული სლოვა“ გოგება-შვილისა სსსწავლო წლის პირველს ნახევარში თავდება (ყველა ის მასდა, რომელიც არსე-ბითად არ ემსახურება სახალხო სკოლის მი-ზანს, რა თქმა უნდა, ირ ისწავლება). მეორე ნახევარში ე. ი. იანვრიდან სჭირა ახალი სახელმძღვანელოს შექნა. აი—სად არის და-ნაშაული „რუსული სლოვა“ გამომცემლობის; მას ვერ შეუგნია, რომ სჭირა ამ სახელ-მძღვანელოს შევსება და მეოთხე განყოფი-ლების კურსთან შეფარდება. მართალია, სა-ხელმძღვანელოები ბევრია, მაგრამ ჩვენს სა-ხალხო სკოლასთან არც ერთი არ არის შე-ფარდებული. ჩვენ საუკეთესოდ მიგვაჩნია „რუსული მწერლები“ I ნაწ. მარტინოვისის. იქ შეიძლება ამოკრება იმისთანა მასალის, რაც დიდად სასარგებლო იქნება მეოთხე გან-ყოფილების მოწაფეთათვის. მასდა „რუსულ მწერლებში“ ბევრია, შეიძლება ნახოთ მეოთ-ხე განყოფილებისთვის გასაცემი არაკები, ლექსები და მოთხრობები. ზოგს სსსწავლე-ბელში ზედციხიძე—ჟავარიძე სახელმძღვანელოს ხმარობენ, მაგრამ მისი „რუსული სლოვა“ შემდეგ შემოდება უზრუნველ იქნე-ბოდა, უმაღლეს შემოდება და „რუსული სლო-

გოს“ განდევნა ხომ უაზრობაზედაც მეტია; ეს ჩვენ ვიციტ გამოცდილებით. ერთი სიტყვით; მასალის მოძებნის დროს მტკიცედ უნდა იცავდეთ თანდათანობას და რაც უფრო ზევით იწევთ; მით უფრო სხვადასხვა ნაირად უნდა ჰმარტავდეთ ამა თუ იმ მოთხრობას, ლექსს, ან არაკს. გრამატიკიდან ამ განყოფილებაში არჩევნ წინადადებებს, ეცნობიან მისს ნაწილებს (ქვემდებარე, შემასმენელი, განმარტება, დამატება, გარემოებითი სიტყვები და მიმართვა). უნდა იცოდენ სად იმარტება (უბრალო: მოკლე და ვრცელი წინადადებაა ნასწავლი) წერტილი, წერტილ-შემავე, მძიმე, კითხვითი და გაკვირვების ნიშანი ან ფრხნილები; ზედმიწევნით უნდა ჰქონდეთ შეთვისებული სახელი არსებითის და ზედსართავისაზელის ბრუნვებით დაბოლოება (по падежамъ).

მეხუთე და მეექვსე განყოფილებებში უნდა გააცნოთ ემაწვილები ყველა მწერლებს, რაც შეეხებათ „რუსულ მწერლებში“, მათს ნაწარმოებს, ბიოგრაფიას და შესვლელებს ამა თუ იმ კითხვაზე. გრამატიკას აქ ვრცელად გადაინ: იწუება და თავდება მაქსიმოვიჩის სასკლმძღვანელო, სდაც ეთიმოლოგია და სინტაქსისი ისეა შემოკლებული, როგორც ამას მოითხოვს დრკლასისანი სასწავლებლის ინტერესები.

მე გავათავე და ვთვიქრობ, ვინც ამ წესით აწარმოებს რუსული ენის სწავლებას ჩვენს სკოლაში, იგი უფალთვის მიაღწევს მიზანს და მისს ხელში რჩი კლასის გამოთავებულს

ბავშვს აროდეს არ გაუჭირდება გარკვეულ შეხვედრულ კაცზეებში რომელსამე ქალს სოფელში, სდაც რუსული ენა საჭირო ნება; ამასთანავე არც თანჯიშანი იქნება მთვის საჭირო სამუშევრის ძებნის დროს ჩვენი დრმა რწმენით, რუსული ენის მოპოვება ამაში მდგომარეობს. ზემოთ აღნიშნულს მასადას მხოლოდ მაშინ შეიძლება ემაწვილები, როცა დედა-ენის სწავლე სიურად მიმდინარეობს. მასწავლებელს არ და დაავიწუდეს, რომ „თუ საძიკველი გრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ველი შრომა დაკარგულია“.

სანამ კლასს განზე გადავდებდე, მოვანებე სახალხო მასწავლებლებს, რომ ამ ენის (რუსული ენის) მოწესრიგება მორიგ კითხვად უნდა ჩაითვალოს და საჭიროა გაშუქებისთვის ყველამ თავისი აზრი გასთქვას. უნდა გვანსოვდეს, რომ დროა მოვიდეთ სხვისი რბეკიდან და ჩვენ თვით ვტკედოთ ჩვენი ბედი, რომელიც მჭიდრ უკავშირდება სახალხო სკოლას და მასთან თად თვით ხალხსაც. \*)

**ნიკ ქამუშაძე**

\*) ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა რედაქციის ზოგიერთ საკითხში უფრო კდ-მარტიონოვის ხელმძღვანელოს ხმარებაში, არ ეთანხმება ავტორს მიუხედავად ამისა აღძრული საკითხი იმდენად ყურადღებოა, რომ მის შესახებ კამათი მას ლეებელთა შორის საჭიროდ მიგვაჩნია, თუ აზრს რედაქცია შემდეგ გამოოსტავამს.

რედ.

